

სოციალური დაცვი

(შემთხვევა და კომანდაცია)

კრებულშიგამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძრაობა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:

http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2017, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on **Administrative Cases**
(in Georgian)
2017, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2017, №4

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2017, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი

დისკიციონაციის ფაზის დადგენა მოხელის
სამსახურიდან გათავისუფლებისას

განხილვა

№ბს-834-826(23-16)

16 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.08.2016წ.
განჩინება

აღნერილობითი ნაწილი:

22.11.2014წ. ნ. ა-ერ სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას თბი-
ლისის მუნიციპალიტეტის მერიის, თბილისის მერიის კადრების
განყოფილების უფროსის – ნ. ს-ასა და თბილისის მერიის კად-
რების განყოფილების უფროსის მოადგილის – ვ. გ-ას მიმართ
და მოითხოვა თბილისის მერიის, თბილისის მერიის კადრების
განყოფილების უფროსის – ნ. ს-ასა და თბილისის მერიის კად-
რების განყოფილების უფროსის მოადგილის – ვ. გ-ას მიერ ნ. ა-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის დადას-
ტურება; სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 24.10.2014წ. №1318 ბრძანების ბათილად ცნობა მისი ძალაში შესვლის დღი-
დან; ნ. ა-ის სამსახურიდან გათავისუფლებაზე ბრძანების არა-
კანონიერად აღიარება, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიი-
სათვის ქმედების განხორციელების დავალება – ნ. ა-ის სამსა-
ხურში აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება სრუ-
ლად; საჯარო მოხელეების – ნ. ს-ასა და ვ. გ-ას განზრახი მოქ-
მედებით მიყენებული ზიანის გამო, დისკრიმინაციული შევიწ-
რობებისა და მოპყრობის შედეგად ნ. ა-ისათვის მიყენებული მო-
რალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება ნ. ს-ასა და ვ. გ-ას-
თვის, თბილისის მერიისთან სოლიდარულად – 3 000 ლარის ოდე-

ნობით.

27.01.2015წ. განცხადებით 6. ა-ის წარმომადგენელმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ითხოვს 6. ა-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ თბილისის მერიის 24.10.2014წ. №1318 ბრძანების ბათილად ცნობას მისი ძალაში შესვლის დღიდან; მერიისათვის მოქმედების განხორციელების დავალებას, კერძოდ – მოსარჩელე 6. ა-ის სამსახურში აღდგენას და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას სრულად, 6. ა-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან მის სამსახურში აღდგენის დღემდე; თბილისის მუნიციალიტეტის მერიის მიერ მოსარჩელე 6. ა-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობისა და შევინროების დადასტურების შემთხვევაში თბილისის მუნიციალიტეტის მერიისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 5 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. ამავე განცხადებით, მოსარჩელემ შეამცირა მოპასუხეთა წრე და მოპასუხედ მხოლოდ თბილისის მუნიციალიტეტის მერია დაასახელა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იყო თბილისის მუნიციალიტეტის მერიის მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის განათლებისა და კულტურის განყოფილების ნამყვანი სპეციალისტი, თბილისის მერიაში სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში პოლიტიკური ორგანიზაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს დაიწყო, კერძოდ, 2009 წლიდან მოყოლებული იგი მერიაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. 6. ა-ე 24.10.2014წ. №1318 თბილისის მერის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ, როგორც დედაქალაქიში, ისე სხვადასხვა რეგიონში, თვითმმართველობის ორგანოებიდან საჯარო მოხელეების მასობრივი გათავისუფლებები დაიწყო, რაც ბადებს ეჭვს და იძლევა მაღალი ალბათობით ვარაუდის საფუძველს, რომ სამსახურიდან მოხელეების მსგავს გათავისუფლებებში ადგილი აქვს მიკერძოებულ, დისკრიმინაციულ მიდგომებს, პოლიტიკური პარტიისადმი „კუთვნილების“ გამო. თავდაპირველად მას სამსახურიდან წასვლის განცხადების დაწერა შესთავაზეს, რის შემდეგაც, მათი განმარტებით, მოვალეობის შემსრულებლად უფრო დაბალი თანრიგის პოზიციაზე აიყვანდნენ. აღნიშნულზე 6. ა-ემ კატეგორიული უარი განცხადა, რის შემდეგაც მოხდა მისი გათავისუფლება. გათავისუფლების ბრძანებაში საფუძვლად მითითებულია რეორგანიზაცია, რომელსაც მოყვა შემცირება, თუმცა სინამდვილეში

რეორგანიზაციას არათუ შემცირება, არამედ კადრების გაზრდა მოჰყვა. რეორგანიზაციის შემდეგ ცალკე ჩამოყალიბებულ – განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური დამატებით კიდევ ერთი წამყვანი სპეციალისტის შტატს ითვალისწინებს, განათლების პროგრამების განყოფილებაში. შესაბამისად, რეორგანიზაციის შედეგად ჯამში სულ ოთხი საშტატო ერთეული განისაზღვრა იმ თანამდებობებისთვის, რომლებიც მსგავსი და ექვივალენტურია მოსარჩელის ყოფილი თანამდებობისა. ამდენად, აღნიშნულ თანამდებობაზე მოსარჩელე თავისუფლად შეძლებდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და არ არსებობდა დაბალი თანრიგის თანამდებობაზე მისი მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანის საჭიროება. სამსახურიდან გათავისუფლეს იგი რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ შესაბამის თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელების, მისი შესაძლებლობის გამოკვლევის გარეშე. ამდენად, მოსარჩელე თვლის, რომ მისი გათავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული შეგინროებისა და მოპყრობის პირობებში, პოლიტიკური შეხედულების ნიშნით.

15.04.2015წ. მოსარჩელე ნ. ა-ის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ნ. ა-ის სამსახურიდან გათავისუფლების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ იქნეს აღდგენილი სამსახურში, წამყვანი სპეციალისტის თანამდებაზე მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში ან მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა საქალაქო სამსახურში ან შესაბამის სამსახურში, რამეთუ დავის საბოლოოდ დასრულებამდე ნ. ა-ეს მიადგება გაუმართლებელი და მნიშვნელოვანი ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.01.2016წ. განჩინებით ნ. ა-ის სარჩელიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტის ბათილად (ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები და ნ. ა-ის სარჩელი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.01.2016წ. განჩინებით გასწორდა მოცემულ საქმეზე ამავე კოლეგიის 06.01.2016წ. განჩინებაში დაშვებული უსწორობა და დასახელებულ განჩინებაში მისი მიღების თარიღი და 06.01.2015წ.-ს ნაცვლად მიეთითა 06.01.2016წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.01.2016წ. გადაწყვეტილებით 6. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 24.10.2014წ. №1318 ბრძანება და მოპასუხეს დაევალა ერთი თვის ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად 6. ა-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96.2, 96.3 და 97.1 მუხლების თანახმად, დაწესებულებაში განხორციელებული რეორგანიზაცია მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს მხოლოდ იმ შემთხვევაში ქმნის, თუ მის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისი საშტატო ერთეული უქმდება. საშტატო ერთეული გაუქმებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ფუნქციური დატვირთვით ამგვარი თანამდებობა აღარ არსებობს და ახალი საშტატო ერთეულის განისაზღვრება სხვა უფლება-მოვალეობები და ამგავრი საშტატო ერთეული დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

კოლეგიის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს ადმინისტრაციულ ორგანოში განხორციელებული რეორგანიზაციით ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის ნაცვლად ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური. ამასთან, დასახელებული საქალაქო სამსახურების დებულებებიდან გამომდინარე, არ მომხდარა ფუნქციურად ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, არამედ ერთი საქალაქო სამსახურიდან გამოყოფილ გობრივად განსხვავებული ორი სამსახური, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ სამსახურებში შექმნილი შტატებიც შესაბამისობაში დარჩა იმ ამოცანებთან და ფუნქციებთან, რაც თავდაპირველ გაერთიანებულ სამსახურში ერთი მხრივ განათლებისა და კულტურის განყოფილებას, ხოლო მეორე მხრივ – სპორტის, სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის განყოფილებებს გა-

აჩნდათ. დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, რეორგანიზაციის შედეგად შტატების რაოდენობა, საერთო ჯამში, მართალია შემცირდა, თუმცა შტატი, რომლიდანაც მოსარჩელე გათავისუფლდა, დაწესებულებაში შენარჩუნდა. რეორგანიზაციამდე განათლებისა და კულტურის განყოფილებაში იყო წამყვანი სპეციალისტის სამი შტატი, რეორგანიზაციის შემდეგ კი კულტურის საქალაქო სამსახურის კულტურისა და ხელოვნების მუნიციპალური დაწესებულებების მართვის და კოორდინაციის განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტის ორი შტატი, ხოლო კულტურისა და ხელოვნების მუნიციპალური ობიექტების განვითარების ხელშეწყობის განყოფილებაში ერთი შტატია. ამგვარ პირობებში, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს პქონდა ვალდებულება, ემსჯელა მოსარჩელის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ სამსახურში გადაყვანის თაობაზე, გადაყვანის შეუძლებლობა თუ მიზანშეუნიჩლობა კი დაესაბუთებინა სათანადო წესით, რასაც ადგილი არ ჰქონია.

კოლეგიამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებშიც ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ. ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება 6. ა-ის გათავისუფლების თაობაზე არ ემყარება ზემოაღნიშნული პრინციპით საქმის განხილვასა და მიღებული ბრძანების დასაბუთებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 და 96.2 მუხლების შესაბამისად გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემობა, გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.4 მუხლის მიხედვით დაესაბუთებინა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადაცო აქტი გამოცემულია კანონმდებლობის დანაწესების უგულებელყოფით, იგი სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლის საფუძველზე და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკ-

ვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.01.2016წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მხარეების მიერ. აპელანტმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ნ. ა-ის სარჩელი და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ხოლო აპელანტმა ნ. ა-ემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სადაცვო საკითხის არსებითად გადაწყვეტის გზით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.08.2016წ. განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ნ. ა-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.01.2016წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მითითებით, მან გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას შემოიფარგლა მათზე მითითებით და დამატებით აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ქ. თბილისის მერის 24.10.2014წ. №1318 ბრძანება, რომლითაც ნ. ა-ე განთავისუფლდა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის განათლებისა და კულტურის განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97.1 მუხლი და ბრძანების კანონიერება შეფასებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. მერიის 01.04.11წ. №420 ბრძანებით ნ. ა-ე დაინიშნა მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის განათლების და კულტურის განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობაზე. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23.09.14წ. №9-17 და 23.09.14წ. №9-18 დადგენილებით დამტკიცებული დებულებების მიხედვით, ქ. თბილისის მერიაში ჩამოყალიბდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური. სააპელაციო

პალატამ მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება შეეთავაზა თუ არა რეორგანიზაციის პროცესში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა, 24.10.14წ. ოქმი არ შეიცავს შესაბამის ინფორმაციას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97.2 მუხლი ამკრძალავი ხასიათისაა და დაუშვებლად მიიჩნევს მოხელის გათავისუფლებას, თუ იგი თანახმაა სხვა თანამდებობაზე დანიშვნაზე, ამგვარი თანხმობა კი თავისთავად განაპირობებს ადმინისტრაციის მხრიდან შეთავაზების აუცილებლობას. პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ა-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანოს მიერ დაირღვა კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დანარესი, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება ნ. ა-ეს რეორგანიზაციის პროცესში შეეთავაზა თუ არა სხვა თანამდებობაზე დანიშვნა. საქმეში არ მოიპოვება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მტკიცებულებები. ორგანოს არ გაურკვევია ასრულებდა თუ არა მოსარჩევე სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად, საქმის მასალებიდან არ დგინდება, მისცა თუ არა ობიექტური შეფასება ადმინისტრაციულმა ორგანომ მოხელის გათავისუფლებისას მისი პროცესითანალიზმისა და კომპეტენტურობის ხარისხს. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება სადაც აქტის უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე და აღნიშნა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო ჩატარებინა შესაბამისი სახის ადმინისტრაციული წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.08.2016წ. განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა მხარეების მიერ.

კასატორი ნ. ა-ე აღნიშნავს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, რადგან სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სასკ-ის 32.4 მუხლი. აღნიშნულ მუხლს სასამართლო იყენებს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე ისეთი კონკრეტული გარემოება, რომლის შესწავლა და გამოკვლევა სცილდება სასამართლოს შესაძლებლობის ფარგლებს და რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს შესწავლილი და გამოკვლეული უნდა ჰქონოდა. კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში სახეზე არ არის რომელიმე ისეთი გარემოება, რომლის გამოკვლევა სცილდება სასამართლოს შესაძლებლობებს და აღნიშნული დავის ბედს მთლია-

ნად წყვეტს მარტოოდენ იმ გარემოების დადგენა, ნ. ა-ის გათა-ვისუფლების დროს ჰქონდა თუ არა ადგილი კადრების შემცი-რებას რეორგანიზაციის პროცესში, თუმცა სასამართლოს სა-ერთოდ არ უმსჯელია და გამოუკვლევია აღნიშნული გარემოე-ბა.

კასატორი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 10.08.2016წ. განჩინების გაუქმებას გასაჩივრე-ბულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. კასატორის მითითებით საქ-მეში დაცული დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ დაწესე-ბულებაში ადგილი ჰქონდა შტატების შემცირებას. ამასთან, მო-ხელეთათვის შეთავაზებულ იქნა შესაბამისი თანამდებობები დაწესებულებაში მოხელეთა უპირატესი დარჩენის საკითხის გათვალისწინებით, თუმცა მოხელეთა ნაწილმა არ გამოთქვა შე-თავაზებული თანამდებობის დაკავების სურვილი, მათ შორის ნ. ა-ემ. შესაბამისად, იგი თანამდებობიდან გათავისუფლდა „სა-ჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97.1 მუხ-ლის თანახმად. კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას და-ნესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას და სასამართლოს მითითებას თანამშრომლის კვა-ლიფიციურობის და სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინ-დისიერების გამოკვლევასთან დაკავშირებით არანაირი კავში-რი არ აქვს მოცემულ შემთხვევასთან. როდესაც ხდება დაწე-სებულებიდან შტატების შემცირების გამო თანამშრომლის გა-თავისუფლება, კანონმდებლობა არ აკეთებს არანაირ დათქმას მოხელის კვალიფიციურობასთან დაკავშირებით. აქედან გამომ-დინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.08.2016წ. გან-ჩინება გასაჩივრებულ ნაწილში არის დაუსაბუთებელი და სასა-მართლოს მიერ არასწორად იქნა დადგენილი საქმისათვის არ-სებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასა-ციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გა-რემოვებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის მუნიციპა-ლიტეტის მერიის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე 6. ა-ის მიერ აღძრულ სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.01.2016წ. განჩინებით ცალკე წარმოქადა გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები და 6. ა-ის სარჩელი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად განსჯადობით გადაეცვავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელმაც სადავოდ გახადა განსჯადობა და სასკ-ის 26-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად მიმართა საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.2016წ. განჩინებით 6. ა-ის სარჩელი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექცემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს არა დამოუკიდებლად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და აღნიშნულიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას ან დისკრიმინაციული ქმედების შენწყვეტას, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, რის საფუძვლადაც უთითებს დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობას. საკასაციო პალატის მიერ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტამდე, პირველი და სააპელაციო ინსტაციების სასამართლოებმა დავის დანარჩენი ნაწილი გადაწყვეტეს. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დაზუსტებას მოითხოვს დავის საგანი. ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობისა და აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში უნდა მოხდეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დაეყრდნოს დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სრულად არ იქნა გამოკვლეული გარემოება,

რომლის სამართლებრივი ანალიზისა და მისგან მიღებული დასკვნის გარეშე შეუძლებელია დავის გადაწყვეტა.

საქმეში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო
პალატა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის კანონიერების განხილვისას შემოიფარგლა აქტის მხო-
ლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმებთან შესა-
ბამისობის შემოწმებით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის
საკმარისი სადაც აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძ-
ვლების დასადგენად. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას მო-
ცემული დავისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან
აღნიშნული ფაქტის დადგენა უკავშირდება სადაც აქტის ბა-
თილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და ზიანის ანაზღაუ-
რებას. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის
მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინა-
რე მოთხოვნებია და ისინი ერთად უნდა განხილულიყო. სასარ-
ჩელო მოთხოვნა კომპლექსურია და უკავშირდება არა მხოლოდ
დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, არამედ იმ ძირითადი უფ-
ლების აღდგენას, რომელიც დისკრიმინაციის შედეგად დაირ-
ღვა, ფაქტის დადგენა უკავშირდება მის შეწყვეტას ან/და მისი
შედეგების აღმოფხვრას.

ლებელია აქტის კანონიერებაზე მსჯელობა. სსკ-ის 363³ მუხლის თანახმად, სარჩელის აღდვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონდა. აღნიშნული პროცედურის გარეშე სასამართლო აქტის მიღება ადასტურებს გადაწყვეტილების კანონით დარღვევით მიღებას.

დასკრიმინაციის ფაქტი გამოვლინებას პოულობს მოქმედებაში/უმოქმედობაში, აქტის გამოცემაში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დისკრიმინაციის დადგენის საკითხი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან, რომ მათი განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია. დისკრიმინაციის მოტივით გამოცემული აქტი ვერ ჩაითვლება კანონიერად, რამდენადაც დისკრიმინაციი არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული თანასწორობის უფლებას, არღვევს აგრეთვე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მოთხოვნას ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. შესაბამისად, შეუძლებელია აქტის კანონიერებისა და დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის განცალკევებულად განხილვა, რაც დადასტურდა საკასაციო სასამართლოს 22.09.16ნ. განჩინებით, რომელშიც აღნიშნა არა მხოლოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის დაზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიის განმხილველი სასამართლოს განსჯადობა, არამედ აგრეთვე მოცემული დავის გადაწყვეტისათვის სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებული შედეგის ერთად განხილვის საჭიროება.

სააპელაციო პალატამ არ შეაფასა საქმეში დაცული მასალები, არ დაადგინა სრულყოფილად საქმის გარემოებები. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23.09.2014ნ. №9-17 და 23.09.2014ნ. №9-18 დადგენილებით დამტკიცებული დებულებების შესაბამისად, ქ. თბილისის მერიაში ჩამოყალიბდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური. სააპელაციო სასამართლოს ეს დასკვნა არ ეყყარება საქმის მასალებს, რომელთა მი-

ხედვით ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში შეიქმნა ახალი სტუქტურული ერთეულები: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 23.09.14წ. №9-17 დადგენილება); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური (საკურებულოს 23.09.14წ. №9-18 დადგენილება) და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (საკურებულოს 23.09.14წ. №9-19 დადგენილება). რეორგანიზაციამდე არსებულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, კულტურის საქალაქო სამსახურში ასევე არსებობდა სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის, განათლების, კულტურის და სპორტის განყოფილებები. საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდა ემართება, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. რეორგანიზაციის შედეგად სამსახურის ან საშტატო ერთეულის მხოლოდ სახელწოდების შეცვლა დაქვემდებარებისა და ფუნქციური ცვლილების გარეშე, არ ნიშნავს საშტატო ერთეულის გაუქმებას. რეორგანიზაციის შედეგად შესაძლოა შეიცვალოს ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა, განსხვავებულად ჩამოყალიბდეს კონკრეტული სამსახურები, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს. შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობის იდენტურობის დადგენის მიზნით სააპელაციო პალატას დეტალურად უნდა გაეანალიზებინა რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ყველა სტრუქტურული ერთეული. სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა ახალი საშტატო ერთეულების წარმოქმნის საკითხიც.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ა-ე 01.04.11წ. №420 განკარგულებით დაინიშნა სპეციალისტის თანამდებობაზე. საქმეში დაცული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 08.08.11წ. №1052 განკარგულებით ნ. ა-ე დაინიშნა მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის განათლებისა და კულტურის განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამი-

სად (ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა განუსაზღვრელი ვა-დით). სწორედ წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გა-თავისუფლდა ნ. ა-ე მერიის სადავო 24.10.14ნ. №1318 ბრძანე-ბით.

სააპელაციო პალატა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანო-ნის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოშველიებით განმარტავს, რომ მითითებული ნორმა ამკრძალავი ხასიათისაა და დაუშვებლად მიიჩნევს მოხელის გათავისუფლებას, თუ იგი თანახმაა სხვა თა-ნამდებობაზე დანიშვნაზე, ამგვარი თანხმობა თავისთავად გა-ნაპირობებს ადმინისტრაციის მხრიდან შეთავაზების აუცილებ-ლობას, აღნიშნული პირობა, სააპელაციო პალატის აზრით, არის საჯარო მოხელეთათვის კანონით დადგენილი გარანტიების ერთ-ერთი სახე, რაც უნდა იქნეს დაცული ადმინისტრაციის მი-ერ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო პალატა ასკვნის, რომ პი-რის გათავისუფლება არ დაიშვებოდა, თუ იგი თანახმა იყო სხვა თანამდებობაზე დანიშვნაზე. ენაბიდან შეთავაზებას ადგილი არ ჰქონია, სააპელაციო პალატა უთითებს, რომ ნ. ა-ის სამსახუ-რიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიღებისას მოპა-სუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა ადმინისტრა-ციული ორგანოს მიერ გათავისუფლებული პირისათვის სხვა თა-ნამდებობის შეთავაზების თაობაზე კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დანაწესი. საკასაციო პალატა თვლის, რომ საა-პელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ ითვალისწინებს კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 23.12.05ნ. კანო-ნით შეტანილი ცვლილებებით გაუქმდა 97-ე მუხლის მე-2 პუნ-ქტი. შესაბამისად, გათავისუფლების პირობად ადმინისტრაცი-ის მიერ თანამდებობაზე გადაყვანის შეთავაზების ვალდებუ-ლების მითითება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. სა-აპელაციო პალატის ეს მოსაზრება არ ემყარება აგრეთვე საქ-მის მასალებს. საქმეში დაცულია 24.10.14ნ. შეხვედრის ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში მომუშავე თანამშრომლებისათვის რეორგანიზაცი-ის შედეგად სხვადასხვა თანამდებობებზე შეთავაზებისა და თანხმობის მიღების მიზნით გაიმართა შეხვედრა. მოსარჩევე სასარჩელო განცხადებაში თავად აღნიშნავს, რომ მას შესთა-ვაზეს მოვალეობის შემსრულებლად უფრო დაბალი თანრიგის პოზიციაზე აყვანა, რაზედაც ნ. ა-ემ უარი განაცხადა. საკასა-ციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-

ნონის 43-ე მუხლის თანახმად, სხვა თანამდებობაზე ან სხვა ადგილმდებარეობის სამუშაოზე მოხელის გადაყვანა, აგრეთვე, მისთვის დაკავებული თანამდებობით გაუთვალისწინებელი დავალების დაკისრება დასაშვებია მხოლოდ მოხელის თანხმობით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან 97-ე მუხლის შესაბამისად, თუ მას თან სდევს შტატებით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება, გაუქმდა საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება ადრინდელი ფუნქციური დატვირთვის მქონე თანამდებობის არარსებობის, სხვა საშტატო ერთეულით სხვა უფლება-მოვალეობების მქონე ახალი საშტატო ერთეულის შემოღებით, რომლის დასაკავებლად პირი სხვა კრიტერიუმებს უნდა პასუხობდეს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებითი სამართლებრივი მნიშვნელობის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს არ გაურკვევია ჰქონდა თუ არა ადგილი რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირებას. ადმინისტრაციულ ორგანოს თავის მხრივ არ დაუსაბუთებია რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ მსგავს საშტატო ერთეულზე 6. ა-ის გადაყვანის შეუძლებლობა. შესაბამისი სამსახურის ექვივალენტური თანამდებობის დასადგენად სამსახურს არ მოუხდებია სამსახურიდან გათავისუფლებამდე 6. ა-ეზე დაკისრებული ფუნქციების და ახლად შექმნილი შესაბამისი სამსახურების შტატების ფუნქციონალური ანალიზი.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნას ამყარებს ადმინისტრაციის მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას და ცალკე მოთხოვნის სახით აყენებს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, ამასთანავე, ვინაიდნან დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნაა, ხოლო საკასაციო სასამართლოს 22.09.16ნ. განჩინებით დადგენილია მოსარჩელის მოთხოვნების ერთად განხილვა, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენება შესაძლებელია აქტის და არა ქმედების (მოცემულ შემთხვევაში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის) დადგენის მიმართ, საკასაციო პალატა თვლის, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის განხილვა სასამართლოს და არა ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის

მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. საკ-ის 363⁵ მუხლის თანახმად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებისა და დისკრიმინაციის მსხვერპლის სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ან გადაწყვეტილება დისკრიმინაციის მსხვერპლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, საფუძველს არის მოკლებული საკ-ის 32.4 მუხლზე დაყრდნობით, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ადმინისტრციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი დავის გადაწყვეტა საჭიროებს გარკვეული ფაქტების დადგენას, ვინაიდან სამართლით რეგულირებული ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ ფაქტების საფუძველზე, ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის წორმა გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს. მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს შორის სხვაობა პირობითია, დავის გადაწყვეტისათვის საჭირო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას სწორედ რომ სამართლებრივი დატვირთვა აქვს, დასადგენ ფაქტებს, სახელდობრ სამართლებრივი ასპექტის გამო აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ავტომატურად მოჰყვება დისკრიმინაციის შედეგის აღმოფხვრა. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში საქმის სხვა გარემოებებს, რომელთა გამოსაკვლევად საკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სასამართლომ დავის გადაუწყვეტლად საქმე დაუბრუნა ადმინისტრაციას, მოსარჩელის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის არ ექნებათ არსებითი მნიშვნელობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო პალატა არ უთითებს კონკრეტულ გარემოებებს, რომლებიც უნდა იქნეს გამოკვლეული ადმინისტრაციის მიერ, განჩინება არ შეიცავს არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ იყო შესაძლებელი სააპელაციო სასამართლოსათვის, როგორც ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების დამდგენი სასამართლოსათვის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. საკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე დავის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობა ხდება იმ შემთხვევა-

ვაში, როდესაც ადმინისტრაციას არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე კონკრეტული გარემოების გამოკვლევის გარეშე აქვს გამოცემული აქტი. მოცემულ შემთხვევაში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა სასამართლოს კომიტენციის სფეროს განეკუთვნება. სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, არა შებოჭილი პროცესუალური შესაძლებლობით დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს მტკიცებულებები. სსკ-ის 105.2 მუხლის საფუძველზე სასამართლომ მტკიცებულებების შეფასების შედეგად სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სასამართლოს მიერ სარჩელის განხილვა დავის უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე მსჯელობის – დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის გარკვევის გარეშე, ქმნის სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს – გასაჩივრებული განჩინება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსკ-ის 249-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ასახავდეს სასამართლოს შემეცნებით მსჯელობას ფაქტებთან დაკავშირებით (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებით მსჯელობას დადგენილი ფაქტების იურიდიული მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ პასუხობს ხსენებულ მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამდღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახლი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით საკასაციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს აქტების კანონიერებაზე და არა აქვს მიზნიშებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების, თუ წინმსწრები განჩინებების გაუქმების უფლებამოსილება. სსკ-ის 404.2 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად შესაძლოა აგრეთვე იყოს სა-

აპელაციო სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. ამდენად, საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ მოთხოვნა არ ემყარება საპროცესო კანონმდებლობის რაიმე დანაწესს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახლი განხილვისთვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ა-ისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.08.2016წ. განჩინება და საქმე ხელახლი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**რეორგანიზაციის დროს კონკრეტული
სტრუქტურული ერთეულის გაუქმების გამო მოხელის
სამსახურიდან განთავისუფლების კანონიერება**

განჩინება

№ბს-105-104(კ-17)

29 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ჩინჩიალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე,
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შე-
ამონმა თ. ა-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლე-
ბის არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-
ტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩი-
ნების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 28 სექტემბერს თ. ა-მა სასარჩელო განცხადებით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს სასჯელაღსრუ-
ლებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მისი გათავისუფლების შესახებ საქართველოს
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 1
სექტემბრის №MCLA 9 15 00005067 ბრძანების ბათილად ცნო-
ბა, სამსახურში აღდგენა და გათავისუფლების დღიდან სასა-
მართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი გა-
ნაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით
თ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება სა-
აპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებუ-
ლი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით თ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება საკასაციონი წესით გაასაჩივრა თ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. ამასთან, კასატორი არ ეთანხმება საქმეზე დადგენილ ფაქტორივ გარემოებებს და მოუთითებს, რომ მასთან ერთად მუშაობდნენ სხვა პირებიც, რომლებიც მის მსგავსად იყვნენ საზოგადოებრივი მისაღების კონსულტაციები, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, მის გარდა არცერთი მათგანი არ განთავისუფლებულა და ისინი მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ აგრძელებდნენ მუშაობას.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებულ განჩინებაში საუბარია, რომ მოსარჩელესთან ერთად მომუშავე პირები 2015 წლის 17 დეკემბერს დაინიშნენ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საზოგადოებრივ მისაღებში, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლის 17 დეკემბრამდე აღნიშნული პირები მე-... დანესებულებაში იყვნენ დასაქმებულები და იმავე ფუნქციას ასრულებდნენ, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა 2015 წლის 17 დეკემბრამდე დაიკავა მისი თანამდებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული თ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ აქმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას

შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის და-საშვებობის ამომნურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მი-ერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გა-დაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერ-თგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქარ-თველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებ-რივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო სა-ჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებუ-ლი გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკით-ხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებუ-ლი პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განი-ხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქ-მედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ სა-კითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-მართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სა-კასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძ-ულით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასა-მართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდ-რებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შე-დეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან გან-სხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდე-გება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-ვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვი-

სა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარნყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტორივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში თ. ა-ი სადაცვოდ ხდის მისი გათავისუფლების შესახებ საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 1 სექტემბრის №MCLA 9 15 00005067 ბრძანების კანონიერებას, რომლის საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი და 109-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე კანონის 97-ე მუხლი იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. ამასთან, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს დაწესებულების ან სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო. ამდენად, რეორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს.

ამასთან, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას, საკასაციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მო-

ხელეთა განთავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს სრულად უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული/სტრუქტურული ერთეული. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად მე-... დაწესებულებაში გაუქმდა სტრუქტურული ერთეული „საზოგადოებრივი მისამები“. ამდენად, თ. ა-ის გათავისუფლების შესახებ საქართველოს საჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 1 სექტემბრის №MCLA 9 15 00005067 ბრძანების კანონიერების შემოწმებისათვის უნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის დროს გაუქმდა სწორედ ის სტრუქტურული ერთეული – „საზოგადოებრივი მისალები“, რომელშიც თ. ა-ი მუშაობდა.

ამასთან, საქმის მასალების მიხედვით საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ კასატიონის მიერ მითითებული პირები კონკურსის წესით დაინიშნენ საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საზოგადოებრივ მისალებში და არა მე-... დაწესებულების საზოგადოებრივ მისალებში, სადაც დასაქმებული იყო შოსარჩევე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – ნარმატების პერსპექტივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არცერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

გამოსაცდელი ვალის არადაგავაყოფილებელი შეძეგვების გამო სამსახურიდან გათიავისუფლების კანონიერება

განხილვა

№ბს-96-95(კ-17)

29 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა ე. ე-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 25 მაისს ე. ე-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ სააგნგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 22 აპრილის №853121 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსა-

ხურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საქოთხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 22 აპრილის №853121 ბრძანება ე. ე-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ე. ე-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ე-მა, რომელმაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ, რომელმაც გაასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინებით ე. ე-ის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ე-მა, რომელმაც გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი – ე. ე-ი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს გადაწყვეტილებას მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადაც საკითხის გადაუწყვეტლად გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. კასატორის მითითებით, მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მისთვის შინაგანანესის გაცნობის შესახებ დოკუმენტი ან გაცნობის დადასტურების ხელმოწერის მტკიცებულება. ამასთან, სასამართლოს დაგალების მიუხედავად, მის წინააღმდეგ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები იმის შესახებ, რომ იგი თითქოს ვერ უზრუნველყოფდა განყოფილებაში შესული შეტყობინებების ზუსტ გადაცემასა და რეგისტრაციას, გამომდახების ადგილზე დროულ გაგზავნას და ხშირ შემთხვევაში ეკიპაჟის არაზუსტ მისამართზე გაგზავნას, რის გამოც ფერხდებოდა სამაშველო სამუშაოების დროული აღკვეთა, მოპასუხემ ვერ დაადასტურა მტკიცებულებებით.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით შეფასების აქტში მითითებული არ არის გაცემის თარიღი. შეფასების აქტიდან ნათლად ჩანს პრეტენზია ე. ე-ის მიმართ შინაგანანესის მოთხოვნების შეუსრულებლობაზე, ხოლო შინაგანანესი დამტკიცდა 2015 წლის 7 აპრილს. ამდენად, შეფასების აქტი შინაგანანესის დამტკიცებამდე ვერ გამოიცემოდა.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მოსარჩელის მხრიდან მისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას. იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ ვერ წარადგინა მისთვის შინაგანანესის გაცნობის შესახებ მტკიცებულება და ამასთან, იგი გაათავისულეს 2015 წლის 10 აპრილიდან, ხოლო შინაგანანესი კი დამტკიცდა 2015 წლის 7 აპრილს, კასატორი დაუშვებლად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის ხელახლა განხილვის დავალებას. კასატორის მითითებით, გაუგებარია რა ახალი ფაქტები უნდა დაადგინოს ადმინისტრაციულმა ორგანომ, თუ მან მტკიცებულებები ვერ წარუდგინა ვერც საქალაქო და ვერც სააპელაციო სასამართლოს. კასატორის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ მას არ გააცნეს შინაგანანესი და ისე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან მასზე მითითებით, წარმოადგენს არსებით დარღვევასა და მისი სამსახურში აღდგენის უპირობო საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსაზრებით, სასამართლოს მიერ არასრულად იქნა შეფასებული ე. ე-ის გათავისუფლების საფუძველი. კასატორის მითითებით, ე. ე-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 22 აპრილის №853121 ბრძანება გამოცემულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე, მისი ფორმალური და მატერიალური კანონიერების წინაპირობების დაცვით, რომელსაც საფუძვლად დაედო გამოსაცდელი ვადის შეფასების აქტი, რითაც დაცულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კიდევესის 96.1 მუხლის მოთხოვნა ადმინისტრაციული წარმოებისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი სწორედ შეფასების აქტში იქნა ასახული.

კასატორის განმარტებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების მე-14 მუხლი ადგენს პირის გამოსაცდელი ვადით მიღების წესს. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მონაბეჭდი პირის კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე უნდა მოხდეს გამოსაცდელი ვადის გამოყენების შედეგების შეფასება. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი კი ადგენს, რომ შეფასების აქტი დგება წერილობითი ფორმით უშუალო უფროსის მიერ. გამოსაცდელი ვადის არადამატაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში პირი შესაბამისი სამართლებრივი აქტით თავისუფლდება სამსახურიდან. კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია ე. ე-ის მიმართ შედეგენილი შეფასების აქტი, რომლითაც გამოსაცდელი ვადის განმავლობაში კანდიდატის საქმიანობა შეფასებულია არადამატაყოფილებლად. კასატორის განმარტებით, შეფასების აქტი ასახეს კანდიდატის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობას, საქმიან უნარ-ჩვევებს და პირადი თვისებების შესაბამისობას დაკავებული თა-

ნამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. ამასთან, კანონმდებლობით არ არის მოთხოვნილი, რომ თითოეული შეფასება დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით.

კასატორი არასწორად მიიჩნევს სასამართლოს მითითებას შესაფების აქტში მითითებულ მხოლოდ ერთ გარემოებაზე – შინაგანანესის დარღვევის გამო მტკიცებულებების არქონაზე, რადგან შინაგანანესის დარღვევის გარდა შეფასების აქტში მითითებულია, რომ ე. ე-ი თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა არადამაკმაყოფილებლად, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას. მას სიტყვიერი გაფრთხილებაც კი აქვს მიღებული სამსახურში დროულად გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, ასევე გამოთქვამდა უკმაყოფილებას დაკავებულ პოზიციაზე დანიშნუნის თაობაზე. მისი ამგვარი დამოკიდებულება კი ცუდად აისახა განყოფილების მუშაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ე. ე-ი სამსახურიდან გათავისუფლდა გამოსაცდელი ვალის განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო კანონით მოთხოვნილ პროცედურათა დაცვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალტის 2017 წლის 3 თებერვლის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ე. ე-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ე-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გა-

დაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის შე-3 წაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშ-

ვწელოვანი დარღვევით. კასატორები საკასაციო საჩივრებში ვერ აქარნყლებენ საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად შეუძლებელი ხდება სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსაზრებას სადაც ბრძანების კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ე. ე-ი დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადით. მართალია გამოსაცდელი ვადის შედეგების შეფასება განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, თუმცა მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებული იქნა ეს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეფასების აქტი, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის გათავისუფლებას, არ შეიცავს გამოცემის თარიღს, ამასთან, მიუთითოს ე. ე-ის მიერ შინაგანანწესის დარღვევაზე იმ პირობებში, როდესაც შინაგანანწესი დამტკიცებულია მოსარჩელის გათავისუფლებამდე 3 დღით ადრე, აღნიშნული კი აჩენს საფუძვლიან ეჭვს ე. ე-ის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე და ადასტურებს მოცემულ შემთხვევის

კაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების საჭიროებას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებისა, დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის – ე. ე-ის მოსაზრებას სამსახურში უპირობო აღდგენასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქმეზე დადგენილი გარემოებები არ იძლევა დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე 2015 წლის 10 იანვრიდან დანიშნული იყო 3 თვის გამოსაცდელი ვადით და 2015 წლის 10 აპრილს მას გაუვიდა გამოსაცდელი ვადა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამოსაცდელი ვადის დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში გამოიცემა სამართლებრივი აქტი პირის თანამდებობაზე მიღების შესახებ. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ე. ე-ს გაუვიდა გამოსაცდელი ვადა და განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს – ე. ე-ის გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გათავისუფლების კანონიერების დადგენა წარმოადგენს, სადაც აქტის არსებითად ბათილად ცნობის შემთხვევაშიც განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელის უპირობო აღდგენა შეუძლებელია.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად სახეზეა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე და 127.6 მუხლების საფუძველზე იძულებითი განაცდური ანაზღაურდება მხოლოდ მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო გა-

საჩივრებული ბრძანება, სასამართლო მოკლებულია შესაძლებელობას მიღებით გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივრებს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრები არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ე-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამოსაცდელი ვალის არადაგაკმაყოფილებელი შეძლების გამო სამსახურიდან განთავისუფლების კანონირება

განხილვა

№ბს-111-110(კ-17)

29 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ.ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე,
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შე-
ამოწმა მ. თ-ის საქასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლე-
ბის არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-
ტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩი-
ნების გაუქმების თაობაზე.

აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 21 დეკემბერს მ. თ-ემ სასარჩელო განცხადებით
მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხების –
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გ. ჯ-ას მიმართ.

მოსარჩელემ მისი გათავისუფლების შესახებ მცხეთის მუ-
ნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 დეკემბრის №კ-545
ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულე-
ბითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 თებერვლის
საოქმო განჩინებით მოპასუხედ განისაზღვრა მცხეთის მუნი-
ციპალიტეტის გამგეობა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 16 მარტის სა-
ოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე-
სო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში
მესამე პირად ჩაება ლ. ფ-ე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით მ. თ-ის
სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაცო საკითხის გა-
დაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მცხეთის მუნიციპალი-

ტეტის გამგებლის 2015 წლის 11 დეკემბრის №ქ-545 ბრძანება მ. თ-ის თანამდებობიდან გათაცისუფლების თაობაზე და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულდა დაკმაყოფილება მოითხოვა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაშა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მ. თ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ დაკმაყოფილეს მისი მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებით გაცდენილი პერიოდისთვის შრომითი გასამრჯველოს ანაზღაურების შესახებ. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნულ ნაწილში სასამართლომ არ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებენ ადმინისტრაციული ორგანისათვის უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენის დავალებასა და იძულებით გაცდენილი პერიოდისთვის შრომითი გასამრჯველოს ანაზღაურებას.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ მოპასუხე მხარეს სადავო ბრძანების საფუძვლად არსებულ მოხსენებით ბარათში

მითითებული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება არ წარუდგენია, რაც ცალსახად მიუთითებდა მისი გათავისუფლების საფუძვლის არარსებობაზე. კასატორის მოსაზრებით, სასამართლო საკუთარი ინიციატივით იზღუდავს შესაძლებლობას თავისი გადაწყვეტილებით აღადგინოს უკანონოდ გათავისუფლებული პირი თანამდებობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული მ. თ-ის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. თ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდო მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-მართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკა-საციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათ-ვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასა-მართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდ-რებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივარის განხილვის შე-დეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან გან-სხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდე-გება ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაც-ვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვი-სა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვე-ტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის გან-ვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამო-ყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასა-ბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მა-ტერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნე-ლოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარ-ნყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობ-რივ გარემოებებს და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვე-და ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წი-ნაპირობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქარ-თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხ-ლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მა-შინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად შეუძლებე-ლი ხდება სადაც ინდივიდუალური აღმინიტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრე-

ბას სამსახურში მის უპირობო ალდგენასთან დაკავშირებით, ვინაიდან, საქმეზე დადგენილი გარემოებები არ იძლევა დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობა სწორედ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დამატებით გამოკვლევის საჭიროებას ეფუძნება. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე 2015 წლის 11 სექტემბრიდან 2015 წლის 11 დეკემბრამდე დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადით, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მას გაუვიდა გამოსაცდელი ვადა და განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს – მ. თ-ის გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გათავისუფლების კანონიერების დადგენა წარმოადგენს, სადაცო აქტის არსებითად ბათილად ცნობის შემთხვევაშიც განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელის უპირობო ალდგენა შეუძლებელია.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად სახეზეა სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი. რაც შეეხება სასამართლო მოთხოვნას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე და 127.6 მუხლების საფუძველზე იძულებითი განაცდური ანაზღაურდება მხოლოდ მოხელის სამსახურში ალდგენის შემთხვევაში. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო გასაჩივრებული ბრძანება, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურების ანაზღაურების თაობაზე.

ამდეხად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საერთველის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. თ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამოსაცდელი ვალის არადამაკვაყოფილებელი შედეგების გამო სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი

განხილვა

№ბს-130-128(კ-17)

19 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრის დასაშევებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 14 აგვისტოს ა. შ-მა სასარჩელო განცხადებით

მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმე-თა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივნისის №1246785 ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ა. შის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივნისის №1246785 ბრძანება ა. შის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ა. შის მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ, რომელმაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ, რომელმაც გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მო-

ითხოვა.

კასატორის განმარტებით, ა. შ-ი, რომელიც 2015 წლის 21 იანვრიდან გამოსაცდელი ვადით იყო დანიშნული, სამსახურიდან გათავისუფლდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებას გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო. მოცემულ შემთხვევაში ა. შ-ი გათავისუფლდა გამოსაცდელი ვადის გასვლის გამო.

კასატორის მითითებით, სასამართლომ სავალდებულოდ მიიჩნია გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ შეფასების აქტის შედგენა, რაც კანონის მოთხოვნებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს. გამოსაცდელი ვადის გასვლა, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების კანონმდებლობით დადგენილი საფუძველი, მოითხოვს გათავისუფლების აქტის შედგენას, შეფასების აქტის წერილობითი გაფორმების სავალდებულობა კი არ არის განსაზღვრული.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადებასა და 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის ურთიერთმიმართებაზე და მიუთითებს, რომ ნორმათა დისპოზიციის მიხედვით, კანონმდებელი პირის სამსახურიდან გათავისუფლების ორ დამოუკიდებელ საფუძველს ადგენს, კერძოდ, არადამაკმაყოფილებელი შედგენის გამოვლენა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში და გამოსაცდელი ვადის გასვლა, რომლებიც განიხილება არა კუმულატიურად, არამედ ცალ-ცალკე. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს განმარტება გვერდს უვლის გამოსაცდელი ვადის გასვლის, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების დამუკიდებელი საფუძვლის აღიარებას იმ ვითარებაში, როდესაც ის კანონით არის დადგენილი.

ამასთან, კასატორის მითითებით, აღნიშნული წესის მე-19 მუხლი განსაზღვრავს სამინისტროში მიღებისას დადგენილ შეზღუდვებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროში არ მიიღება სპეციალური შემოწმების შედეგად უარყოფითი შეფასების/შედეგების მქონე პირი. მოცემულ შემთხვევაში ა. შ-ის მიმართ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინილ იქნა უარყოფითი შედეგები, რომლის შეფასების აქტში აღნერა ან მისი გათავისუფლების ბრძანებაში საფუძვლად მითითება არ მოხდა იმ საფუძ-

ვლით, რომ ასეთი ინფორმაცია საიდუმლო დოკუმენტს წარმოადგენს და კანონი მისი ამ ფორმით გაცემას არ ადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ ა. შ-ი სამსახურიდან გათავისუფლდა კანონით დადგენილ პროცედურათა დაცვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, ოუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდო მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივარის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარნყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტორი გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტორივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტორივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად შეუძლებელი ხდება სადაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსაზრებას სადაცო ბრძანების კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ა. შ-ი დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35-ე მუხლი განსაზღვრავს სამსახურიდან დათხოვნის/ გათავისუფლების საფუძვლებს, რომლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო; ხოლო ამავე წესის 50-ე მუხლი ადგენს გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დათხოვნის პირობებს, რომლის მიხედვით, გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მოსამსახურის დათხოვნა ხდება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მისი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ან სპეციალური შემოწმების ჩატარებისას უარყოფითი შედეგების არსებობის შემთხვევაში. ამდენად, 50-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს გამოსაცდელი ვადის გასვლა სამინისტროს მოსამსახურის დათხოვნის საფუძველი, რაც გამორიცხავს კასატორის მოსაზრებას დასაბუთების გარეშე მხოლოდ გამოსაცდელი ვადის გასვლაზე მითითებით მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს აღნიშნული წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება პირის კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი ოვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის (ამოცანის შესასრულებლად) მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე უნდა მოხდეს გამოსაცდელი ვადის გამოყენების შედეგების შეფასება. შეფასების აქტი დგება წერილობითი ფორმით უშუალო უფროსის მიერ და დაერთვება პირის პირად საქმეს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოსაცდელი ვადის დასრულებისას საგალდებულოა შედგეს დასაბუთებული წერილობითი დოკუმენტი, შეფასების აქტი, რომლის გათვალისწინებითაც უფლებამოსილმა პირმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსამსახურის თანამდებობაზე მიღების ან

გათავისუფლების შესახებ.

საკასაციონ სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ მართალია გამოსაცდელი ვადის შედეგების შეფასება განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, თუმცა მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონითან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების ნინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებისა, დაინტერესებული მხარის-თვის გასაგები უნდა იყოს რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება. სამსახურიდან გათავისუფლებისას პირმა უნდა იცოდეს რა წარმოადგენს მისი სამსახურიდან დათხოვნის რეალურ მიზეზს და მასზე დაკისრებული რომელი მოვალეობების შეუსრულებლობა გახდა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დასაბუთებული ა. შის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი, რაც ადასტურებს მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისა საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით,
34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასიპ საგან-გებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

გამოსაცდელი ვალის გასვლის ან არადაბაკმაყოფილების გადასაცემის გამო სამსახურის დათხოვის საფუძველი

განცილება

№ბს-199-197(23-17)

19 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შე-ამონმა ს. ს-ის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარის დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-ტის 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:
2015 წლის 13 ივნისს ს. ს-მა სასარჩელო განცხადებით მი-

მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმე-თა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივნისის №1248323 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით ს. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივნისის №1248323 ბრძანება ს. ს-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ს. ს-ის მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაქმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ს. ს-ის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1

აპრილის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორი – ს. ს-ი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს გადაწყვეტილებას მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. კასატორის მოსაზრებით, მაშინ, როდესაც მისი განთავისუფლების ბრძანებას წინ უძღვდა სამსახურის მიერ დასაქმებულისათვის ჩატარებული ნორმატივები, რომელიც მან წარმატებით ჩააპარა და მისი განთავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ გამოსაცდელი ვადის გასვლის გამო განხორციელდა, სასამართლოსათვის ნათელი გახდა მისი უკანონოდ განთავისუფლების საფუძველი, ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის დამატებით ხელახლა განხილვის დავალების საჭიროება აღარ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისპ საგანგებო სიტუაციების მართვის საგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ს. ს-ი, რომელიც 2015 წლის 21 იანვრიდან გამოსაცდელი ვადით იყო დანიშნული, სამსახურიდან გათავისუფლდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო-ში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებას გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაქმაყოფილებელი შედეგების გამო. მოცემულ შემთხვევაში ს. ს-ი გათავისუფლდა გამოსაცდელი ვადის გასვლის გამო.

კასატორის მითითებით, სასამართლომ სავალდებულოდ მიიჩნია გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ შეფასების აქტის შედგენა, რაც კანონის მოთხოვნებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს. გამოსაცდელი ვადის გასვლა, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების კანონმდებლობით დადგენილი საფუძველი, მოითხოვს გათავისუფლების აქტის შეფასების, შეფასების

ბის აქტის წერილობითი გაფორმების სავალდებულოობა კი არ არის განსაზღვრული.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადებასა და 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის ურთიერთმიმართებაზე და მიუთითებს, რომ ნორმათა დისპოზიციის მიხედვით, კანონმდებელი პირის სამსახურიდან გათავისუფლების ორ დამოუკიდებელ საფუძველს ადგენს, კერძოდ, არადამაკმაყოფილებელი შედგენის გამოვლენა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში და გამოსაცდელი ვადის გასვლა, რომლებიც განხილება არა კუმულატიურად, არამედ ცალ-ცალკე. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს განმარტება გვერდს უვლის გამოსაცდელი ვადის გასვლის, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების დამოუკიდებელი საფუძვლის აღიარებას იმ ვითარებაში, როდესაც ის კანონით არის დადგენილი.

ამასთან, კასატორის მითითებით, აღნიშნული წესის მე-19 მუხლი განსაზღვრავს სამინისტროში მიღებისას დადგენილ შეზღუდვებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროში არ მიიღება სპეციალური შემონმების შედეგად უარყოფითი შეფასების/შედეგების მქონე პირი. მოცემულ შემთხვევაში ს. ს-ის მიმართ ჩატარებული შემონმების შედეგად გამოვლენილ იქნა უარყოფითი შედეგები, რომლის შეფასების აქტში აღნერა ან მისი გათავისუფლების ბრძანებაში საფუძვლად მითითება არ მოხდა იმ საფუძვლით, რომ ასეთი ინფორმაცია საიდუმლო დოკუმენტს წარმოადგენს და კანონი მისი ამ ფორმით გაცემას არ ადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ს. ს-ის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ს-ის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები არ აქმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და

არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაცო საჩივრის და-საშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მი-ერ საკასაცო საჩივრი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გა-დაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერ-თგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქარ-თველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებ-რივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაცო სა-ჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე საგარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებუ-ლი გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკით-ხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებუ-ლი პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განი-ხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქ-მედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ სა-კითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-მართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაცო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სა-კასაცო საჩივრები არ არის დასაშვები საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძ-ვლით.

საკასაცო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასა-მართლოს განჩინების საკასაცო სასამართლოს მიერ დამკვიდ-რებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრების განხილვის შე-დეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან გან-სხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდე-გება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-ვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-

თლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვი-სა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორები საკასაციო საჩივრებში ვერ აქარნებულებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად შეუძლებელი ხდება სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსაზრებას სადაც ბრძანების კანონიერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ს. ს-ი დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35-ე მუხლი განსაზღვრავს სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების საფუძვლებს, რომლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო; ხოლო ამავე წესის 50-ე მუხლი ადგენს გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დათხოვნის პირობებს, რომლის მიხედვით, გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მოსამ-

სახურის დათხოვნა ხდება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მისი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ან სპეციალური შემოწმების ჩატარებისას უარყოფითი შედეგების არსებობის შემთხვევაში. ამდენად, 50-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს გამოსაცდელი ვადის გასვლა სამინისტროს მოსამსახურის დათხოვნის საფუძველი, რაც გამორიცხავს კასატორის მოსაზრებას დასაბუთების გარეშე მხოლოდ გამოსაცდელი ვადის გასვლაზე მითითებით მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს აღნიშნული წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება პირის კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის (ამოცანის შესასრულებლად) მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე უნდა მოხდეს გამოსაცდელი ვადის გამოყენების შედეგების შეფასება. შეფასების აქტი დგება წერილობითი ფორმით უშუალო უფროსის მიერ და დაერთვება პირის პირად საქმეს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოსაცდელი ვადის დასრულებისას სავალდებულოა შედგეს დასაბუთებული წერილობითი დოკუმენტი, შეფასების აქტი, რომლის გათვალისწინებითაც უფლებამოსილმა პირმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსამსახურის თანამდებობაზე მიღების ან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ მართალია გამოსაცდელი ვადის შედეგების შეფასება განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, თუმცა მასევ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებისა, დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება. სამსახურიდან გათავისუფლებისას პირმა უნდა იცო-

დეს რა წარმოადგენს მისი სამსახურიდან დათხოვნის რეალურ მიზეზს და მასზე დაკისრებული რომელი მოვალეობების შეუსრულებლობა გახდა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შენყვეტის საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დასაბუთებული ს. ს-ის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი, რაც ადასტურებს მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების საჭიროებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის – ს. ს-ის მოსაზრებას სადაც აქტის არსებითად ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, საქმეზე დადგენილი გარემოებები არ იძლევა დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის მიმართ შესაბამისი შეფასების აქტის შედგენა, ისევე როგორც დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში თანამდებობაზე დაინიშნა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად სახეზეა სადაც საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ, ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივრებს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრები არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ს-ის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. იქულებითი განაცდურის ანაზღაურება

სახელფასო დავალიანების და იქულებითი განაცდურის ანაზღაურება

განვითარება

№ბს-11-11(კ-15)

13 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების სადეპუტატო და-
ნამატით და მათი მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღა-
ურება, იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის სადეპუტა-
ტო დანამატით და მათი მიუღებლობით გამოწვეული ზიანის
ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ემ, ხ. ქ-ა-ფ-ემ, ა. კ-ემ, მ. დ-ემ, ლ. დ-ემ, ნ. დ-ემ, ლ. დ-ემ,
ნ. ნ-მა, ე. კ-ემ, ს. კ-ემ, ე. კ-ემ, შ. ნ-მა, ა. კ-ემ, ზ. ბ-ამ, ტ. ფ-ემ, თ.
გ-ემ, ნ. ბ-ემ, ბ. დ-მა, დ. ფ-მა, გ. ქ-მა, გ. ო-მა, ზ. გ-მა, რ. კ-მა, გ.
ჩ-მა, ი. ბ-ემ, გ. ფ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქუთა-
ისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს: პარლამენტისათ-
ვის უზენაესი საბჭოს წევრობის 1991 წლის დეკემბრის თვის
მიუღებელი ხელფასის და სადეპუტატო დანამატის სახით, სულ
979,77 ლარის ანაზღაურების დაკისრება (ხელფასი ერთ თვეზე
1400 მანეთი, კურსით ეროვნულ ვალუტაში 857,30 ლარი; სადე-
პუტატო დანამატი ერთ თვეზე 200 მანეთი, კურსით ეროვნულ
ვალუტაში – 122,47 ლარი, სულ 1600 მანეთი, კურსით ეროვნულ
ვალუტაში – 979,77 ლარი). მოსარჩელეებმა აგრეთვე მოითხო-
ვეს 1991 წლის დეკემბრის თვის ხელფასისა და სადეპუტატო
დანამატის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის, მიუღებელი შე-
მოსავლის ანაზღაურება (წელიწადში 15,15%), ასევე საქართვე-
ლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ხუთი
წლიდან დარჩენილი 46 თვის იძულებით გაცდენილი დროის
ხელფასის და სადეპუტატო დანამატის (1992 წლის 1 იანვრი-
დან 1995 წლის ოქტომბრის ჩათვლით) ანაზღაურება, ასევე 1992

წლის 1 იანვრიდან 1995 წლის ოქტომბრის ჩათვლით 46 თვის მანძილზე ყოველი თვის ხელფასისა და დანამატის მიუღებლობის გამო ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის ყოველი თვის იძულებით განაცდებულის ხელფასზე.

მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ 28.10.1990წ. ხუთი წლის ვადით არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭო. მოსარჩელეები (მემკვიდრეთათვის მამკვიდრებლები) იყვნენ ამ საბჭოს დეპუტატები. 20.12.1990წ. მიღებული იქნა კანონი „უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულების შესახებ“, რომლითაც სადეპუტატო დანამატი განისაზღვრა 200 მანეთით. 19.11.1991წ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის №311 დადგენილების შესაბამისად უზენაესი საბჭოს წევრის ხელფასი შეადგენდა 1400 მანეთს. 09.06.2011წ. სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით 1400 მანეთი შეადგენს 857,30 ლარს, 200 მანეთი – შეადგენს 122,47 ლარს. 1992 წლის 2 იანვრიდან რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება კრიმინალური შეიარაღებული ფორმირებებისა და რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ იქნა დამხობილი. ქვეყნიდან იძულებით გადაყენებული იქნა უზენაესი საბჭო. სამსახურიდან უკანონო დათხოვნის შემდეგაც წლების მანძილზე პოლიტიკური მოტივით მოსარჩელეებზე ხორციელდებოდა დევნა, ეს დაკავშირებული იყო პოლიტიკურ მრნამსთან. 20.04.2000წ. საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1991 წელს საქართველოში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი. პარლამენტის მიერ დაგმობილი იქნა სახელმწიფო პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრისა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მეთოდები. 27.07.2009წ. მოსარჩელეებმა განცხადებით მიმართეს პარლამენტს სახელფასო დავალიანების და იძულებითი განაცდებულის ანაზღაურების შესახებ. 05.05.2011წ. განმეორებით ისევ მიმართეს პარლამენტს და მთავრობას, თუმცა არცერთ განცხადებაზე პასუხი არ მიუღიათ.

მოსარჩელეებმა სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებად მიუთითეს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლზე, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაკტზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, ეკრობის სოციალურ ქარტიაზე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და სოციალურად დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, „შრომის კა-

ნონთა კოდექსზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლზე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრე-სიის მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 8.1 მუხლზე, სკ-ის 409-ე, 411-ე მუხლებზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 29.07.2014წ. გადაწყვე-ტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა შემდეგი: ნორმის დროში მოქმედების დად-გენილი წესი სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას სადაცო ურ-თიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენოს სადაცო პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი. სასამართლომ მიუთითა იმ-ჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის მოთ-ხოვნაზე, რომლის თანახმად სამუშაოდან უკანონოდ დათხოვ-ნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახუ-რეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულე-ბითი გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვეისა. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გა-მომდინარე სასამართლომ მიუთითა, რომ იძულებითი განაცდუ-რის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებ-და ორი პირობის ერთდროულად არსებობას — სამუშაოდან უკა-ნონოდ გათავისუფლებასა და სამუშაოზე აღდგენას. სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდებოდა. სასამარ-თლომ აღნიშნა, რომ სადაცო პერიოდში იძულებითი ხელფასის ანაზღაურების საფუძველი იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნი-ლი მოსამსახურის პირვანდელ თანამდებობაზე სამსახურში აღ-დგენის შესახებ, რაც განსახილველ შემთხვევაში არ არის სახე-ზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ ჩათვალა, რომ იძულებითი განაცდური ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწე-სებულება მოხელეს აღადგენდა სამსახურში. სასამართლომ მი-იჩნია, რომ მოთხოვნა საფუძველს იყო მოკლებული, ვინაიდან მოსარჩელეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-ლება სამსახურში აღდგენის შესახებ, რომელიც უფლებას მია-ნიჭებდათ მოეთხოვათ იძულებითი განაცდური ხელფასი სამსა-ხურიდან უკანონოდ დათხოვნის გამო მთელი პერიოდის განმავ-ლობაში სასამართლოს მიერ მიღებული არ ყოფილა. შრომის კა-ნონმდებლობის შესაბამისად ხელფასის ანაზღაურების შესახებ სასამართლო ვერ იმსჯელებდა, რადგან მოსარჩელებს ქონებ-რივი უფლებების აღდგენა და გარანტია მიანიჭა მოსარჩელეე-

ბის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁷ თავის ნორმები ანიჭებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს უფლებას მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე სარჩელი არ დაკმაყოფილ-და უსაფუძვლობის გამო.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ბ-ემ, ხ. ქ-ა-ფ-ემ, ა. კ-ემ, მ. დ-ემ, ლ. დ-ემ, ნ. დ-ემ, ლ. დ-ემ, ნ. ნ-მა, ე. კ-ემ, ს. კ-ემ, ე. კ-ემ, შ. წ-მა, ა. კ-ემ, ზ. ბ-ამ, ტ. ფ-ემ, თ. გ-ემ, ნ. ბ-ემ, ბ. დ-მა, დ. ფ-მა, გ. ქ-მა, გ. ო-მა, ზ. გ-მა, რ. კ-მა, გ. ჩ-მა, ი. ბ-ემ, გ. ფ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.11.146. განჩინებით სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ საკ-ის 390.3 მუხლის შესაბამისად სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 20.12.1990წ. კანონით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულებით“ განსაზღვრული იყო ხელფასის ოდენობები. დებულების მე-2 პუნქტის თანახმად, უზენაესი საბჭოს წევრებს, რომ-ლებიც წყვეტდნენ სანარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, საქმიანობის შეწყვეტის დღიდან ეძლეოდათ ყოველთვიური ხელფასი 600 მანეთის ოდენობით, მე-7 პუნქტის თანახმად ყველა წევრს დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად ყოველთვიურად ეძლეოდა აგრეთვე 200 მანეთი. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 19.11.1991წ. №311 დადგენილებით დაწესდა უზენაესი საბჭოს წევრის ყოველთვიური ხელფასი, რომელიც იბეგრებოდა საშემოსავლო გადასახადით, ხელფასის ოდენობა შეადგენდა 1400 მანეთს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 19.11.1991წ. №311 დადგენილებამ შეცვალა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულებით“ განსაზღვრული ხელფასის ოდენობას, ამასთანავე, დადგენილება არ შეიცავდა მითითებას სადეპუტატო დანამატის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის უარყოფის საფუძვლად მიუთითა შემდეგი: საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 30.01.1992 ნ. №85 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფ-

როსს დაევალა მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ, ყოფილ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების მოხდენა 1992 წლის 01 იანვრამდე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული დადგენილება ითვალისწინებდა მხოლოდ მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ, ყოფილ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების საკითხს და არა ყველა დეპუტატთან ანგარიშსწორებას 1992 წლის 01 იანვრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 30.01.1992წ. №85 დადგენილების საფუძველზე 1991 წლის დეკემბრის თვის ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების მოთხოვნა ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა საქმეში დაცულ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 06.04.2011წ. და 06.10.2011წ. წერილებზე, რომლებითაც დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის საფრანგო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში საქართველოს რესპუბლიკის 28.10.1990წ. მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრების კრედიტორული დავალიანება არ ირიცხება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩევები ითხოვენ შრომითი უფლებების აღდგენას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით. სადავო პერიოდისთვის მოქმედი „შრომის კანონთა კოდექსით“ ხელფასის შენარჩუნების გარანტიაში მოიაზრებოდა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება იძულებითი გაცდენის მთელი პერიოდის განმავლობაში იმ მუმა-მოსამასახურების მიმართ, რომლებიც სამსახურიდან უკანონოდ იქნენ დათხოვნილი და სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი იქნენ ნინანდელ სამსახურში. ამდენად, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საფუძველი იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი მოსამსახურის სამსახურში აღდგენის შესახებ პირვანდელ თანამდებობაზე. ამდენად, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების უფლება უკავშირდება დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტილადა ამ შეწყვეტის უკანონობის სათანადო ორგანოების მიერ დადასტურების ფაქტს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან აპელანტები თანამდებობიდან დათხოვნილი იქნენ 1991-1992 წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად და არა დამსაქმებლის ბრალით, რაც შემდგომში დაგმობილი იქნა სახელმწიფოს მიერ. სახეზეა შრომითი ურთიერთობებისაგან განსხვავებული შემთხვევა, რამდენადაც საქმე ეხება უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით არჩეულ თანამდებობის პი-

რეპს, რომლებიც განსაკუთრებული სოციალური გარანტიებით სარგებლობდნენ და, შესაბამისად, განსხვავებული იყო მათი დათხოვნის წესიც. კანონმდებელმა სამართლებრივი შეფასება მოახდინა რა ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოს დათხოვნის ფაქტის და მის წევრებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა, სრულიად სხვა სამართლებრივ რეჟიმში მოაქცია მათი სამართლებრივი მდგომარეობა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტებს ქონებრივი უფლებების აღდგენა და გარანტია მიანიჭა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამ აპელანტების (მოსარჩელეების) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამდე აპელანტებს მითითებული უფლება არ წარმოშობით, ვინაიდან მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული არ ყოფილა. მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებებმა მიანიჭეს მოსარჩელეებს, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებს, ქონებრივი უფლების აღდგენის მოთხოვნა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს რეპრესირებულთა პოლიტიკურ, სამოქალაქო და ქონებრივი უფლებების აღდგენის მექანიზმს.

განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს მ. ბ-ემ, ხ. ქ-ა-ფ-ემ, ა. კ-ემ, მ. დ-ემ, ლ. დ-ემ, ნ. დ-ემ, ლ. დ-ემ, ნ. ნ-მა, ე. კ-ემ, ს. კ-ემ, ე. კ-ემ, შ. წ-მა, ა. კ-ემ, ზ. ბ-ამ, ტ. ფ-ემ, თ. გ-ემ, ნ. ბ-ემ, ბ. დ-მა, დ. ფ-მა, გ. ქ-მა, გ. ო-მა, ზ. გ-მა, რ. კ-მა, გ. ჩ-მა, ი. ბ-ემ, გ. ფ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებით ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს. საკასაციო საჩივარში კასატორები უთითებებს, რომ სასამართლოებმა არ განიხილეს მათი მოთხოვნა სახელფასო დაგალითანების გადახდის თაობაზე, რასაც ისინი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 30.01.1992წ. №85 დადგენილების საფუძველზე ითხოვენ. უმართებულა სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონით, ვინაიდან მითითებული კანონზე ისინი არ ამყარებდნენ არც ერთ მოთხოვნას. კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს პარ-

ლამენტის 11.03.2005წ. №1104 დადგენილების 30.01.1992 წ. №85 დადგენილების შესახებ. მოპასუხეების მიერ ეჭვქვეშ არ დამ-დგარა მოსარჩელეთა მუდმივმოქმედ კომისიებში ყოფნა, სსკ-ის 102 მუხლის დარღვევით მოპასუხე მხოლოდ ერთი საფუძ-ვლით – 06.04.2011წ. და 06.10.2011წ. წერილების მიხედვით აც-ხადებს სახელფასო დავალიანების არარსებობას. სააპელაციო პალატის განჩინება ეხება მხოლოდ რეპრესირებულის სტატუ-სის მქონე 7 წევრს, სააპელაციო პალატის განჩინება არ ვრცელ-დება იმ მოსარჩელეებზე, რომლებთან დაკავშირებითაც რეპ-რესირებულის სტატუსის მინიჭების სასამართლო გადაწყვეტი-ლება არ მიღებულა. ის გარემოება, რომ უკანონოდ დათხოვნა განხორციელდა 1991-1992 წ.წ. განვითარებული მოვლენების გა-მო და არა დამსაქმებლის ბრალით, არ ნიშნავს დარღვეული უფ-ლების აღდგენაზე უარის თქმას. თუ სადავო ურთიერთობას არ ითვალისწინებდა კანონმდებლობა, სასამართლოს უნდა ეხელ-მძღვანელა სსკ-ის 7.1 მუხლით ან/და სკ-ის 5.1 მუხლით და გა-მოყენებია ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგუ-ლირებელი ნორმა (კანონის ანალოგია). „შრომის კანონთა კო-დექსი“ სარჩელში გამოყენებულია ერთ-ერთ საფუძვლად. „შრო-მის კანონთა კოდექსის“ გამოყენებაზე უარის თქმამდე სააპე-ლაციო სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებია კოდექ-სის ნორმაზე, რომლის მიხედვით თანაბარი მუშაობის პირობებ-ში პირს აქვს თანაბარი ანაზღაურების უფლება შრომის რაოდე-ნობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაცი-ის გარეშე. სხვა მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს წევრების მსგავსად მოსარჩელეებმა უნდა მიიღონ იძულებით ყველა გა-ნაცდური თვის ხელფასი. კასატორები თვლიან, რომ სასამარ-თლოს უნდა გამოეყენებინა სკ-ის 3.3 მუხლი, რომლის თანახ-მად კანონი კარგავს ძალას თუ ამის შესახებ პირდაპირ უთი-თებს ახალი კანონი ან ძველი ენინააღმდეგება ახალს ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას. კასა-ტორები თვლიან, რომ ძველი „შრომის კანონთა კოდექსი“ ენი-ნააღმდეგება ახალს, ძველს მოიცავს ახალი – 11.03.05წ. პარ-ლამენტის დადგენილება, რომელიც სარჩელის მოთხოვნის დაკ-მაყოფილების საფუძველია. პარლამენტის დადგენილება აწეს-რიგებს ერთ შემთხვევასთან დაკავშირებულ სამართლებრივ სა-კითხებს, „შრომის კანონთა კოდექსით“ გათვალისწინებული ზო-გადი ხასიათის შემთხვევებისაგან განსხვავებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გა-

საჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ 28.10.1990წ. ხუთი წლის ვადით არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭო. მოსარჩელები (მემკვიდრეთათვის მამკვიდრებლები) იყვნენ ამ საბჭოს დეპუტატები.

1991 წელს საქართველოში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი. 02.01.1992წ. დადგენილებით სამხედრო საბჭოს მიერ შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის იმ დროს მოქმედი კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება. „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 20.04.2000წ. დადგენილების თანახმად, 1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი. საქართველოს პარლამენტის მიერ დაიგმო სახელმწიფო პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრისა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მეთოდები. „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ 11.03.2005წ. დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა კვლავ დაადასტურა 28.10.1990წ. არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 26.05.1991წ. არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. მოსარჩელეებმა 27.07.2009წ. და 29.01.2010წ. განცხადებებით მიმართეს პარლამენტს სახელფასო დავალიანების და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა არცერთ განცხადებაზე პასუხი არ მიუღიათ.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მოთხოვნის

დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. გასაჩივრებული გან-
ჩინება არის ფაქტობრივად პირველი ინსტანციის სასამართლოს
გადაწყვეტილების გამეორება, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის
377.1 მუხლი სააპელაციო სასამართლოს ავალდებულებს შეა-
მონაბოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივ-
რის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრი-
სით.

მოცემული საქმის დავის საგანი მოიცავს 1991 წლის დეკემ-
ბრის თვის ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების მოთხოვ-
ნას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სასარჩელო მოთხოვ-
ნის ეს ნაწილი უარყვეს საკითხის ფაქტობრივი გარემოებების,
კერძოდ, დეკემბრის თვის ხელფასისა და დანამატის გაცემის
გარკვევის გარეშე. მოსარჩელები 1991 წლის დეკემბერში სარ-
გებლობდნენ დეპუტატის სტატუსით. სადაც ო დეკემბრის თვის
ხელფასის მოსარჩელების მიერ მიღება. ამ ნაწილში მოთხოვ-
ნის დაკმაყოფილებაზე უარს საფუძვლად დაედო საქართველოს
პარლამენტის აპარატის უფროსის და საფინანსო უზრუნველ-
ყოფის დეპარტამენტის უფროსის წერილები, რომელთა თანახ-
მად უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრების მიმართ დავალიანება
არ ირიცხება, რაც არ ადასტურებს მოთხოვნის უმართებულო-
ბას. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს მითითე-
ბას იმაზე, თუ რა მტკიცებულებები უნდა იქნეს წარდგენილი
მოსარჩელების მიერ დავალიანების არსებობის დასადასტუ-
რებლად. კუთვნილი ხელფასის გაცემის ფაქტი ჩვეულებრივ
დასტურდება სახელმწიფო უწყისებით, ხელფასის გაცემის და
თანხის მიმღები პირის ხელმოწერის მითითებით. საქმის გარე-
მოებები, რომელებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს
გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურ-
დეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სსკ-ის 102.3 მუხ.). სასა-
მართლოებს არ მოუთხოვიათ 1991 წლის დეკემბრის თვის ხელ-
ფასის მიღების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. მო-
სარჩელების მიერ 1991 წლის დეკემბრის თვის სახელფასო და-
ვალიანების და დანამატის მიღების, სახელფასო დავალიანე-
ბის არარსებობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს – საქართვე-
ლოს პარლამენტს ეკისრება (იხ. სუს 24.04.146. №302-293(კ-13)
განჩინება). საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის
06.04.2011წ. და 06.10.2011წ. წერილები იმის შესახებ, რომ მათ-
თან მოსარჩელების დავალიანების თაობაზე ინფორმაცია არ
ინახება არ ათავისუფლებს მოპასუხეს დავალიანების არარსე-
ბობის შესახებ მტკიცების ტვირთისგან.

სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო მითითება სააპელა-

ციონ სასამართლოს მიერ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებამდე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს აპარატის დროებითი სტრუქტურის და საშტატო ერთეულის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 30.01.1992წ. №85 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესის გამოყენებაზე, რომელიც შეიცავს მითითებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოსადმი დეპუტატებისათვის სახელფასო დავალანების გადახდის თაობაზე. ხსენებული ნორმით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს დაევალა მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ, ყოფილ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების მოხდენა 1992 წლის 01 იანვრამდე. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული დადგენილების პირობის შესრულება. მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ ის გარემოება მიუთითა, რომ ხსენებული დადგენილებით ანგარიშსწორების დავალება ვრცელებოდა არა უზენაესი საბჭოს ყველა ყოფილ წევრზე, არამედ მხოლოდ მათზე, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ მუდმივმოქმედ კომისიებში. სასამართლომ მიუთითა სამართლებრივ ნორმაზე, თუმცა არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება, რომელიც გამორიცხავდა ამ ნორმის სადავო სამართალურთიერთობაზე გავრცელების შესაძლებლობას. მოსარჩევეთა მუდმივმოქმედი კომისიების წევრობის საკითხის გარკვევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების შექმნის შესახებ“ 15.11.1990წ. უზენაესი საბჭოს დადგენილება, ასევე 27.12.1990წ. კანონით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულება“. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების“ მე-4 მუხლის, აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ“ უზენაესი საბჭოს 15.11.1990წ. დადგენილების თანახმად, შექმნილი იყო ათი მუდმივი კომისია. დეპუტატს შესაძლებლობა ჰქონდა ყოფილიყო რამოდენიმე (არაუმეტეს ორი) კომისიის წევრი, განსაზღვრული იყო პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ მუდმივი კომისიის შემადგენლობის უფლება (დებულების მე-5 მუხ.). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩევები არ იყვნენ არცერთი კომისიის წევრი არ ემყარება რაიმე მტკიცებულებას და არ არის დასაბუთებული. სასა-

მართლოს ეს დასკვნა არ ემყარება საქმეში დაცულ მასალებს (ასე მაგ. საქმეში დაცული თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.03.07ნ. გადაწყვეტილებით ერთ-ერთი მოსარჩელე გ. ო-ი იყო ხელოვნების, მეცნიერების და კულტურის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი). იმჟამად მოქმედი 15.04.1978ნ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 116-ე, 117-ე მუხლების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო თავისი წევრებისგან ირჩევდა მუდმივ მოქმედ კომისიებს, რათა მათ ეწარმოებინათ საკანონპროექტო მუშაობა, ნინასწარ განეხილათ და მოემზადებინათ უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ხელი შეეწყოთ კანონებისა და უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის, კონტროლი გაენიათ სახელმწიფო ორგანოებისა და საქმიანობისათვის, ამასთანავე კანონების მიღება ხდებოდა შესაბამისი მუდმივი კომისიების მიერ მისი განხილვის შემდეგ, მუდმივი კომისიის თანხმობა იყო უზენაესი საბჭოს სხდომაზე კანონპროექტის განხილვის სავალდებულო პირობა. მუდმივი კომისიების უფლებამოსილებათა ფართო წრე, დავის კანონიერად გადაწყვეტისათვის საჭიროდ ხდიდა იმდროინდელ ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებების გაცნობას, რომლითაც დაკომპლექტდა კომისიის შემადგენლობები (იხ. მაგ. 22.11.1990ნ. №29- ს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ, 22.11.1990ნ. №31-ს დადგენილება ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ, 22.11.1990ნ. №32-ს დადგენილება ჰუმანიტარული და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის არჩევის შესახებ, 22.11.1990ნ. №33-ს დადგენილება მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ, 22.11.1990ნ. №36-ს დადგენილება თავდაცვის, ეროვნული უშიშროების და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ და სხვ.), აღნიშნული დადგენილებების მიხედვით მოსარჩელები არჩეული იყვნენ მუდმივი კომისიების წევრებად. ამდენად, ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნა, რომ მოსარჩელები არ იყვნენ მუდმივი კომისიების წევრები დაუსაბუთებელია.

სააპელაციო პალატის შეფასების მიღმა დარჩა აგრეთვე საქმეში დაცული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე ზოგიერთი მოსარჩელის, კერძოდ ნ. ბ-ის, ა. კ-ის, შ. წ-ის, დ. ფ-ის, ბ. ა-ის, ტ. ფ-ის, თ. გ-ის, ზ. ბ-ას 15.07.13ნ. განცხადება,

რომელშიც განმცხადებლები აღიარებენ 1991 წლის დეკემბრის თვის უზენაესი საბჭოს წევრობის ხელფასის და სადეპუტატო დანამატის მიღებას და ითხოვდნენ შემდგომში უფლებამოსი-ლების განუხორციელებლობის გამო თანხის გაცემას. საქმეში დაცულია აგრეთვე იმავე პირების 07.03.14ნ. განცხადება, სა-დაცული უთითებენ, რომ არ მიუღიათ 1991 წლის დეკემბრის თვის უზენაესი საბჭოს წევრობის ხელფასი და დანამატი. სააპელა-ციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია მითი-თებული ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების გამოკვლე-ვის და შეფასების გარეშე.

სააპელაციო პალატა უთითებს 20.12.1990ნ. კანონით დამ-ტკიცებულ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევ-რის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულებით“ განსაზღვრულ ხელფასის ოდენობაზე (ხელფასი – 600 მანეთი, ყოველთვიური დანამატი – 200 მანეთი) და აღნიშნავს, რომ დრო-ებით განსაზღვრული ხელფასი შეიცვალა უზენაესი საბჭოს პრე-ზიდიუმის 19.11.1991ნ. №311 დადგენილებით დაწესებული უზე-ნაესი საბჭოს წევრის ხელფასით (1400 მანეთი). სააპელაციო პა-ლატის აღნიშნული მსჯელობა არ არის დასაბუთებული. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეები ითხოვენ 1991 წლის დეკემბრის თვის ხელფასის ანაზღაურებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 19.11.1991 წ. დადგენილების საფუძველზე, რომლის მიხედვით უზენაესი საბ-ჭოს წევრის ხელფასი შეადგენდა 1400 მანეთს თვეში. საქარ-თველოს რესპუბლიკის 20.12.1990 წ. კანონით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმი-ანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულების“ მე-2 მუხლის თანახმად, უზენაესი საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც წყვეტენ სანარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, საქმიანობის შეწ-ყვეტის დღიდან ეძლეოდათ ყოველთვიური ხელფასი 600 მანე-თის ოდენობით, დებულების მე-7 პუნქტი უზენაესი საბჭოს ყვე-ლა წევრისათვის, დეპუტატის უფლებამოსილების განსახორ-ციელებლად ხარჯების ანაზღაურების სახით, ითვალისწინებ-და 200 მანეთს. საქმის მასალებით არ დასტურდება უზენაესი საბჭოს წევრების მიერ ხელფასის მიღება პრეზიდიუმის 19.11.91 წ. №311 დადგენილების საფუძველზე, ამასთანავე, „საქართვე-ლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზ-რუნველყოფის დროებითი დებულება“ საკანონმდებლო კოლე-გიური ორგანოს – უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული 20.12.1990 წ. კანონით არის დამტკიცებული, უზენაესი საბჭოს თავმჯდო-მარის მოადგილის მიერ ხელმოწერილი უზენაესი საბჭოს პრე-

ზიდიუმის დადგენილება იერარქიულად ნაკლები ძალის მქონე აქტია, ის ვერ შეცვლიდა კანონით დადგენილ დანაწესა, ამასთანავე, სესიებს შორის პერიოდში გამოცემული უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 19.11.1991წ. დადგენილება დასამტკიცებლად სესიაზე არ წარდგენილა. სააპელაციო პალატამ, უარი თქვარა მთლიანად ყველა სასარჩელო მოთხოვნების და მაყოფილებაზე, არ იქონია მსჯელობა ხელფასის სამართლებრივ საფუძველზე, მის ოდენობაზე, არ დაუდგენია თვითოვეული მოსარჩელის ხელფასის ოდენობა („საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებდა ხელფასის ოდენობის გრადაციას თანამდებობის მიხედვით), სასამართლოს არ დაუდგენია მანეთის, კუპონისა და ლარის ინფლაციის გათვალისწინებით მანეთის ლართან კურსის შესაბამისობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესრულებული სამუშაოსთვის ხელფასის მოთხოვნა წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფო მოსამსახურის კანონით დაცულ უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხ., „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე მუხ., „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხ., „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის“ მე-6 მუხ.). 15.04.1978 წ. კონსტიტუციის 104-ე მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ 27.10.1990წ. კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტდა სანარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, აუზაზღაურდებოდა ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურზე კუთვნილი თანხის გაცემა ხორციელდება წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, ქვედა სასამართლო ინსტანციების მიერ 1991 წლის დეკემბრის თვის სახელფასო დავალიანების სადეპუტატო დანამატთან ერთად ანაზღაურებაზე უარის თქმა არის დაუსაბუთებელი, დავის ამ ნაწილთან მიმართებით სასამართლოს მსჯელობა არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული არ არის. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ 1991 წლის დეკემბრის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით საჭიროა საქმის გარემოებების დამატები-

თი გამოკვლევა, რის გამოც სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებას, რამდენადაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა სცილდება საკასაციო სასამართლოს იურიდიულის სფეროს.

სააპელაციო პალატამ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების არსებობა მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად და მითითებული მსჯელობა გაავრცელა ყველა მოსარჩევლებზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული ყველა მოსარჩელის მიმართ, მოცემულ დავაში უზენაესი საბჭოს 20 დეპუტატის მოთხოვნაზე არის 26 განმცხადებელი (საქმის მასალების მიხედვით ვ. ფ-ის უფლებამონაცვლეა მოსარჩელე ხ. ქ-ა-ფ-ე; თ. ბ-ის უფლებამონაცვლეა მოსარჩელე მ. ბ-ე; ბ. დ-ის უფლებამონაცვლები არიან მოსარჩელები: მ. დ-ე, ლ. დ-ე-ა-ი, ლ.დ-ე და ნ. დ-ე; ა. კ-ის უფლებამონაცვლეა – მოსარჩელე ა. კ-ე; ი. კ-ის უფლებამონაცვლეები არიან მოსარჩელეები: ნ. ნ-ი, ე. კ-ე, ს. კ-ე, ე. კ-ე; ა. ქ-ის უფლებამონაცვლეა – გ. ქ-ი; ვ. დ-ის უფლებამონაცვლეა რ. კ-ი), 20 დეპუტატიდან შვიდს აქვს ნარმოდგენილი მათი ან მათი მამკვიდრებლების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება (სასამართლო გადაწყვეტილებებით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიწნეულ იქნა რამდენიმე მოსარჩელე, კერძოდ ნ. ბ-ე, შ. წ-ი, ი. კ-ე, ბ.დ-ე, ა. კ-ე, ვ. ფ-ე და გ. ო-ი). სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ასეთი სტატუსით დანარჩენი მოსარჩელეების მიმართ გავრცელების სამართლებრივ საფუძვლებზე. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლო მხოლოდ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესიებულთა სოციალურ დაცვის შესახებ“ კანონზე აფუძნებს თავის განჩინებას მაშინ, როდესაც აპელანტები სააპელაციო საჩივარში საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ თავიანთ მოთხოვნებს არც ერთ ნაწილში არ აფუძნებენ ამ კანონის ნორმებს. უმართებულო სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტების ქონებრივი უფლებების აღდგენა მოხდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება შემდგომში იძლევა ადმინისტრაციული საპრო

ცესო კოდექსის VII⁷ თავით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას.

საქართველოს პარლამენტის მიერ 11.03.2005წ. დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტის, მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების ლეგიტიმურობის და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ლეგიტიმურობის ცნობა ქმნის უზენაესი საბჭოს წევრების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების პირობას („საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონში 24.06.05წ. შეტანილი ცვლილებების შედეგად პოლიტიკური რეპრესირებულის სტატუსის მიღების შესაძლებლობა მიეცა არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაპირისპირებულ პირებს, არამედ 1991-92 წლების მოვლენების შედეგად რეპრესირებულ პირებს), კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური დაცვით სარგებლობის შესაძლებლობას („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტაპენდიის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად, 1990 წელს არჩეული ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებს, საპენსიო ასაკის მიღწევებისას ამ არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟის შემთხვევაში, მიუხედავად მათ მიერ განხორციელებული სადეპუტატო უფლებამოსილების ვადისა, ენიშნებათ კომპენსაცია, რომელიც შეადგენს მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასის მე-სამედუ). „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონს მოსარჩელები განიხილავენ როგორც მათ უკანონოდ დათხოვნის დადასტურებას და არა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად. უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელები მსჯელობენ სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებზე, არ ეთანხმებიან ზოგი მათვანის გამოყენებას მათ მიმართ, თუმცა მკვეთრად არ უთითებენ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს.

ხელფასის და დანამატის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელები უთითებენ აგრეთვე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე. სსენებული მუხლიდან გამომდინარე, ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც დადებითი ანუ ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი. მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა უკავშირდება ისეთი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, რომელსაც პირი აუცილებლად მიიღებდა ფაქტობრივად

დამდგარი ქონებრივი დანაკლისის არარსებობის შემთხვევაში. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სადავო პერიოდში მოქმედი 26.12.1964წ. სამოქალაქო კოდექსის 212-ე მუხლი მიუღებელ შემოსავლად მიიჩნევდა შემოსავალს, რომელსაც კრედიტორი მიიღებდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. საქმის მასალებით არ დასტურდება მოგების არსებობა. ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სავალდებულო პირობაა მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა, რაც არ დასტურდება. პირგანდელ მდგომარეობაში აღდგენის შეუძლებლობა ფულადი ანაზღაურების მიცემის მოთხოვნას (სკ-ის 409-ე მუხ.) ადასტურებს იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოპასუხის მიერ ზიანის მიყენება. ამდენად, მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით დადგენას საჭიროებს საქართველოს პარლამენტის კავშირი დამდგარ ზიანთან. მიუღებელი ხელფასის და დანამატის მოთხოვნილი თანხის ზიანის სახით ანაზღაურებისათვის სახეზე უნდა იყოს არამართლზომიერი ქმედება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ზიანი. საქმეზე არ დასტურდება მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის მიერ ზიანის მიყენება. მოცემულ შემთხვევაში დასაბუთებას საჭიროებს მოთხოვნის საფუძველი, დასაბუთებას საჭიროებს უკანონო შეიარაღებული გადატრიალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის სათანადო მოპასუხეობა. უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მოხდა გადატრიალების შედეგად, სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით. შემდგომ პერიოდში საქართველოს მოსახლეობამ მრავალჯერ გამოხატა თავისი ნება დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების გზით.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები რეალურად მოითხოვენ არა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებას, არამედ ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის გაცემის დაყოვნებისთვის დაყოვნებული პერიოდის შესაბამისი პროცენტის ანაზღაურებას, რაც გათვალისწინებულია ამჟამად მოქმედი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 31.3 მუხლით, რომელიც სადაცო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება. ამასთანავე, ხელფასის და სადეპუტატო დანამატის გაცემის დაყოვნებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა სადაცო პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი. უფლებამოსილების შეჩერების და საქართველოს პარლამენტის 20.04.2000წ. და 11.03.05წ. დადგენილებების მიღების პერიოდში მოქმედი 28.06.1973წ. შრომის კა-

ნონთა კოდექსი, რომელიც ძალადაკარგულად 25.05.06წ. კანონით გამოცხადდა, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროს ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა (13.08.92წ. შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამთვიანი ვადა ერთ წლამდე გაიზარდა). აღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებდა ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს, – სახეზე უნდა ყოფილიყო სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდებოდა (სუს 22.10.2009წ. №ბს-708-674(კ-09)). სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, სააპელაციო პალატა განჩინებაში ერთი მხრივ აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს იმ დროს მოქმედი 28.06.1973 წ. „შრომის კანონთა კოდექსი“, ხოლო შემდგომ ასკვნის, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ შრომის კანონმდებლობის მიხედვით ვერ იშსჯელებს. აღნიშნულის საფუძვლად სააპელაციო სასამართლო უთითებს კონკრეტული შემთხვევის განსაკუთრებულობას, საქართველოს პარლამენტის 11.03.05წ. დაგენილებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტის, მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების ლეგიტიმურობის და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ლეგიტიმურობის ცნობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირება განიხილება როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკული პერიოდი, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები. საქართველოს პარლამენტმა ეროვნული თანხმობის პროცესის ხელშეწყობის, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების მიზნით დაგმო შეიარაღებული ანტიკონსტიტუციური სახელმიწოდებო გადატრიალება. საქართველოს პარლამენტის 11.03.05წ. დადგენილების მიღების დროს მოქმედი „ნორმატიული აქტების შესახებ“ 29.10.1996წ. კანონის მე-4 მუხლის თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს კანონთა მიმართებაში წარმოადგენდა იერარქიულად ქვემდგომ ნორმატიულ აქტს, მას არ შეეძლო შეეცვალა

ან შეეწყვიტა შრომის კოდექსის ნორმების მოქმედება. საქართველოს პარლამენტის 11.03.05წ. დადგენილებით არ გაუქმებულა შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლი. ამდენად, დაზუსტებას საჭიროებს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. სადაცო სამართალურთიერთობის მიმართ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა შრომის კოდექსის ნორმები, თუმცა დავის გადაწყვეტის არც სხვა რაიმე ნორმაზე მიუთითა. შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება ანალოგიურ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან (სუს 24.02.2014წ. №ბს-302-293(კ-13), 08.12.2015წ. №ბს-583-576(კ-15); 15.09.16წ. №ბს-144-143(კ-16) განჩინებები). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ იქნა გამოკვლეული საქმის გარემოებები, რომელთა სამართლებრივი ანალიზისა და მათგან მიღებული დასკვნების გარეშე შეუძლებელია დავის სწორი გადაწყვეტა, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების და შეფასების შესაძლებლობას, იგი არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო სახეზეა განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ბ-ის, ხ. ქ-ა-ფ-ის, ა. კ-ის, მ. დ-ის, ლ. დ-ის, ნ. დ-ის, ლ. დ-

ის, ნ. ნ-ის, ე. კ-ის, ს. კ-ის, ე. კ-ის, შ. წ-ის, ა. კ-ის, ზ. ბ-ას, ტ. ფ-ის, თ. გ-ის, ნ. ბ-ის, პ. დ-ის, დ. ფ-ის, გ. ქ-ის, გ. ო-ის, ზ. გ-ის, რ. კ-ის, გ. ჩ-ის, ი. ბ-ის, გ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.11.2014წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იქულებითი განაცლურის სახით პრევის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის კანონიერება

განჩინება

№ბს-624-618(2კ-კს-16)

17 ნოემბერი, 2016წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ს. გ-ასა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძვლები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2016წ. გადაწყვეტილებაზე

აღნერილობითი ნაწილი:

18.01.2016წ. ს. გ-ამ სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2015წ. №935 ბრძანება, რომლის თანახმად ს. გ-ას უარი ეთქვა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღ-

დგენაზე, დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას სამსახურში აღდგენის შესახებ, დაევალოს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას გასცეს მოსარჩევის – ს. გ-ას მიმართ იძულებითი განაცდური (2015 წლის თებერვლის თვემდე ხელზე ასაღები თანხა 640 ლარი, ხოლო 2015 წლის თებერვლიდან 1040 ლარი) გათავისუფლების დღიდან (01.10.2014წ.) სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღემდე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 08.02.2015წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო ე. ც-ა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.03.2015წ. გადაწყვეტილებით ს. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2015წ. №939 ბრძანება ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა აგრძელება ს. გ-ას აუნაზღაუროს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობის შრომითი გასამრჯელო (პრემია, ხელფასი, სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში 01.10.2014წ. გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ამ თანამდებობაზე მომატებული ხელფასისა და პრემიის გათვალისწინებით, ს. გ-ას მიერ მიღებული კომპენსაციის გამოყლებით). აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2016წ. გადაწყვეტილებით ქ. ფოთის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.03.2016წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს. გ-ას დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2015წ. №935 ბრძანება ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტე-

ტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, დაევალა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დასაქმების საკითხების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, დაევალა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას აუნაზღაუროს ს. გ-ას იძულებითი განაცდური (2015 წლის თებერვლის თვემდე ხელშე ასაღები თანხა 640 ლარი, ხოლო 2015 წლის თებერვლიდან 1040 ლარი) გათავისუფლების დღიდან (01.10.2014წ.) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ს. გ-ას სარჩელი პრემიის სახით გაცემული თანხის ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2016წ. განჩინებით გასწორდა სააპელაციო სასამართლოს 29.06.2016წ. გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დაევალოს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დასაქმების საკითხების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2016წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ქ. ფოთის მერიისა და ს. გ-ას მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. გ-ასა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით, საკასაციო

სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილებაა მიღებული.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა განაცდური პრემიის ანაზღაურების შესახებ, რადგან იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავს ისეთ ანაზღაურებას, როგორიცაა შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოების თანხების ანაზღაურება, რადგან პირი რეალურად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს, რის გამოც ადმინისტრაცია მოკლებულია შრომითი შედეგების მიხედვით პირის წახალისების შესაძლებლობას. ამასთანავე, კასატორი ვერ ასაბუთებს, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების შემთხვევაში, მის მიმართ გამოყენებული იქნებოდა ფინანსური წახალისების ზომა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ს. გ-ამ სსკ-ის 102-ე მუხლის საფუძველზე ვერ შეძლო თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი სათანადო და უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა. ს. გ-ას მიერ ვერ ხდება მითითება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ ისეთ აქტზე, რომლითაც ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას ეკისრება ვალდებულება შრომითი შედეგების მიუხედავად ყველა თანამშრომელზე გასცეს ყოველკვარტალური პრემია. ამასთანავე, საქმეში არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ყოველკვარტალურად მერიაში დასაქმებულ ყველა პირზე პრემიის გაცემას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ს. გ-ას საკასაციო საჩივარს არ აქვს წარმატების პერსპექტივა.

რაც შეეხება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარს, პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.04.2016 წ. №7/22 განკარგულებით განხორციელდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია, თუმცა აღნიშნული ვერ გახდება ს. გ-ას სამსახურში აღდგენის დამაბრკოლებელი გარემოება, რადგან სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია ს. გ-ას მიერ დაკავებული თანამდებობის ადეკვატური, ფუნქციურად და იერარქიულად იგივე სტატუსის მქონე თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ახლადშექმნილი განყოფილება აღიჭურვა

რეორგანიზაციამდე არსებული განყოფილების არსობრივად იდენტური უფლებებით. კასატორს არ წარმოუდგენია აღნიშნული გარემოებების საწინააღმდეგო სათანადო მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული არც ერთი საფუძველი, რის გამოც ს. გ-ასა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. გ-ასა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2016- გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იქულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი

გადაცემის დღე საქართველოს სახელი

№ბს-475-470(2)-16)

6 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძუ-
ლებითი განაცდურის, გამოუყენებელი შვებულების და პროცე-
სის ხარჯების ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

მ. შ-მა ლაგოდეხის მაგისტრატ სასამართლოში სარჩელი აღ-
ძრა შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს და
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ, რომ-
ლითაც მოითხოვა მ. შ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შე-
სახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 26
ნოემბრის №2/1401 ბრძანების ბათილად ცნობა; მოპასუხე შსს
სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დავალება მ.
შ-ის სამსახურში აღდგენის თაობაზე; მოპასუხების დავალება
იძულებითი განაცდურის, გამოუყენებელი შვებულების და
პროცესის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 2015 წლის 9 ივნი-
სის გადაწყვეტილებით, მ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწი-
ლობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ლაგოდეხის მუნიციპალიტე-
ტის გამგებლის 2014 წლის 26 ნოემბრის №2/1401 ბრძანება მ. შ-
ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მოპასუხე ლაგო-
დეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა იძულებითი გა-
ნაცდურის ანაზღაურება მ. შ-ისთვის 2014 წლის 26 ნოემბრი-
დან 2015 წლის 10 იანვრამდე; დანარჩენ ნაწილში მ. შ-ის მოთ-
ხოვნა არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ და მოპასუხე ლა-
გოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საპელაციო წესით გა-
ასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით, მ. შ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება; მ. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაევალა მ. შ-ის სამსახურში აღდგენა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მ. შ-ისათვის 2014 წლის 26 ნოემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე; დანარჩენ ნაწილში ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. მ. შ-ი 2000 წლიდან მუშაობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხანდარსანინალმდეგო დაცვის და სამაშველო სამსახურის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 14 ივლისის ბრძანებით, მ. შ-ი გათავისუფლდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახანდარო დაცვის და სამაშველო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან. და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 ივლისის ბრძანებით მ. შ-ი კვლავ დაინიშნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის ... თანამდებობაზე. მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1000 ლარით.

2. 2014 წლის 25 ნოემბერს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კანცელარიაში რეგისტრირებულია სახანძრო სამაშველო სამსახურის დ. ხ-ის განცხადება, ქ. ლაგოდეხის სახანძრო სამაშველო სამსახურში არსებული რთული ვითარების შესახებ. განცხადებას დ. ხ-ის გარდა ხელს აწერენ ამ სამსახურის თანამშრომლები: შ. ღ-ე, ნ. ნ-ი, ვ. ბ-ი, ი. თ-ი, და ზ. კ-ე. კერძოდ, განცხადებაში მითითებულია შემდეგი: „აღნიშნული სამსახურის ... მ. შ-ი არ გვაძლევს ჩვენზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულების საშუალებას, კერძოდ: არ გავვაჩნია სამუშაო ოთახი, არ გადმოგვცა კუთვნილი კორპორაციული სიმ-ბარათები, მიზანიმიართულად და შეგნებულად აფერხებს თანამშრომლებზე დაკისრებული უფლება -მოვალეობების შესრულებას, მისი არაკომუნიკაბელობის გამო ვერ ხერხდება სამსახურებრივი საკითხების შეჯერება. ახლად შექმნილი სკამები ოთახში აქვს ჩაკეტილი. ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნული გარემოებები საგრძნობლად აფერხებს სახანძრო-სამაშველო სამსახუ-

რის ეფექტურად მუშაობას.

3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით, 2014 წლის 26 ნოემბერს გამგებლის მოადგილე გ. ბ-ი ადგილზე მისვლით გაეცნო განცხადებაში მითითებულ ვითარებას და ლა-გოდეხის გამგებლის შეტანილ განცხადებაზე ხელმომწერ პი-რებთან: სახანძრო სამაშველო სამსახურის უფროსის თანაშემ-ნე დ. ბ-სთან, ... შ. ღ-ის, ... ნ. ნ-ის, ... კ. ბ-ის, ... ი. თ-ის და ... ზ. კ-ის მონაცილებით შეადგინეს აქტი, სადაც მიუთითეს შემდეგი: „ადგილზე შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ თანამშრომლებს არ აქვთ სამუშაო ოთახები და დასაჯდომი სკამები, ასევე არ აქვთ კორპორაციული სიმ-ბარათები, ვერ ხერხდება სამსახურებრივ საკითხებზე შეჯერება“, იმავე დღეს, 2014 წლის 26 ნოემბერს გამგებლის მოადგილე გ. ბ-მა მოხსენებითი ბარათით მიმართა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სადაც მიუთითა, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები შეესაბამება სინამდვი-ლეს.

4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 26 ნოემბრის №2/1401 ბრძანებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგების სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის ... მ. შ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფ-ლებას საფუძვლად დაედო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სა-ხანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა 2014 წლის 25 ნოემბრის №1541 განცხადება, ლაგოდეხის მუნი-ციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2014 წლის 26 ნოემბრის აქტი და მოხსენებითი ბარათი.

5. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 26 ნოემბრის №2/1401 ბრძანება მ. შ-ს ჩაბარდა 2014 წლის 5 დე-კემბერს.

6. მ. შ-ის მიმართ არასდროს ყოფილა გამოყენებული დის-ციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.

7. ზემოაღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით მ. შ-მა, რო-გორც სარჩელში, ასევე საქმის სასამართლო განხილვის დროს, ახსანა-განმარტებისას მიუთითა, რომ სახანძრო – სამაშველო სამსახურის შენობა 11 ოთახისგან შედგებოდა, საიდანაც 4 ოთახი ეკავა მეხანძრების 4 ცვლას, 1 ოთახში განთავსებული იყო სა-დისპეჩერო, 1-ში სამზარეულო, 1 დიდი ოთახი გამოყოფილი იყო, როგორც მეხანძრების საერთო ოთახი, რომელსაც ასევე იყე-ნებდნენ საძინებლად, 1 ოთახში იყვნენ მთავარი სპეციალის-ტები, 1 ოთახი - სამსახურის უფროსის კაბინეტი, ერთი – საწყო-ბი, ხოლო ერთი ოთახი ეკავა საგანგებო სიტუაციების სამსა-ხურს, სულ 11 ოთახი. მოსარჩელეს არ შეეძლო დ. ხ-ისთვის ცალ-

კე ოთახის გამოყოფა, რადგან შენობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. სკამებთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიუთითა, რომ ყველა თანამშრომელს ჰქონდა თავისი მაგიდა და სკამი. 2014 წლის 11 ნოემბერს გამგეობამ სახანძრო სამსახურს მისცა 11 ახალი სკამი, საიდანაც 4 სკამი იმავე დღეს გადაეცა აფენის ქვეგანყოფილებას, 4 სკამი დაიდგა მთავარი სპეციალისტების ოთახში. როგორც მოსარჩელემ განმარტა, დანარჩენი 3 სკამი შეფუთულ მდგომარეობაში იდგა მის სამუშაო კაბინეტში, შემდგომი განაწილების მიზნით, საიდანაც თანამშრომლებმა უნებართვოდ გაიტანეს საერთო ოთახში, ამიტომ ისინი ნამდვილად აიღო და ისევ შეინახა თავის კაბინეტში. სიმ-ბარათებთან დაკავშირებით მ. შ-მა მიუთითა, რომ 2014 წელს კორპორაციული სიმ-ბარათები ჰქონდა მხოლოდ სამსახურის უფროსს და ქვეგანყოფილების უფროსებს. შიმ-ბარათებთან დაკავშირებით მან მიმართა ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურს, სადაც მას განუმარტეს, რომ სიმ-ბარათების გაცემა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მომდევნო წელს. მან ასევე არ დაადასტურა სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციის პრობლემის არსებობის ფაქტი.

8. მოწმეების სახანძრო სამაშველო სამსახურის თანამროლების მ. ბ-ის და ს. ბ-ის ჩვენებით დგინდება, რომ განცხადებაში მითითებულ ყველა პირს ჰქონდა თავისი სამუშაო ოთახი და სკამი. გამგეობის მიერ მიცემული სკამებიდან 4 სკამი ნამდვილად გადაეცა აფენის განყოფილებას, კორპორაციული სიმ-ბარათები ს. ბ-ს, როგორც აფენის ქვეგანყოფილების უფროსს ჰქონდა, ხოლო მ. მ-მა სიმ-ბარათი მიიღო 2015 წლის აპრილში, რაც შეეხება არაკომუნიკაბელობას, მოწმეებმა ასეთი პრობლემის არსებობა არ დადასტურეს.

9. მოპასუხის მოწმეების დ. ხ-ის, შ. ღ-ის, ვ. ბ-ის, ი. თ-ის, ნ. მ-ის და ზ. კ-ის ჩვენებით დადგინდა, რომ 2014 წლის 25 ნოემბრის განცხადება შეადგინა დ. ხ-ემ, რომელიც 2014 წლის ოქტომბერში დაინიშნა ლაგოდების სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის როგორც მოწმეებმა განმარტეს, დანარჩენებმა ხელისმონერით განცხადებაში მითითებული ფაქტების ნამდვილობა დაადასტურეს. მოწმეთა ჩვენებით გაირკვა, რომ სამუშაო ოთახის არქონასთან დაკავშირებით პრეტენზია ჰქონდა მხოლოდ დ. ხ-ეს, რომელსაც სამუშაო სივრცე (მაგიდა, სკამი) ჰქონდა მთავარი სპეციალისტების ოთახში, თუმცა იგი, როგორც, ითხოვდა ცალკე სამუშაო კაბინეტის გამოყოფას. განცხადებაში მითითებულ დანარჩენ ყველა პირს, გარდა შ. ღ-ისა, ჰქონდა თავისი სამუშაო სივრცე (მაგიდა, სკამი) და ამ მიმარ-

თებით რაიმე პრეტენზია არ ჰქონიათ. რაც შეეხება შ. ლ-ეს, იგი 2014 ოქტომბერში დანიშნული იყო სოფელ აფენის ქვეგანყოფილებაში, და იმ პერიოდში ლაგოდეხის სახანძრო და სამაშველო სამსახურში დროებით, სტაჟირების მიზნით იმყოფებოდა. მოწმეებმა ასევე განმარტეს, რომ მათ ჰქონდათ დასაჯდომი სკამები, მაგრამ იყო ძველი სკამები. რაც შეეხება 11 ახალ სკამს, რომ 2014 წლის 11 ნოემბერს გამგეობამ სახანძრო სამსახურს მისცა 11 ახალი სკამი, საიდანაც მ. შ-მა 4 სკამი იმავე დღეს გადასცა აფენის ქვეგანყოფილებას, 4 სკამი დაიდგა მთავარი სპეციალისტების ოთახში, ხოლო დანარჩენი 3 სკამი შეფუთულ მდგომარეობაში იდგა მ. შ-ის სამუშაო კაბინეტში. როგორც მოწმეებმა და ხ-ემ, შ. ლ-ემ და ბ-მა სასამართლო სხდომაზე განმარტეს, აღნიშნული 3 სკამი მათ გამოიტანეს მ. შ-ის კაბინეტიდან და შეიტანეს საერთო (დასასევენებელ) ოთახში, სადაც ტელევიზორს უყურებდნენ, რაზეც მოსარჩელე გაპრაზდა. როგორც მოწმეებმა განმარტეს, მან ისინი „წამოყარა სკამიდან“ და სკამები ისევ თავის კაბინეტში შეიტანა, რაც მოწმეთა განმარტებით, მათთვის შეურაცხმყოფელი იყო. რაც შეეხება კორპორაციულ სიმ-ბარათებს, როგორც მოსარჩელის და მისი მოწმეების, ასევე მოპასუხის მოწმეთა ჩვენებითაც დადგინდა, რომ მეხანძრებმა კორპორაციული სიმ-ბარათები მიიღეს 2015 წლის აპრილში.

10. მ. შ-მა წარმოადგინა მარტივი სქემა, სადაც მითითებულია სახანძრო- სამაშველო სამსახურის შენობის ოთახების განლაგება, ფართობი და დანიშნულება, რითაც დგინდება, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობა 11 ოთახისგან შედგება და ყველა დანიშნულებისამებრ იყო განაწილებული.

11. არ დადასტურდა სახანძრო სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო პირობების (სამუშაო ოთახების არქონა) შეზღუდვის ფაქტი. განცხადებაში მითითებულ პირებს ჰქონდათ სამუშაო ოთახი, აღნიშნული გარემოება დაადასტურეს მოწმეებმა. რაც შეეხება დ. ხ-ეს, სასამართლო სხდომაზე დადასტურდა, რომ მთავარი სპეციალისტების ოთახში მასაც ჰქონდა თავისი სამუშაო მაგიდა და სკამი, სადაც მასთან ერთად 18 კვ. მეტრი ფართობის ოთახში 2 თანამშრომელი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ამიტომ მას ჰქონდა სამუშაო სივრცე, ხოლო სამსახურის უფროსს ცალკე კაბინეტის გამოყოფის ვალდებულება არც შინაგანაწესით და არც სხვა რაიმე ნორმატიული აქტით ევალებოდა. მითუმეტეს, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობაში ოთახების რაოდენობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. სიმ-ბარათებთან დაკავშირებით დადასტურებულია,

რომ მეხანძრებებს სიმ-ბარათები გადაეცათ 2015 წლის აპრილში, რაც ადასტურებს მ. შ-ის განმარტებას, რომ 2014 წლის ბოლოს მას გამგეობის საფინანსო სამსახურმა უარი უთხრა მეხანძრებისათვის სიმ-ბარათების შეძენაზე, რადგან აღნიშნული მხოლოდ მომავალი წლიდან იყო შესაძლებელი. ამასთან, სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის სათანადო პირობების შექმნაზე, მათ შორის, მეხანძრებისათვის კომუნიკაციის უზრუნველყოფაზე პასუნისმგებელი იყო არა მხოლოდ სამსახურის უფროსი, არამედ ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობაც, რადგან 2015 წლის 10 იანვრამდე ეს სამსახური მათ სტრუქტურულ ერთეულს წამოადგენდა.

12. სასამართლო სხდომაზე დადასტურდა, რომ მოსარჩეულებ ნამდვილად ჩაკეტა თავის კაბინეტში მოწმების მიერ მთავარი სპეციალისტებს ოთახიდან გამოტანილი ვ სკამი, რომელიც მათ საერთო ოთახში შეიტანეს, თუმცა მოპასუხეს არც ადმინისტრაციული წარმოების დროს და არც სასამართლოში არ მიუთითებია, და არც სათანადო მტკიცებულებით დაუდასტურებია, რომ ამ ქმედებამ (საერთო ოთახიდან სკამების გამოტანამ) ხელი შეუშალა სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების სათანადოდ შესრულებაში. სასამართლოს ასევე დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩეულესა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის რამდენიმე თანამშრომელს შორის არასათანადო კომუნიკაციის ფაქტი, თუმცა მოპასუხეს არც ადმინისტრაციული წარმოების დროს და არც სასამართლოში არ მიუთითებია, და არც სათანადო მტკიცებულებებით დაუდასტურებია, რომ აღნიშნულის გამო ვერ მოხერხდა სამსახურებრივი საკითხების შეჯერება, რამაც გამოიწვია თანამშრომლებზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობების შესრულებაში ხელშეშლა, ან საგრძნობლად შეფერხდა სახანძრო-სამაშველო სამსახურის ეფექტურად მუშაობა, რაც განცხადებაში იყო მითითებული და რაც საფუძვლად დაედო მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლებას.

13. ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობამ სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა განცხადების თაობაზე არ აცნობა მ. შ-ს, არ გამოარკვია განცხადებაში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით მისი პოზიცია. შესაბამისად, მას არ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა საწინააღმდეგო პოზიცია 2014 წლის 25 ნოემბრის განცხადებაში, ან 2014 წლის 26 ნოემბრის აქტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით და წარმოედგინა საწინააღმდეგო არგუმენტები. ეს გარემოება საქმის სა-

სამართლო განხილვის დროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობას სადაცოდ არ გაუხდია. უფრო მეტიც, მ. შ-ს მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგაც უარი ეთქვა იმ მასალების გადაცემაზე, რაც საფუძვლად დაედო მის სამსახურიდან გათავისუფლებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობამ სრულყოფილად არ გამოიკვლია სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა განცხადებაში აღნიშნული გარემოებები, დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ არ აცნობა მ. შ-ს, რომელსაც კანონმდებლობით მიიჩნებული აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება; რა დროსაც შესაძლებლობა ექნებოდა გამოეთქვა საანინააღმდეგო არგუმენტები, წარედგინა საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება მიიღო, გასაჩივრებული აქტი გამოსცა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, რითაც დაირღვა მოსარჩელის კანონიერი უფლება და ინტერესი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ფაქტობრივად განხორციელდა სახანძრო-სამაშველო სამსახურის დაქვემდებარების შეცვლა: ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა, იგი დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს, კერძოდ, მისი მმართველობის ქვემ შემავალ სისი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, ხოლო სახანძრო-სამაშველო სამსახურის ფუნქციონალური დატვირთვის კუთხით, ცვლილებები არ მომხდარა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. შ-ს, გათავისუფლებამდე დაკავებული ჰქონდა ლაგოდების მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსის თანამდებობა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული ლაგოდების სახანძრო-სამაშველო სამსახურის ლიკვიდაცია და სხვა უწყებაში/სამინისტროში ახლად შექმნილი თუნდაც იდენტური დასახელების თანამდებობის არსებობა არ ქმნის კონკრეტულ თანამდებობაზე პირის აღდგენის საფუძველს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციის გათვალისწინებით, ვინაიდან დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში, არ არსებობს მ.

შ-ის ქ. ლაგოდეხის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფრო-სის თანამდებობაზე აღდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური, ვინაიდან გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მ. შ-ის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯველო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო, რომელიც ხელფასის შემადგენელი პრემირებისა და დანამატებისაგან განსხვავებით გაიცემა მოხელის ინდივიდუალური მახსასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად, უნდა აუნაზღაურდეს სრულად, კერძოდ სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, იძულებითი განაცდურის აღდგენა უნდა დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

კასატორი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, ვინაიდან, აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მისი მოქმედება არ ვრცელდება გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე, რომლის სამსახურიდან გათავისუფლების დისკრეციული უფლებამოსილება აქვს გამგებელს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად

კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული, რაც საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ განსახილველ საქმეზე გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი.

აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მისი მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1¹ და 1² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრზე, მუნიციპალიტეტის გამგებელზე/მერზე, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილეზე, მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მოადგილეზე, გამგეობის/მერის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად გამგეობის/მერის თანამდებობის პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გამგებლის ეს უფლებამოსილება არ არის შეუზღუდვავი და არ ანიჭებს მას დასაქმებული პირის თვითნებურად გათავისუფლების საშუალებას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება შეზღუდულია კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის მოთხოვნით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა

და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ეს ვალდებულება ვრცელდება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქტის გამოცემაზეც – ამგვარი უფლებამოსილების განხორცილებას წინ უნდა უსწრებდეს საკითხის სათანადოდ გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის გასაჩივრებული აქტი კანონდარღვევითაა გამოცემული, ვინაიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სრულყოფილად არ გამოკვლია სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა განცხადებაში აღნიშნული გარემოებები, დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ არ აცნობა მ. შ-ს, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება; რა დროსაც შესაძლებლობა ექნებოდა გამოეთქვა საწინააღმდეგო არგუმენტები, წარედგინა საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება მიიღო, გასაჩივრებული აქტი გამოსცა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, რითაც დაირღვა მოსარჩელის კანონიერი უფლება და ინტერესი (იხ. ზემოთ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოები, პუნქტი 1-13).

რაც შეეხება მ. შ-ის სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, 2015 წლის 10 იანვრიდან ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, აჭარის ავტონომიური ორგანული კონსულტაციების, სახელმწიფო რწმუნებულების გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული სა-

განგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურები/დანაყოფები (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა). ამავე კანონით განისაზღვრა გაუქმებული ერთეულების ლიკვიდაციის შედეგად ან ლიკვიდაციის პროცესში აღრიცხული უძრავი და მოძრავი ქონების (მათ შორის, შენობანაგებობი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა) და სამსახურებრივი დოკუმენტაციის საქართველოს შსს მმართველობის სფეროში მოქმედი სისიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის გადაცემის ვალდებულება.

ამავე კანონის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო რწმუნებულების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების/დანაყოფების (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ ამ სამსახურების/დანაყოფების უფლებამონაცვლედ ჩაითვალა სააგენტო, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა, რომლის თანახმადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო რწმუნებულების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების/დანაყოფების (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) იმ ფინანსური ვალდებულებების (შრომის ანაზღაურება, სხვა საქონელი და მომსახურება და სხვა) უფლებამონაცვლებად, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოიშვა, ჩაითვალა, შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, სახელმწიფო გუბერნატორები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაციისას დანაყოფის საქმიანობის შეწყვეტასთან ერთად განხორციელდა ნუსხით გათვალისწინებული ყველა საშტატო ერთეულის გაუქმება.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ ცვლილების შედეგად მოხდა იმავე სამსახურის მხოლოდ დაქვემდებარების შეცვლა.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირი აღდგენილ უნდა იქნეს იმავე თანამდებობაზე. საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს გათავისუფლებული პირისათვის ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების ვალდებულებას, თუ აღარ არსებობს

ის კონკრეტული საშტატო ერთეული, საიდანაც მისი გათავისუფლება მოხდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოგალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ, იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას, შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტურობისა დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს ა) მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ბ) ძირითად უფლებამოსილებათა წერე; გ) მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; დ) ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება (ამავე საკითხზე იხ. სუსგ №ბს-449-442 (კ-15)).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა ერთი სამსახურის/თანამდებობის ფორმალური მონაცვლეობა ერთსა და იმავე ან ზემდგომ/ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, არამედ გამგეობის შემადგენლობაში არსებული სამსახური გაუქმდა და მსგავსი ფუნქციის სამსახური შეიქმნა სრულიად სხვა უწყების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში, ამასთან, ახლადშექმნილი სამსახური არის სამართალდამცავი სისტემის ნაწილი, რომელიც, მართალია, სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფლებამონაცვლეა, მაგრამ მასზე ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულ პირთა მიმართ მოქმედი დამატებითი შეზღუდვები და მოთხოვნები, რომლებიც არ გამოიყენოდა გამგეობის თანამდებობის პირთა მიმართ. 2015 წლის მდგომარეობით, იმისათვის, რომ პირი დასაქმებულიყო შსს სსიპ საგანგებო სიტუაციებს მართვის სააგენტოში, მას უნდა დაეკმაყოფილებინა შს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ მოთხოვნები, მათ შორის, ასაკობრივი მოთხოვნები. დღეის მდგომარეობით,

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში პირთა და-საქმება ხდება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იური-დიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში სამსახური მიღებისა და სამსახურის გავლის წესის დამტკიცე-ბის შესახებ“ შს მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის პრძანე-ბის შესაბამისად, სადაც ასევე მითითებული, რომ მოსამსახუ-რედ სააგენტოში არ მიღება 60 წელს გადაცილებული პირები.

ყოველივე ზემოალნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორ სსიპ საგანგებო სიტუაციე-ბის მართვის სააგენტოს, რომ მ. შ-ის თანამდებობაზე აღდგენა აღნიშნული სსიპ-ის ფარგლებში შეუძლებელია.

რაც შეეხება მ. შ-ის მითითებას, რომ ლიკვიდაციის შემდეგ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში დაასაქმა 2 პირი, რომელიც ასევე 60 წელს გადაცილებული იყო, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში ხაზს უსავამს, რომ, როგორც საქ-მის მასალებით ირკვევა, ორივე მათგანი 3-თვიანი გამოსაცდე-ლი ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლდა დაკავებული თა-ნამდებობიდან, გარდა ამისა, არ არსებობს თანასწორობა უკა-ნონობაში. ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომის ან კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება არ ანიჭებს სხვა პირს ზოგადი ადმინისტრა-ციული კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე მის მიმართაც ანა-ლოგიური გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის უფლებას.

რაც შეეხება იძულებით განაცდურის ანაზღაურებას, „სა-ჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-6 ნაწილი ამ უფლებას ითვალისწინებს მხოლოდ პირის სამსახურში აღ-დგენის შემთხვევაში. მართალია, მოცემული დავის მიმართ ეს კანონი გამოყენებული ვერ იქნება, მაგრამ ეს შეზღუდვა ანა-ლოგით უნდა გავრცელდეს ამ შემთხვევაზეც, ნინააღმდეგ შემ-თხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა თა-ნამდებობის პირები აღმოჩნდებიან უპირატეს მდგომარეობაში სხვა საჯარო მოხელეებთან შედარებით, რაც არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. საკასაციო სასამართლო ამასთან აღნიშნავს, რომ იძულებით განაცდურის ანაზღაურების შეუძლებლობა არ ართმევს პირს უფლებას, უკა-ნონო ადმინისტრაციული აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაუ-რება მოითხოვოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. შ-ის სამსახურ-ში აღდგენის შეუძლებლობა გავლენას არ ახდენს იმ ფაქტზე, რომ 2014 წლის 25 ნოემბერს ეს უკანასკნელი სამსახურიდან

უკანონოდ გათავისუფლდა.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამასხურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, ამდენად, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შებოჭილია მოთხოვნის ფარგლებით და იმ სამართლებრივი შედეგით, რისი მიღებაც მოსარჩელეს სურს, მაგრამ არა ამ მოთხოვნის ჩამოყალიბების ფორმით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, აქედან გამომდინარე, სარჩელის საფუძვლის შეცვლა ნიშნავს იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას, რომლებიც თავდაპირველად იყო მითითებული მოსარჩელის მიერ თავის სარჩელში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძვლი.

მოცემულ შემთხვევაში, მ. შ-ის მიზანია, მოხდეს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ ხელფასის სახით, რომელსაც ეს უკანასკნელი მიი-

ღებდა სამსახურიდან კანონის დარღვევით რომ არ გათავისუფლებულიყო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დაგენილი წესი.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 25 ნოემბერის აქტით მოსარჩელე კანონის დარღვევით თანამდებობიდან რომ არ გაეთავისუფლებინა, ეს უკანასკნელი გააგრძელებდა მუშაობას შესაბამისი სამსახურის ლიკვიდაციამდე და მიიღებდა შრომის ანაზღაურებას, ამდენად, სახეზე მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მ. შ-მა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად ვერ მიიღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო, იღებს რა მოცემულ საქმეზე ახალ გადაწყვეტილებას, მიიჩნევს, რომ მ. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს და ამ უკანასკნელს აუნაზღაურდეს 2014 წლის 26 ნოემბრიდან 2015 წლის 10 იანვრამდე მიუღებელი შრომის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ დ ვ ი ტ ა :

1. შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებამ იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კახეთის საგანგებო სიტუაციების სამმართველოს დაევალა მოსარჩელის აღდგენა ქ. ლაგოდეხის სახანძრო-სამაშველო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 26 ნოემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

4. ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

5. მ. შ-ის სასარჩელო მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაქმაყოფილდეს;

6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს მ. შ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 26 ნოემბრიდან 2015 წლის 10 იანვრამდე ჰერიოდისათვის ამ უკანასკნელის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება;

7. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებალიხელვასის და ზიანის სახით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

№პს-504-499(ჯ-16)

8 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

დავის საგანი: მოპასუხისათვის მოსარჩელეთა სასარგებ-
ლოდ ყოველთვიური ხელფასის გადახდის დაკისრება, მატერი-
ალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 23 თებერვალს ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ სასარჩე-
ლო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილი-
სის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი ქ. თბილისის მუნიციპა-
ლიტეტის მერიის თანამშრომლებს წარმოადგენენ და მათი სარ-
ჩელი შეეხება ხელფასის გაუცემლობასა და დავის მიმდინარე-
ობისას პროცესის ხარჯების ანაზღაურებას.

მოსარჩელეთა მითითებით, თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იან-
ვრის შემაჯამებელი გადაწყვეტილებით №3/3371-14 საქმეზე
მოსარჩელეების – ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას სარჩელის დაკმა-
ყოფილების შედეგად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №274 ბრძა-
ნება ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ქა-
ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვის-
ტოს №273 ბრძანება ნ. ქ-ას თანამდებობიდან გათავისუფლე-
ბის შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014
წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანება გ. ბ-ას თანამდებობიდან გა-
თავისუფლების შესახებ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიას დაევალა მოსარჩელეთა აღდგენა გათავისუფლებამდე
დაკავებულ თანამდებობებზე; მასვე დაევალა მოსარჩელეთა
სასარგებლოდ 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრო-
მის ანაზღაურების გადახდა. თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ №3/3371-14 საქმეზე 2015 წლის 27 იანვარს მიღებული განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელების – ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას შუამდგომლობა თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიეცევის შესახებ და მიღებული გადაწყვეტილება დასახელებულ ნაწილში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას. ამდენად, დასახელებული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა გამოცხადებისთანავე.

მოსარჩელეთა მითითებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ლ. ხ-ის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1800 ლარს, ხოლო წინასწარ გათვალისწინებული ყოველთვიური დანამატი თანამდებობრივ სარგოზე – 1800 ლარს, ნ. ქ-ას თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1300 ლარს, გ. ბ-ას თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1200 ლარს. მოსარჩელეებს – ლ. ხ-ს, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას დაუყოვნებლივ აღსრულებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილების ნაწილის ძალაში შესვლის დღიდან – 2015 წლის 27 იანვრიდან არ მიუღიათ კუთვნილი თანამდებობრივი სარგო, ხოლო ლ. ხ-ს – თანამდებობრივ სარგოზე დანამატი.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დავალებოდა 1. 2015 წლის 27 იანვრიდან ყოველთვიურად, კანონით დადგენილი წესით, სამსახურიდან გათვავისუფლებამდე ლ. ხ-ის სასარგებლოდ თანამდებობრივი სარგოს 1800 ლარის და ყოველთვიური დანამატის 1800 ლარის გადახდა, ნ. ქ-ას სასარგებლოდ თანამდებობრივი სარგოს 1300 ლარის გადახდა, გ. ბ-ას სასარგებლოდ თანამდებობრივი სარგოს 1200 ლარის გადახდა; 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება ლ. ხ-ის სასარგებლოდ 2015 წლის 27 იანვრიდან თვეში 3600 ლარის ოდენობით, ნ. ქ-ას სასარგებლოდ – 1300 ლარის ოდენობით, გ. ბ-ას სასარგებლოდ – 1200 ლარის ოდენობით, ამავე განჩინების აღსრულებამდე; 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ №3/3371-2014 საქმეზე 2015 წლის 27 იანვარს მიღებული განჩინების აღსრულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ზიანისთვის 2015 წლის 27 იანვრიდან ყოველი თვისთვის ამავე განჩი-

ნების აღსრულების დღემდე პერიოდისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურება: ლ. ხ-ის სასარგებლოდ 55.55 ლარი, ნ. ქ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი, გ. ბ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი და ამავე განჩინების აღსრულებლობით გამონვეული არაქონებრივი, მორალური ზიანის ანაზღაურება მოსარჩელეთათვის პოლიტიკური ნიშანდებით დისკრიმინაციული მიდგომისთვის: ლ. ხ-ის სასარგებლოდ 55.55 ლარი, ნ. ქ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი, გ. ბ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი; 4. ლ. ხ-ისთვის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ასთვის მათ მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება: ადვოკატის დახმარებისთვის თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 2400 ლარი, სანოტარო წესით მინდობილობის შესადგენად განეული დანახახარჯი თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 12 ლარი, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისთვის 5.55 ლარი, სარჩელის და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისთვის 5.55 ლარი, ფურცლების აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინდვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისთვის 0.05 ლარი, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯი 5.55 ლარი, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯი 0.55 ლარი, სასამართლოში მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის სხდომებზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირებისთვის განეული დანახარჯი 55.55 ლარი, მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადების დავით კუცილებელ კვებაზე განეული გაზრდილი დანახარჯები 55.55 ლარი, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება 555 555 555.55 ლარი.

ამასთან, მოსარჩელებმა იძუამდგომლეს გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ამ მიზნის უზრუნველსაყოფად მოპასუხისათვის წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენის ვადის მინიმალურ დონეზე შემცირების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 მარტის განჩინებით მოსარჩელეების შუამდგომლობა გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ამ მიზნის უზრუნველსაყოფად მოპასუხისათვის წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენის ვადის მინიმალურ დონეზე შემცირების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

2015 წლის 23 მარტს ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ განცხადებით მიმართეს თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ყველა არსებული მოთხოვნის უცვლელად შენარჩუნების პირობებში, დამატებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 4 თებერვლის № 12-1/150351434, № 12-1/150351441 და № 12-1/150351419 წერილების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 4 თებერვლის № 12-1/150351434, № 12-1/150351441 და № 12-1/150351419 წერილების ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის ნარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ლ. ხ-ის სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება 2015 წლის 27 იანვრიდან თვეში 3600 ლარის ოდენობით მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენამდე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ნ. ქ-ას სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება 2015 წლის 27 იანვრიდან თვეში 1300 ლარის ოდენობით მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენამდე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე დაევალა ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ასთვის მათ მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება: ნარმომადგენლობით უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის თითოეულისთვის 12 ლარის ოდენობით, ადგომატის დახმარებისთვის განეული ხარჯის თითოეულისთვის 300 ლარის ოდენობით; ლ. ხ-ს და ნ. ქ-ას უარი ეთქვათ სხვა საპროცესო ხარჯების, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე; გ. ბ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს № 274 ბრძანებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლ. ხ-ი, სამსახურებრივი მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებისათვის, გა-

თავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №273 ბრძანებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნ. ქ-ა, სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებისათვის, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის №1891 განკარგულებით გ. ბ-ა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის ... საქალაქო სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურედ, შრომითი ხელშეკრულებით. 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე გ. ბ-ა, სამსახურებრივი მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებისათვის, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით საქმეზე №3/3371-14 ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №274 ბრძანება ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №273 ბრძანება ნ. ქ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანება გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე აღდგენა. დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლ. ხ-ისთვის, ნ. ქ-ასთვის და გ. ბ-ას-თვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 27 იანვარს მიიღო განჩინება №3/3371-14 საქმეზე ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 17 ნოემბრის №06/14282986-17 ნერილით დასტურდება, რომ 2014 წლის აგვისტოში ლ. ხ-ის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1800 ლარს, ნ. ქ-ას თანამ-

დეპოზიტი სარგო – 1300 ლარს, გ. ბ-ას შრომითი გასამრველო – 1200 ლარს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 4 თებერვლის №12-1/150351434 წერილით ღ. ხ-ს განემარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №6-19 დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში არსებობდა ახალი სტრუქტურული ერთეულები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. დამატებით ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობა არ არსებობდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 4 თებერვლის №12-1/150351441 წერილით ხ. ქ-ას განემარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №6-19 დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში არსებობდა ახალი სტრუქტურული ერთეულები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. დამატებით ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობა არ არსებობდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 4 თებერვლის №12-1/150351419 წერილით გ. ბ-ას განემარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №6-19 დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. დამატებით ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობა არ არსებობდა.

რული ერთეულები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. დამატებით ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის შტატგარეშე მომსახურების თანამდებობა არ არსებობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 23 მარტს გასცა სააღსრულებო ფურცლები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3371-15).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2015 წლის 11 მაისის №06/151041171-1 წერილით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №6-19 დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში არსებობდა ახალი სტრუქტურული ერთეულები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობა არ არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღნიშნულ პირთა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების გამო, შეუძლებელი იქნებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის შესრულება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონ-

სტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკურის და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლი კი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსანინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლი კი განსაზღვრავს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლო განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსანინააღმდეგო ქმედებით, მართლსანინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძლვოდეს. ამასთან, ქმედება, რომელმაც პირს ზიანი მიაყენა, უნდა გამომდინარეობდეს პირის სამსახურებ-

რივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული; ამდენად, ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა დადგინდეს შემდეგი საფუძვლების ერთობლივი არსებობა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, შედეგი-ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, პირის ბრალეულობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, გალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრაზვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლით განსაზღვრულია სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსაზორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქეებისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ არ შეასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება ლ. ხ-ის, 6. ქ-ას და გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს ლ. ხ-სა და 6. ქ-ას უნდა აუნაზღაურდეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღსრულებლობით) მიყენებული მატერიალური ზიანი, მიუღებელი შრომის ანაზღაურების სახით, რომელსაც ხსენებული მოსარჩელეები მიიღებდნენ სასამართლოს განჩინების დროულად აღსრულების შემთხვევაში, კერძოდ 2015 წლის 27 იანვრიდან ლ. ხ-ი ყოველთვიურად ხელფასის და დანამატის სახით მიიღებდა 3600 ლარს,

ხოლო 6. ქ-ა – 1300 ლარს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ზიანის ანაზღაურების გარდა მოსარჩევები ითხოვდნენ 2015 წლის 27 იანვრიდან ყოველთვიურად თანამდებობრივი სარგოს და დანამატის ანაზღაურებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დანესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. ამდენად, შრომითი გასამრჯელოს მიღების უფლება აქვს მოხელეს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე და აგრეთვე უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამსახურში აღდგენაზე უკანონოდ უარის თქმის შემთხვევაში ხელფასის ანაზღაურებას. აღნიშნული ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით გამოწვეული მატერიალური ზიანი, მიუღებელი შემოსავალი. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩევები ფაქტობრივად ითხოვენ ხელფასის გაორმაგებული ოდენბის თანხების ანაზღაურებას, ერთ შემთხვევაში მიუღებელი ხელფასის სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში ზიანის სახით, რაც სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არა-ქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. პირადი არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას კი ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომლის ხელყოფის დროსაც

პირს უფლება აქვს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლით დაცულ სიკეთეს მიეკუთვნება პირის სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიანის განსაზღვრისას, მთავარი ის ტკივილია, რომელიც ქმედებამ (მოქმედებამ თუ უმოქმედობამ) გამოიწვია მოსარჩელეში. შედეგების გამოსწორება ძალიან ხშირად შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მანიც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაგმაყოფილებულიყო.

ამასთან, გ. ბ-ას უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. საქმის მასალებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის №1891 განკარგულებით გ. ბ-ა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის ... საქალაქო სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურედ, შრომითი ხელშეკრულებით. ხოლო 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე გ. ბ-ა, სამსახურებრივი მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებისათვის, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით საქმეზე №3/3371-14 ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანება გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა. დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას გ. ბ-ასთვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა. შესაბამისად, გ. ბ-ას შრომითი ხელშეკრულებით დარჩენილი დროის განმავლობაში ხელფასის სრული მოცულობით ანაზღაურებაზე სასამართლოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე არ დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ბრალეული ქმედებით გ. ბ-ასათვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, არ არსებობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2015 წლის 27 იანვარს მიღებული განჩინების აღუსრულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ზიანისთვის 2015 წლის 27 იანვრიდან ყოველი თვისთვის ამავე განჩინების აღსრულების დღემდე პერიოდისთვის 55.55 ლარის თითოეული მოსარჩელისთვის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნები დაუსა-

ბუთებლად მიიჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (6.5 პუნქტი). მოპასუხეს დაეკისრა უკანონო ქმედების (სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობით) გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მოსარჩელების მიერ მიუღებელი ხელფასის ოდენობით. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელების მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიიჩნია, რომ განსახილველი საქმის სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით მოპასუხეს ლ. ხ-ის და ნ. ქ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ადვოკატი-სათვის განუული ხარჯის თითოეული მოსარჩელისათვის 300 ლარის ანაზღაურება. აგრეთვე უნდა დაეკისროს წარმომადგენ-ლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის განეული ხარჯის თითოეულის-თვის 12 ლარის ანაზღაურება. რაც შეეხება სხვა საპროცესო ხარჯების, კერძოდ წერილობითი განცხადებების, წერილობი-თი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულო-ზის ქაღალდის ფურცლების, სარჩელის და თანდართული დო-კუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზა-დებაზე გაღებული ხარჯების, ფურცლების აკინძვაზე გახარ-ჯული ლითონის ამკინებით შეკვრაზე გაღებული ხარჯების, საქ-მის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავ-შირისათვის გაღებული დანახარჯის, საფოსტო კავშირისას მა-სალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარ-ჯის, სასამართლოში მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის სხდომებზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტი-რებისთვის განეული დანახარჯის, მოსარჩელისა და მისი წარ-მომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოც-ხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე განეული გაზრდილი დანახარჯების და სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურებას, ამ ნაწილში მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, ვინაიდან მოსარჩელებს არ აქვთ წარმოდგენილი მტკიცებუ-ლებები თუ რა ოდენობის ხარჯები იქნა გაღებული კონკრეტულ სარჩელთან მიმართებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის განჩინება კერძო საჩივ-რით გაასაჩივრეს ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ, რომლებმაც გასა-

ჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ: 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო პალატაში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება; 2. საქმის დაჩქარებული წესით განხილვაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 მარტის განჩინების გაუქმება; 3. სასამართლოს ინიციატივით საქმის განხილვის შეჩერებსა და სხვა დროისათვის გადადების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტისა და 2015 წლის 27 აპრილის საოქმო განჩინებების (საოქმო ჩანაწერი) გაუქმება; 4. საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე მონინააღმდეგე მხარისათვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოთხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის (საქშე №3ბ-485-15) გადაწყვეტილების ასლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინებით ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას, გ. ბ-ას და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და გასაჩივრებული საოქმო განჩინებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინებით ლ. ხ-ის, 6. ქ-ასა და გ. ბ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის განჩინება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უსაფურვლოდ მიიჩნია ლ. ხ-ის, 6. ქ-ას და გ. ბ-ას მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასამართლოს მითითებით, აპელანტები ლ. ხ-ი, 6. ქ-ა და გ. ბ-ა მორალური ზიანის მოთხოვნას აფუძნებენ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 10.1. მუხლის თანახმად, „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება“. მოსარჩელების განმარტებით, ისინი წარმოადგენენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი წაციონალური მოძრაობის“ წევრებს, რაც გახდა მათი დისკრიმინაციისა და დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, როგორც სამქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. კერძოდ, თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვ-

ნებსა და შესაგებელს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩეულებმა ვერ დაასაბუთეს და სასამართლოში არ წარმოუდგენიათ იმის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება, რომ მათი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით.

2016 წლის 25 მარტს ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღებით მოწინააღმდეგე მხარისათვის ყველა მოთხოვნილი სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით ნ. ქ-ას, ლ. ხ-ისა და გ. ბ-ას წარმომადგენლის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აპელანტების ნ. ქ-ას, ლ. ხ-ის და გ. ბ-ას მოთხოვნას ნაშდვილად წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილშიც, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე. თუმცა, მართალია სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არ არის კონკრეტული მსჯელობა სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების თაობაზე, მაგრამ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინებით ნ. ქ-ას, ლ. ხ-ის და გ. ბ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა არცერთ ნაწილში, შესაბამისად, მთლიანად უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და გასაჩივრებული საოქმო განჩინებები. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების ნაწილშიც უსაფუძვლო იყო და ამიტომ ამ ნაწილშიც უარი აქვთ ნათევამი მოსარჩელებს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. რაც შეეხება მოტივაციას იმის შესახებ, თუ რატომ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელების (აპელანტების) მოთხოვნა სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების

მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ამის შესახებ მითითებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილში სრულად, კონკრეტულად და ამომწურავად.

ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის, 2016 წლის 25 აპრილის განჩინებები და 2016 წლის 19 თებერვლის, 1 მარტისა და 24 მარტის საოქმო განჩინებები, რომლითაც გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და საკასაციო ეტაპზე სასამართლოსგარემე პროცესის ხარჯების მოწინააღმდეგე მხარისთვის დაკისრება მოითხოვეს.

კასატორებმა საკასაციო საჩივრით ასევე იშუამდგომლეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე საქმის დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე, სასამართლოს მიერ მიღებული/მისაღები ყველა შუალედური სასამართლო აქტის დამოწმებული ასლების მხარისათვის გადაგზავნის თაობაზე, საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სასარგებლოდ დაკისრებოდა სასამართლოსგარეშე ხარჯის სახით ადვოკატის დახმარებისათვის თითოეული მოსარჩელისათვის 2400 – 2400 ლარის ანაზღაურება და ასევე სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის სახით, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებამდე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 55.55 ლარის, საკასაციო საჩივრის და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გადებული ხარჯებისათვის – 55.55 ლარის, შესაგებლის გადაცემისათვის მოპასუხესთან საფოსტო კავშირის გამო, ასევე საქმის მიმდინარეობისას სხვა დოკუმენტების სასამართლოში საფოსტო კავშირით გადაგზავნით გამოწვეული გადებული ხარჯის – 55.55 ლარის, საფოსტო კავშირისას გადასაგზავნი მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯის – 55.55 ლარის, სასამართლოში სარჩელის ჩასაბარებლად აპელანტისა და მისი წარმომადგენლის სხდომებზე გამოცხადების და სხდომის ოქმების, სასამართლოს გადაწყვეტილებების ჩაბარებისათვის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად გადაადგილებაზე ტრასპორტირებისათვის განეული დანახარჯის – 55.55 ლარის, მოსარჩელის და მისი წარმომად-

გენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწრდილი გაზრდილი დანახარჯების – 55.55 ლარის, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის – 55 555 555.55 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

კასატორების – ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას განმატებით, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ მსჯელობს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებზე და არ აქარნებულებს მათ. კასატორთა მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც გაბათილდა მათი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება და ალდგა გათავისუფლების ბრძანებამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, მათ უნდა მისცემოდათ თანამდებობრივი სარგო 2015 წლის 27 იანვრიდან. კასატორები დაუსაბუთებლად მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ პერიოდის მიუღებელი ხელფასის მოაზრებას როგორც ზიანისა, ვინაიდან ხელფასის გაცემის ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოშობს ხელფასის გაცემის ვალდებულებას და არა როგორც მიყენებული ზიანისას, მაგრამ თუ მასზე გაუცემლობამ ასევე გამოიწვია ზიანი, ხელფასთან ერთად დამატებით – ზიანისაც. კასატორთა მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო სწორად არ განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1. მუხლი.

ამასთან, კასატორების მითითებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ისინი აღნიშნულ მოთხოვნას აყენებდნენ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რასაც სასამართლომ არ მისცა შეფასება.

კასატორები ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს განჩინებას მიუღებელი შემოსავლის ზიანისთვის თითოეული აპელანტისთვის 55.55 ლარის მოპასუხისთვის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე. კასატორების განმარტებით, 2015 წლის 27 იანვრიდან ხელფასის მიუღებლობით მოსარჩეულებმა განიცადეს ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

კასატორთა მოსაზრებით, დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. ბ-ას ნაწილ-

ში, ვინაიდან, იმ პირობებში როდესაც სასამართლომ აღადგინა იგი სამსახურში და გადაწყვეტილება ამ ნაწილში მიაქცია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, მის მიმართ უნდა დაკმაყოფილებულიყო ხელფასის და მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურებაც.

კასატორები ასევე არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს განჩინებას სასამართლოსგარეშე ხარჯებთან და ადვოკატისათვის გადახდილი ხარჯის ოდენობასთან დაკავშირებით.

ამასთან, კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმე განხილულ იქნა არაკანონიერი სასამართლო შემადგენლობას მიერ, რამეთუ დავის სპეციფიკიდან გამომდინარე საქმე სააპელაციო სასამართლოში უნდა განეხილა სამ მოსამართლეს, ნაცვლად საქმის ერთპიროვნული განხილვისა.

რაც შეეხება გასაჩივრებულ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინებას, კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით არ გადაუწყვეტია სააპელაციო საჩივრითა და სააპელაციო შესაგებლით წარმოდგენილი სასამართლოსგარეშე ხარჯები, რის გამოც მათ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე იშუამდგომლეს, რაც უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ სკითხი სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებით უკვე გადაწყვეტილი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ არ შეასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ. სასამართლო აღნიშნულს აფასებს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობას, რომელმაც გამოიწვია მოსარჩელებისათვის მატერიალური ზიანის მიყენება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია არ ეთანხმება სასამართლოს მიერ მითითებულ გარემოებებს და განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის კა-

ნონმდებლობა ითვალისწინებს ოთხ აუცილებელ პირობას: 1. უნდა არსებობდეს ზიანი, 2. ზიანი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების/უმოქმედობის შედეგი, 3. ზიანის მიყენებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი და უშუალო კავშირი, 4. ზიანის მიმყენებელს ზიანის მიყენებაში უნდა მიუძლოოდეს ძრალი. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი არც ერთი წინაპირობა. სახეზე არ გვაქვს ქ. თბილისის უნიციპალიტეტის მერიის მართლსაწინააღმდეგო ქმედება ან უმოქმედობა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი არ აქვს არც მოქმედებით და არც უმოქმედობით მიყენებულ ზიანს.

ამასთან, კასატორის მითითებით, ვინაიდან აღარ არსებობდა მოსარჩევეთა გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობები, ადმინისტრაციული ორგანო შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებების გამო მოკლებული იყო შესაძლებლობას მოსარჩევები აღედგინა თანამდებობებზე. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლო მოსარჩევეთა მათ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე აღდგენა შეცვალა დღეს არსებულ თანამდებობებზე აღდგენით. კასატორის განმარტებით, გარდა იმისა, რომ თავად საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება შეუძლებელი იყო, აღნიშნული გადაწყვეტილება, ისევე როგორც მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განჩინება, გაუქმებულია ზემდგომი ინსტანციის მიერ, რაც წარმოადგენს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის კიდევ ერთ დამატებით საფუძველს და კიდევ ერთხელ გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივლისის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას შუამდგომლობა საქმის დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოს მიერ მიღებული/მისაღები ყველა შუალედური სასამართლო აქტის დამოწმებული ასლების მხარისათვის გადაგზავნის თაობაზე დაკმაყოფილდა; სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას შუამდგომლობის გადაწყვეტა დადგინდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, წარმოდგენილი სარჩელით განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელეებმა – ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ მოთხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დავალებოდა 1. 2015 წლის 27 იანვრიდან ყოველთვიურად, კანონით დადგენილი წესით, სამსახურიდან გათვისუფლებამდე ლ. ხ-ის სასარგებლოდ თანამდებობრივი სარგოს 1800 ლარის და ყოველთვიური დანამატის 1800 ლარის გადახდა, ნ. ქ-ას სასარგებლოდ თანამდებობრივი სარგოს 1300 ლარის გადახდა, გ. ბ-ას სასარგებლოდ თანამდებობრივი სარგოს 1200 ლარის გადახდა; 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება ლ. ხ-ის სასარგებლოდ 2015 წლის 27 იანვრიდან თვეში 3600 ლარის ოდენობით, ნ. ქ-ას სასარგებლოდ – 1300 ლარის ოდენობით, გ. ბ-ას სასარგებლოდ – 1200 ლარის ოდენობით, ამავე განჩინების აღსრულებამდე; 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ №3/3371-2014 საქმეზე 2015 წლის 27 იანვარს მიღებული განჩინების აღუს-

რულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ზიანის-თვის 2015 წლის 27 იანვრიდან ყოველი თვეისთვის ამავე განჩინების ალსრულების დღემდე პერიოდისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურება: ლ. ხ-ის სასარგებლოდ 55.55 ლარი, ნ. ქ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი, გ. ბ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი და ამავე განჩინების ალუსრულებლობით გამოწვეული არაქონებრივი, მორალური ზიანის ანაზღაურება მოსარჩელეთათვის პოლიტიკური ნიშანდებით დისკრიმინაციული მიდგომისთვის: ლ. ხ-ის სასარგებლოდ 55.55 ლარი, ნ. ქ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი, გ. ბ-ას სასარგებლოდ 55.55 ლარი; 4 ლ. ხ-ისთვის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ასთვის მათ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება: ადვოკატის დახმარებისთვის თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 2400 ლარი, სანოტარო წესით მინდობილობის შესადგენად განეული დანახარჯი თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 12 ლარი, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისთვის 5.55 ლარი, სარჩელის და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისთვის 5.55 ლარი, ფურცლების აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინდვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისთვის 0.05 ლარი, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯი 5.55 ლარი, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯი 0.55 ლარი, სასამართლოში მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის სხდომებზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირებისთვის განეული დანახარჯი 55.55 ლარი, მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე განეული გაზრდილი დანახარჯები 55.55 ლარი, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება 555 555 555.55 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით წარმოდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ლ. ხ-ის სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (ალუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება 2015 წლის 27 იანვრიდან თვეში 3600 ლარის ოდენობით მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენამდე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ნ. ქ-ას სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება 2015 წლის 27 იანვრიდან თვეში 1300 ლარის ოდენობით მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენამდე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე დაევალა ლ. ხ-ისა და ხ. ქ-ასთვის მათ მიერ განვითარებული ხარჯების ანაზღაურება: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის თითოეულისთვის 12 ლარის ოდენობით, ადვოკატის დახმარებისთვის განეული ხარჯის თითოეულისთვის 300 ლარის ოდენობით; ლ. ხ-ს და ხ. ქ-ას უარი ეთქვათ სხვა საპროცესო ხარჯების, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე; გ. ბ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაქმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა გასაჩივრებული თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინებით.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის, ხ. ქ-ას და გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №274 ბრძანება ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №273 ბრძანება ნ. ქ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანება გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ევალა ლ. ხ-ის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, ნ. ქ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე დაევალა მოსარჩელეებისათვის – ლ. ხ-ის, ხ. ქ-ას და გ. ბ-ასთვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა, ხოლო მოსარჩელეებს – გ. ბ-ას, ხ. ქ-ას და ლ. ხ-ს უარი ეთქვათ აგვისტოს თვის ხელფასის ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით განისაზღვრა ლ. ხ-ის, ხ. ქ-ას და გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 22 აგვისტოს №274 ბრძანება ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ლ. ხ-ის აღდგენა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილედ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ლ. ხ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 3 თვის სახელფასო სარგოს ოდენბით; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 22 აგვისტოს №273 ბრძანება ნ. ქ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ნ. ქ-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... საქმეთა საქალაქო სამსახურში ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ნ. ქ-ასათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 3 თვის სახელფასო სარგოს ოდენბით; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანება გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გ. ბ-ასათვის შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხარეთა შორის შეთანხმებული სახელფასო სარგოს ოდენბით 2014 წლის 22 აგვისტოდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე; გ. ბ-ას მოთხოვნა თავდაპირველ თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელების მოთხოვნა გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და აგვისტოს თვის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელეთა - ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენბით, დაარჩენი ხარჯების ანაზღაურებაზე მოსარჩელებს ეთქვათ უარი;

ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე; მოსარჩევლეთა შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება გადაცემა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება გარდა, ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ასათვის იძულებითი განაცდური ხელფასის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ ნაწილისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსარჩევლეთა მიერ განეული ადვოკატის ხარჯის – 2000 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილისა დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განჩინებით ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ას საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში (იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში) დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსარჩევლეთა მიერ განეული ადვოკატის ხარჯის – 2000 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში) დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; გაუქმდა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას სასარგებლოდ ადვოკატისათვის განეული ხარჯების – 2000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე დააკმაყო-

ფილეს მოსარჩელეთა მოთხოვნა და ისე დაევალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობით (აღუსრულებლობით) მიყენებული ზიანის (მიუღებელი შრომის) ანაზღაურება 2015 წლის 27 იანვრიდან ლ. ხ-ის სასარგებლოდ თვეში 3600 ლარის ოდენობით მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენამდე და ნ. ქ-ას სასარგებლოდ 2015 წლის 27 იანვრიდან თვეში 1300 ლარის ოდენობით მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენამდე, რომ შეფასება არ მიუციათ აღნიშნული თანხების მოპასუხეზე დაკისრებით სახეზე ხომ არ გვაქვს განსხვავებული ფორმულირებით და სხვადასხვა სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით სხვადასხვა სარჩელით წარდგენილი ერთი და იმავე თანხების მოპასუხისთვის დაკისრების შემთხვევა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის პიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. ამდენად, შრომითი გასამრჯელოს მიღების უფლება აქვს მოხელეს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდურ.

ქვედა ინსტანციის სასამართლოები მიუთითებენ, რომ მოსარჩელეები წარმოდგენილი სარჩელით ფაქტობრივად ხელფასის გაორმაგებული ოდენობის თანხების ანაზღაურებას ითხოვენ, ერთ შემთხვევაში მიუღებელი ხელფასის სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში ზიანის სახით, რასაც უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, თუმცა აღნიშნულს მიუთითებენ განსახილველ სარჩელთან მიმართებაში და შეფასების მიღმა ტოვებენ იმ გარემოებას, რომ მიუღებელი ხელფასის სახით თანხების ანაზღაურებას მოსარჩელეები სხვა ადმინისტრაციული დავის ფარგლებშიც აყენებდნენ.

კერძოდ, საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 14 ივნისის განხინებით სააპელაციო სასამართლოს საქმე ხელახალი განხილვისათვის სწორედ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში დაუბრუნა. მითითებულ ადმინისტრაციულ საქმეში მოსარჩელეთა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ სადაცო ბრძნებების ბათილად ცნობასა და მოსარჩელეთა განთავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე აღდგენასთან ერთად, სასარჩელო მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას ითხოვდნენ სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან (22.08.2014წ.) სამსახურში აღდგენამდე, ხოლო განსახილველ შემთხვევაში საუბარია 2015 წლის 27 იანვრიდან მოსარჩელეთა თანამდებობებზე აღდგენამდე თანხების ანაზღაურებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე მოიცავს მოცემული დავის ფარგლებში მოთხოვნილი თანხების ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე, ასევე სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის გათვალისწინებით, რომელიც სააპელაციო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის სწორედ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში დაუბრუნდა, შეფასება უნდა მისცეს სახეზე ხომ არ გვაქვს მოსარჩელეთათვის ხელფასის გაორმაგებული ოდენობის თანხების ანაზღაურება, ერთ შემთხვევაში მიუღებელი ხელფასის სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში ზიანის სახით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას საქმე გადაწყვიტოს არსებითად, რის გამოც საქმე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეები ვერ ადასტურებენ მათ სამსახურიდან განთავისუფლებას პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მოთხოვნა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის 10.1. მუხლის საფუძველზე მათთვის მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორების – ლ. ხ-ის, 6. ქ-ასა და გ. ბ-ას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმე განხილული იქნა არაკანონიერი სასამართლო შემადგენლობის მიერ, საქმე უნდა განხილა სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას, ნაცენტულად საქმის ერთპიროვნული განხილვისა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.1¹ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო საჩივარი ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. ამავე კოდექსის მე-6 მუხლი ჩამოთვლის მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმებს და მათ შორის ასახელებს საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით საქმებს („ე“ ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი სარჩელის ძირითადი დავის საგანია მოპასუხისათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ ყოველთვიური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება. აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ საკითხებს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო მოცემული საქმე განხილა და გადაწყვიტა ერთპიროვნულად.

კასატორები – ლ. ხ-ი, 6. ქ-ა და გ. ბ-ა საკასაციო საჩივრით ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის, 1 მარტისა და 24 მარტის საოქმო განჩინებების გაუქმებას ითხოვენ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გრივივრული ვადით. თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ სტადიოდან, რომელზედაც იგი გადაიდო. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილა, საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიოდან, რომელსაც მიზანშენონილად მიიჩნევს. მხარეები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას. ამდენად, კანონით დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის, საქმის სრულყოფი

ლად გამოკვლევისა და დამთავრების ერთ სხდომაზე შეუძლებელობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია გონივრული ვადით გადადოს საქმის განხილვა. კასატორები ვერ ასპუთებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გადადება მოხდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. რაც შეეხება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ გამოაცხადოს საქმის ზეპირი განხილვის დასრულებისთანავე, არამედ გადადოს გონივრული ვადით, თუ საქმე რთული გადასაწყვეტია. სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად რთულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ პრობლემასთანაა დაკავშირებული კონკრეტული საქმე და რა დრო შეიძლება დასჭირდეს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის საოქმო განჩინებით აპელანტის გ. ბ-ას განცხადება სხდომის გადადების შესახებ დაკმაყოფილდა და საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისთვის, შესაბამისად, აღნიშნული საოქმო განჩინებით საქმის განხილვის გადადება აპელანტის ინიციატივით მოხდა; ხოლო სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება სხვა დროისთვის არ გადაუდია, სააპელაციო სასამართლომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა იმავე დღეს – 2016 წლის 24 მარტს.

კასატორები ასევე სადაცოდ ხდიან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინებას, რომელითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის (საქმე №3ბ-485-15) გადაწყვეტილების ასლი. საკა-

საციონ სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები; სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლონ წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არა-საპატიო მიზეზით არ წარადგინა. ამავე კოდექსის 382-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირში იყო განსახილველ საქმესთან, ამასთან, მოპასუხე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარ პოზიციას ამყარებდა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ხოლო სააპელაციო სასამართლომ თავისმხრივ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა და შეფასება მისცა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორების მოთხოვნას აღნიშნული საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე საქმის დაჩქარებული წესით განხილვასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის დაჩქარებული წესით განხილვა დასაშვებია მხოლოდ მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ამ წესით საქმის განხილვის თაობაზე იღებს სასამართლო. სასამართლოს შესაფასებელია, მხარის ინტერესების გათვალისწინებით, რამდენად არსებობს დაჩქარებული სამართლნარმოების განხორციელების საფუძველი.

გასაჩივრებულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის განჩინებასთან დაკავშირებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა აპელანტების – ნ. ქ-ას, ლ. ხ-ის და გ. ბ-ას შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლებზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვე-

ტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატი-
ვით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვე-
ტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარე-
ებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარ-
ტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს,
რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გა-
დასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედე-
ბა, რომელიც მოპასუხებ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს
არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. საკასაციო
სასამართლო იზიარებს საპელაციო სასამართლოს მოსაზრე-
ბას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის
დამატებითი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანის წინა-
პირობები, საპელაციო სასამართლომ 2016 წლის 24 მარტის გან-
ჩინებით იმსჯელა აპელანტების მიერ სადავოდ ქცეულ ყველა
საკითხზე, განჩინების სამოტივაციო ნაწილი შეიცავს დასაბუ-
თებას სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების თაობაზე,
ამასთან, საპელაციო სასამართლომ ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას
სააპელაციო საჩივარი არ დაავმაყოფილა არცერთ ნაწილში და
შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გა-
დაწყვეტილება სრულად. ამდენად, საკასაციო სასამართლო მი-
იჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული საპელაციო სასა-
მართლოს 2016 წლის 25 აპრილის განჩინების გაუქმების სამარ-
თლებრივი საფუძველი.

კასატორების – ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას მოთხოვნას ასევე
წარმოადგენს საკასაციო ეტაპზე ქ. თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიისთვის თითოეული კასატორის სასარგებლოდ სასა-
მართლოსგარეშე ხარჯების დაკისრება. საკასაციო სასამართლო
განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის
მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც
იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს,
თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბი-
უჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თან-
ხა მოსარჩელეს მიერუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პრო-
პორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქ-
ნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვ-
ნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს
უარი ეთქება. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გა-
ნეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გა-
დაწყვეტილება, სასამართლო დაკისრებს მეორე მხარეს გო-

ნივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან არ არსებობს ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, შესაბამისად, უსაფუძვლო მათი მოთხოვნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თითოეული კასატორის სასარგებლოდ საკასაციო სასამართლოში გაცემული სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 მუხლის საფუძველზე, უფლებამოსილია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის, 1 მარტისა და 24 მარტის საოქმო განჩინებები და 2016 წლის 25 აპრილის განჩინება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დეკანები შვებულების ამონურვის მომანილან

გადახყველება საქართველოს სახელით

№ბს-189-188(2კ-16)

12 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. რობიშვილი

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

ი. ჯ-ე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსამსახურედ დაინიშნა 28.11.2000წ., №22/კს ბრძანებით. მინისტრის 12.11.2013წ. №01-469/შ ბრძანებით ი. ჯ-ეს მიეცა ანაზღაურებადი შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, 126 კალენდარული დღის ოდენობით, 2013 წლის 12 ნოემბრიდან 2014 წლის 17 მარტის ჩათვლით. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 31.12.2013წ. №01/453/კ ბრძანებით ი. ჯ-ე გათავისუფლდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ... სამმართველოს ... თანამდებობიდან, 2014 წლის 1 იანვრიდან.

ი. ჯ-ემ 30.01.14წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა მისი გათავისუფლების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 31.12.2013წ. №01/453/კ ბრძანების ბათოლად ცნობა, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ... სამმართველოს ...

თანამდებობაზე მისი ალდგენა და მოპასუხისათვის იძულებით განაცდურის ანაზღაურების დაკისრება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის განაცდურის სამი თვის ოდენობით დაკისრება. ამასთანავე, სზაკ-ის 207-ე მუხლის, სსკ-ის 408-ე მუხლის, შრომის კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროის შრომის ანაზღაურების მიცემა სრული ოდენობით. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა მოითხოვა შვებულების დამთავრებიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (14.04.14 წ. სხდომის ოქმი, 15:33 სთ). მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადაცო აქტის გამოცემით დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლებები, ვინაიდან სადაცო აქტი გამოიცა მისი დეკრეტში ყოფნის პერიოდში. ამასთანავე, მისთვის გაურკვეველია სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზიც. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 94-ე მუხლის გამოყენება გათავისუფლების საფუძვლად, მოსარჩელის აზრით, უკანონოა, ვინაიდან იგი დასაქმებული იყო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.04.2014წ. გადაწყვეტილებით ი. ჯ-ის სარჩელი არ დაკამაყოფილდა, გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ი. ჯ-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელში მითითებული სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადაცო აქტის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 31.12.2013წ. №01/453/კ ბრძანების ბათოლად ცნობის სზაკ-ის 60¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძვები. სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე „საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ 29.07.2013წ. საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს და რომელზედაც დანიშნულია დროებით მოვალეობის შემსრულებელი, პირი კონკურსის წესით უნდა დაინიშნოს 2014 წლის 1 ივნისამდე, ხოლო კონკურსის წესით შესაგვებ სხვა თანამდებობაზე, რომელზედაც დანიშნულია დროებით მოვალეობის

შემსრულებელი, - 2014 წლის 1 იანვრამდე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დროებით მოვალეობის შემსრულებელი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს 1 წლის ვადით, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე – არა უმეტეს 3 თვის ვადით. იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნვა დაუშვებელია. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 94-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე და აღნიშნა, რომ სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი ურთიერთობა წყდება სამსახურის ვადის გასვლის მეორე დღეს. სასამართლომ ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ 2014 წლის პირველი იანვრისთვის ალარ არსებობდა მოსარჩელის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ... სამმართველოს ... მოვალეობის შემსრულებლად დატოვების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ გააბათილა აქტის დასაბუთება სასამართლოსათვის წარდგენილი სასარჩელო განცხადებით და მასში მოყვანილი ფაქტებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.2015წ. გადაწყვეტილებით ი. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.04.2014წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 31.12.2013წ. №01-453/კ ბრძანება, სამინისტროს დაევალა ი. ჯ-ის ამავე სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ... სამმართველოს ... მოვალეობის შემსრულებლად აღდგენა, სამინისტროს ასევე დაევალა ი. ჯ-ისათვის 2014 წლის 17 მარტი-

დან 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. პალატაში მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, სადაც აქტი გამოსცა სზაკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 94-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დაიშვილი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი ურთიერთობა წყდება სამსახურის ვადის გასვლის მეორე დღეს. სადაც აქტში მითითებული და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში №899-რს 29.07.2013წ. კანონით შეტანილი ცვლილების მე-2 მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს და რომელზედაც დანიშნულია დროებითი მოვალეობის შემსრულებელი, პირი კონკურსის წესით უნდა დაინიშნოს 2014 წლის 1 ივლისამდე, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე, რომელზედაც დანიშნულია დროებით მოვალეობის შემსრულებელი, – 2014 წლის 1 იანვრამდე. ეს კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. რამდენადაც ი. ჯ-ე დანიშნული იყო დროებითი მოვალეობის შემსრულებლად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ზემოაღნიშნული ცვლილებების შესაბამისად მიიჩნია, რომ იგი თანამდებობაზე დანიშნული იყო გარკვეული ვადით და სამსახურებრივი ურთიერთობა შეწყვიტა სამსახურის ვადის გასვლის მეორე დღეს – 01.01.2014წ.. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში 29.07.2013წ. კანონით შეტანილი ცვლილება ნარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას კონკურსის წესით შეავსოს 2014 წლის 1 იანვრამდე ის სამუშაო ადგილები, რომლებზეც დანიშნულია დროებითი მოვალეობის შემსრულებლები, რაც ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ამ საფუძვლით გათავისუფლებული უნდა იყენება სადეკრეტო შევებულებაში მყოფი პირები. საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები მონესრიგებულია ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის სამოხელეო სამართლის კანონმდებლობით, რაც თავის მხრივ, გამომდინარეობს და ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ და გარანტირებულ ადამინის უფლებებსა და თავისუფლებების სტანდარტს. ევროპის სოციალური ქარტიის (საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა

01.07.2005წ. №1876-რს დადგენილებით) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება ქალის მიერ ორსულობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის დასრულებისას. მითითებული ვალდებულების დადგენა მიზნად ისახავს ორსულთა და მცირენლოვანი შვილის/შვილების დედების შრომის უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტის დაწესებას სახელმწიფოებისათვის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 „დედობის შესახებ“ კონვენცია დედობის დაცვის საკითხებს ეხება და ადგენს რიგ უფლებებს, რომელიც დაცული უნდა იყოს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში ორსულთა მიმართ. კონვენციის პრეამბულის მიხედვით ორსულ ქალთა დაცვა მიჩნეულია სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივ ვალდებულებად. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სამსახურიდან ორსულ ქალთა გათავისუფლება შესაძლებელია განხილულ იქნეს ქალთა მიმართ უკანონო ქმედებად, ხოლო მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს დამსაქმებელს. საქართველოს კონსტიტუციის 36.3 მუხლის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. ქალის შრომის უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს ითვალისწინებს ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რომლის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო. პალატამ აღნიშნა, რომ მართალია ამ ჩამონათვალში არ არის გათვალისწინებული პირი, რომელიც დროებითი მოვალეობის შემსრულებლად არის დანიშნული, თუმცა აღნიშნული მოწესრიგებით კანონმდებელი მიზნად ისახავს როგორც ორსული მოხელე ქალის შრომითი უფლებების დაცვას და მისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნას, ისე წლამდე ბავშვის ინტერესების განსაკუთრებული დაცვის უზრუნველყოფას. ამდენად, კანონმდებლის მიზნებიდან გამომდინარე, ეს მოწესრიგება უნდა გავრცელდეს დროებითი მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ იმ პირებზე, რომლებიც ორსულობისა და

მშობიარობის გამო იმყოფებიან შვებულებაში.

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, საპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე და 127.6 მუხლების შესაბამისად, სამსახურში აღდგენის შემთხვევაში მოხელეს მიეცემა იძულებითი განაცდური პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განაცდური ხელფასის ანაზღაურების მომენტად უნდა განისაზღვროს ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების ამონურვის მომენტი – 2014 წლის 17 მარტი. საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ი. ჯ-ის აუნაზღაურდა ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება.

საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ი. ჯ-ის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.06.2016წ. განჩინებებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო ი. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

საკასაციო საჩივრით ი. ჯ-ე ითხოვს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.2015წ. გადაწყვეტილების ნანილობრივ გაუქმებას, კერძოდ გადაწყვეტილების იმ ნანილის გაუქმებას, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ი. ჯ-ისათვის 2014 წლის 17 მარტიდან იძულებითი განაცდურის სახით 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღარ ითვალისწინებს განაცდურის მხოლოდ ხელფასის სამი თვის ფარგლებში ანაზღაურებას და მიიჩნევს, რომ მას მიუღებელი ხელფასი უნდა აუნაზღაურდეს 2014 წლის 17 მარტიდან მის სამსახურში აღდგეხამდე.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნანილის შესაბამისად, საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლის შესწავლის და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ი. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის თა-

ნახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხე-
ლე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ
ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდე-
ბობრივი სარგო. ამავე კანონის 127.5 მუხლის შესაბამისად, სა-
სამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე გამოცე-
მული აქტის არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე
ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას. საქართველოს კონ-
სტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასათ-
ვის გარანტიორებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლი-
კების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა-
გან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრუ-
ლი ანაზღაურება. კონსტიტუციის 42.9 მუხლი მიზნად ისახავს
დაზარალებული პირის ინტერესების დაცვას მიყენებული ზა-
რალის ანაზღაურების გზით. კონსტიტუციის 42.9 მუხლი ზარა-
ლის ანაზღაურების უფლებას უკავშირებს ზიანის მიმყენებე-
ლი ქმედების უკანონობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-
ნონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება და
თანამდებობიდან თავისუფლდება ინდივიდუალური ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო მო-
ხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების
ვალდებულება წარმოიშობა გათავისუფლების შესახებ აქტის
ბათილობის შემთხვევაში (საკონსტიტუციო სასამართლოს
31.07.156. №2/3/630 გადაწყვეტილება, 5 პ.). სააპელაციო პალა-
ტის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც
ეხება მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ
სადაცო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტის ბათილად ცნობას და სამსახურში აღდგენას, კანონიერ ძა-
ლაშია შესული, ვინაიდან საკასაციო პალატის 23.06.166. განჩი-
ნებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალუ-
რი დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვე-
ბული, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილე-
ბა ძალაში შევიდა. ამდენად, უკანონოდ განთავისუფლებული
პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური, გან-
თავისუფლების აქტის ბათილად ცნობა ინვენტ ზიანის ანაზღა-
ურების ვალდებულებას. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივ-
რებული გადაწყვეტილებით ი. ჯ-ისათვის სამი თვის იძულებით
გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურება ეფუძნება „საჯა-
რო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადა-
დების დანაწესს იმის შესახებ, რომ იძულებით გაცდენილი პე-
რიოდის შრომის გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არაუმე-
ტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საკასაციო

პალატა აღნიშნავს, რომ კომპენსაციის ზედა ზღვრის შეზღუდვა ლახავს პირის კონსტიტუციურ უფლებას თანამდებობრივი სარგოს სახით მიუღებელი შემოსავლით გამოწვეული ზარალის სრულად ანაზღაურებაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მე-2 ნინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხ.). ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, საერთო წესის მიხედვით, არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე საერთო სასამართლოების მიერ ადრე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის 22.07.2015წ. გადაწყვეტილება, რომლითაც იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილი გადაწყდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე, იძულებითი განაცდურის მოთხოვნის ნაწილში ძალაში არ შესულა, გადაწყვეტილების ეს ნაწილი საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. ჯ-ის მიერ. ამასთანავე, საერთო სასამართლოები არ არიან უფლებამოსილნი მოახდინონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსაბამო განმარტება. ამდენად, ის გარემოება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, არ ადასტურდებს გასაჩივრებულ ნაწილში მის მართლზომიერებას. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონო განთავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ინვესტიციის ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულებას. მისი რეგულირების სფეროში ექცევა ნებისმიერი ზარალი, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების თანამდებობის პირთა ქმედებით. იგივე დანაწესს შეიცავს სზაკის 208.2 მუხლი, სკ-ის 408-ე მუხლი, შკ-ის 32.1 მუხლი. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ ნინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას (სუს 10.12.2015წ. №ბს-161-158(კ-15) გადაწყვეტილება; 14.07.2016. №776-768(2კ-4კს-15) განჩინება). შესაბამი

სად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ჯ-ეს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო უნდა აუნაზღაურდეს არა 3 თვის, არამედ სრული მოცულობით, კერძოდ 2014 წლის 18 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე. საჯარო მოხელის მიერ შრომითი გასამრჯელოს მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურებრივ უფლებამოსილებათა შესრულებასთან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1. მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურეს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატს. თანამდებობრივი სარგო არ არის დამოკიდებული სამუშაოს შესრულების ხარისხზე, მის შედეგებსა თუ სხვა ფაქტორებზე. ეს შემოსავალი პირისათვის გარანტირებულია საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისი მხრიდან სამსახურებრივი ფუნქციების პრალეული შეუსრულებლობის არარსებობისას. შესაბამისად, საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშვნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია სამსახურებრივი ურთიერთობებიდან გამოდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ი. ჯ-ეს უნდა აუნაზღაურდეს სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდური. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდური მოიცავს ხელფასის ისეთ განაკვეთებს, რომლის მიღება გარანტირებულია საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში და არ არის დამოკიდებული შრომის შედეგებზე, სხვა ფაქტორებზე. საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგო არის გასაცემელი, რომელსაც სახელმწიფო გასცემს საჯარო მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედვად. აღნიშნულისაგან განსხვავებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ხელფასის შემადგენელი პრემიებისა და დანამატების ბუნება, რომლებიც მოხელეზე გაიცემა კანონით გათვალისწინებული პირობების და საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და მათი გაცემა კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ., №2/3/630 გადაწყვეტილება, პ.11).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მინისტრის 31.12.13წ. №01-453/კ ბრძანებით ი. ჯ-ე სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ... სამმართველოს ... თანამდებობიდან 2014

წლის 1 იანვრიდან გათავისუფლდა. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 12.11.13ნ. №01-469/დ ბრძანების საფუძველზე ი. ჯ-ე ორსულობისა და მშობიარობის გამო სარგებლობდა ანაზღაურებადი შვებულებით 126 კალენდარული დღის ოდენობით, 2013 წლის 12 ნოემბრიდან 2014 წლის 17 მარტის ჩათვლით. ორსულობისა და მშობიარობის გამო გაცემული დახმარებისა და კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს თანამდებობრივი სარგო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25.08.06ნ. №231/6 ბრძანებით დამტკიცებული „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ მე-8 მუხ.). შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარება და კომპენსაცია სადაც არ გამხდარა, აღნიშნული სცილდება განსახილველი დავის საგანს. შესაბამისად, იძულებითი განაცდური უნდა ანაზღაურდეს შვებულების ვადის დამთავრებიდან, შესაბამისად განაცდური ხელფასის ანაზღაურების მომენტად უნდა განისაზღვროს არა ი. ჯ-ის სამსახურიდან გათავისულების (01.01.14ნ.), არამედ ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების ამონტურვის მომენტი. ვინაიდან მინისტრის 12.11.13ნ. ბრძანების თანახმად, ანაზღაურებადი შვებულება გრძელდებოდა 2014 წლის 17 მარტის ჩათვლით, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდურის სახით თანამდებობრივი სარგო 2014 წლის 18 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 18.11.16ნ. №01-263/კ ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.15ნ. გადაწყვეტილებისა და საკასაციო სასამართლოს 23.06.2016ნ. განჩინების შესაბამისად, ი. ჯ-ე აღდგენილ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ... სამმართველოს ... თანამდებობაზე, დროებითი მოვალეობის შემსრულებლად 2016 წლის 21 ნოემბრიდან. მოპასუხის მიერ მოსარჩელის სამსახურში აღდგენა არ გამორიცხავს კომპენსაციის სრული მოცულობით ანაზღაურებას (საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.15ნ. №2/3/630 გადაწყვეტილება). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ი. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნ-

და დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება ი. ჯ-ისათვის 2014 წლის 17 მარტიდან იძულებითი განაცდურის სახით 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში და ი. ჯ-ეს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო უნდა აუნაზღაურდეს 2014 წლის 18 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე, კერძოდ, 2016 წლის 21 ნოემბრამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ი. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.07.2015წ. გადაწყვეტილება ი. ჯ-ისათვის 2014 წლის 17 მარტიდან იძულებითი განაცდურის სახით 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ჯ-ის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს. მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს ი. ჯ-ეს აუნაზღაუროს იძულებითი განაცდურის სახით თანამდებობრივი სარგო 2014 წლის 18 მარტიდან სამსახურში აღდგენის დღემდე – 2016 წლის 21 ნოემბრამდე;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. შვებულება;
შრომით დავაზე გადაცევატილების დაუყოვნებლივი აღსრულება

შრომით დავაზე გადაცევატილების დაუყოვნებლივი აღსრულება

განხილვა

№ბს-518-500(2კ-კს-13) 30 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრუ-
ლება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 7 მარტს თ. ფ-მა, ტ. ჩ-მა, ა. (ჯ.) ო-მა, შ. ჯ-მა, მ. ზ-
მა, ს. ტ-მა, მ. ხ-მა, მ. ბ-ემ, ზ. ო-მა, გ. ქ-მა და ა. ბ-მა სასარჩელო
განცხადებით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს, მო-
პასუხის – ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის:
1. 2013 წლის 13 თებერვლის №23-065; 2. 2013 წლის 18 თებერ-
ვლის №23-079; 3. 2013 წლის 18 თებერვლის №23-080; 4. 2013
წლის 18 თებერვლის №23-081; 5. 2013 წლის 18 თებერვლის №23-
082; 6. 2013 წლის 18 თებერვლის №23-083; 7. 2018 წლის 18 თე-
ბერვლის №23-084; 8. 2013 წლის 13 თებერვლის №23-085; 9.
2013 წლის 18 თებერვლის №23-7-87; 10. 2013 წლის 27 თებერ-
ვლის №23-7-114; 11. 2013 წლის 27 თებერვლის №23-7-109 და
2013 წლის 27 თებერვლის №23-7-110 ბრძანებების ბათილად
ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზ-
ღაურება მოითხოვეს.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გა-
დაწყვეტილებით: 1. გაუქმდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამ-
გებლის 2013 წლის 13 თებერვლის №23-065 ბრძანება; 2. თ. ფ-
ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ლენტე-
ხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის

№23-085 ბრძანება თ. ფ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტე-ხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე ... თემ-ში აღადგინოს თ. ფ-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა თ. ფ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერ-ვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობა-ში; 3. ტ. ჩ-ის სარჩელი დაემაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერ-ვლის №23-084 ბრძანება ტ. ჩ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენ-ტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართვე-ლი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე ... თემში აღადგინოს ტ. ჩ-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგე-ობას დაეკისრა ტ. ჩ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის გან-მავლობაში; 4. მ. ზ-ის სარჩელი დაემაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-081 ბრძანება მ. ზ-ის გათავისუფლების შე-სახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვით-მმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ... თანამდე-ბობაზე ... თემში აღადგინოს მ. ზ-ი. ლენტეხის მუნიციპალიტე-ტის გამგეობას დაეკისრა მ. ზ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 5. მ. ბ-ის სარჩელი დაემაყოფილდა; ბათი-ლად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-111 ბრძანება მ. ბ-ის გათავი-სუფლების შესახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდე-ბობაზე აღადგინოს მ. ბ-ე. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამ-გეობას დაეკისრა მ. ბ-ეს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 1 მარტიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლო-ბაში; 6. ზ. ო-ის სარჩელი დაემაყოფილდა; ბათილად იქნა ცნო-ბილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-109 ბრძანება ზ. ო-ის გათავისუფლების შესა-ხებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ლენ-ტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე აღად-გინოს ზ. ო-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკის-რა ზ. ო-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 1 მარტიდან სამ-სახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 7. ს. ტ-ის, მ. ხ-ის, შ. ჯ-ის, ა.ი (ჯ.ი) ო-ის, გ. ქ-ისა და ა. ბ-ის სარჩელი არ დაემაყოფილდა.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გა-

დაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრეს სააპელაციო საჩივრით ს. ტ-მა, მ. ხ-მა, შ. ჯ-მა, ა.ი (ჯ.ი) ო-მა, გ. ქ-მა და ა.ი ბ-მა, რომლებმაც სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც სარჩელის აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 ივნისის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაებნენ ქ. ფ-ი, რ. ჩ-ი, რ.თ-ე, ბ. ლ-ი, ნ. ლ-ი, გ. ქ-ა, ვ. ბ-ი, ნ. ლ-ი, ლ. ზ-ი, ბ. ო-ი და ა. გ-ე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ის, ა. ბ-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ის, ა. ბ-ის ნაწილში; შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ის, ა. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: 1. ბათილად იქნა ცხობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებორივი სარგოს ოდენობით; 2. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებორივი სარგოს ოდენობით; 3. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანება გ. ქ-ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებო-

რივი სარგოს ოდენობით; 4. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანება დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 5. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-083 ბრძანება ს. ტ-ის გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ს. ტ-ი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

– მ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება მ. ხ-ის სარჩელის უარყოფის ნაწილში, მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-087 ბრძანება – ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი მ. ხ-თან დაკავშირებით;

– ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ცვლილება შევიდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილებაში და ტ. ჩ-ს, მ. ბ-ს, მ. ბ-ეს და ზ. ო-ს აუნაზღაურდათ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

– ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგების სააპელაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ იქნა დამატებითი გადაწყვეტილება; ცვლილება შევიდა თ. ფ-ის სარჩელ-თან დაკავშირებით მიღებულ ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილებაში, თ. ფ-ს აუ-

ნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით ჭ. ჩ-ის, მ. ზ-ის, მ. ბ-ის, ზ. ო-ის, ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ისა და ს. ტ-ის ნარმომადგენლის ადვოკატ გ. ჭ-ის განცხადება დაკმაყოფილდა: გადაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის სარჩელი: – ბათილად იქნა ცნობილი ლენტების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს რჩმუნებულად და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-083 ბრძანება ს. ტ-ის გათავისუფლების შესახებ. აღდენილ იქნა ს. ტ-ი ლენტების მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ასევე იმ ნაწილში, რომლითაც ცვლილება შევიდა ლენტების მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში ჭ. ჩ-ს, მ. ზ-ს, მ. ბ-ეს და ზ. ო-ს აუნაზღაურდათ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით თ. ფ-ისა და გ. ქ-ის ნარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის, ასევე, ა. ბ-ის

განცხადებები დაკმაყოფილდა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩევი: – ბათილად იქნა ცნობილი ლენტების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანება გ. ქ-ის ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ი აღდგენილ იქნა ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანება დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – გადაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ფ-ს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მ. ხ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მის ნაწილში სრულად დაკმაყოფილება მოიხსენება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება, საკასაციო წესით გაასაჩივრა ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოიხსენება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებები სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსას

რულებლად გადაცემის შესახებ კერძო საჩივრით ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებულ განჩინებებს დაუსაბუთებლად მიიჩნევს. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შემოიფარგლა მხოლოდ წორმებზე მითითებით და არ დაუსაბუთებია აღნიშნული საპროცესო მოქმედების გამოყენების აუცილებლობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელეთა ყოფილ თანამდებობებზე უკვე დანიშნული არიან სხვა პირები. ამასთან, ... სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი გახდა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლად ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან მიმართებით არ ამართლებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიცევას, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მოუხედავად გამგეობა მოსარჩელეთა საკითხზე მიიღებდა გადაწყვეტილებებს მათი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. მოსარჩელეთა სამუშაოზე დაუყოვნებლივ ადგგენა კერძო საჩივრის ავტორს გაუმართლებლად მიაჩნია იმ საფუძვლით, რომ შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო 2011-2012 წლებში ლენტების რაიონში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტენდერების კანონიერების შემოწმება, იმ ერთულებში, რომელთა იქნენ გათავისუფლებული თანამდებობებიდან გასაჩივრებული აქტებით. გარდა ამისა, მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენა ხელს შეუშლის სახელმწიფო სამსახურის სწრაფი და ეფექტური მუშაობის განხორციელების პრინციპს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ხ-ისა და ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით წარმო-

ებაში იქნა მიღებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობის კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებებზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თ. ფ-ის, ტ. ჩ-ის, მ. ზ-ის, ს. ტ-ის, მ. პ-ისა და ზ. ო-ის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 2013 წლის 15 ივლისის განჩინებები 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებისა და 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე ტ. ჩ-ის, მ. ზ-ის, ს. ტ-ის, მ. პ-ის, ზ. ო-ისა და თ. ფ-ის ნაწილში. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში განხილულიყო მხარეთა დასწრების გარეშე მათ ნაწილში დაშვებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივართან ერთად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათოლად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079, 2013 წლის 18 თებერვლის №23-080, 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 და 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანებები და ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ა. (ჯ.)

ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განსახილველ ნაწილთან მიმართებით მიუთითობს საქმეში ასახულ შემდეგ გარემოებებს: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივნისის განჩინებით ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის ნარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის განცხადება დაქმაყოფილდა: გადაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც:

– ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

– ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივნისის განჩინებით გ. ქ-ის ნარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის, ასევე ა. ბ-ის განცხადებები დაქმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანება გ. ქ-ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამ-

დებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ი აღდგენილ იქნა ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გა-სამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდე-ნობით;

- ბათილად იქნა ცნობილი ლენტების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანება დაბა ლენტების ტერიტორიული ორგანოს ... ა. ბ-ის სამუშაოდან გა-თავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ... ტერი-ტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძუ-ლებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმე-ტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ქუთაისის სა-აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუ-ყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქ-ნა ცნობილი ლენტების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079, 2013 წლის 18 თებერვლის №23-080, 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 და 2013 წლის 27 თებერ-ვლის №23-110 ბრძანებები და ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შე-ფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის შრომითი მოწყობისა საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწი-ლობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვე-ტილებები მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთ-ვნების შესახებ, ასევე გადაწყვეტილებები უკანონოდ დათხოვ-ნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნ-ქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავი-სუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგუ-ლების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემ-თხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. ამავე

მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებების ძალაში დატოვების ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს. ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში სადაც განჩინებები უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვლილია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლენტების მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებები ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლენტების მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 15 ივლისის განჩინებებზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისისა და 2013 წლის 15 ივლისის განჩინებები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომით საკითხზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების წინაპირობები

განხილვა

№ბს-362-351(კ-კს-13)

25 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 31 დეკემბერს ლ. ს-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ

ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 06 დეკემბრის №399-კ ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტში სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის თანამდებობრივ პოზიციაზე აღდგენა და მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურ ხელფასის სამსახურში აღდგენამდე თვეში 1600 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლიდან მუშაობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2012 წლის იანვრიდან იმავე წლის 6 დეკემბრამდე ეკავა დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის თანამდებობა. 2012 წლის 7 ნოემბერს სამინისტროში შევიდა ქ. თბილისში, 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეთა განცხადება, რომელიც ეხებოდა მათი საკუთრებიდან დევნილთა იძულების წესით გამოსახლებისათვის რეაგირებას. განცხადება მას გადაეცა რეზოლუციის გარეშე, რომელიც მოსარჩელემ განსახილველად გადასცა თავის მოადგილეს. დამუშავებისა და მიღებული მონაცემების საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო ადმინისტრაციული წარმოება. მისმა მოადგილემ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე მისგან მიიღო კონსულტაცია და გატარდა რიგი ღონისძიებები. განმცხადებლების პრეტენზიის საფუძველზე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს უნდა გამოეკვლია საკითხი, მოხდა თუ არა რეაგირება 2012 წლის 7 ნოემბრის განცხადებაზე. მოსარჩელის მოადგილემ დაწერა ორი ურთიერთგამომრიცხავი ახსნა-განმარტება, პირველის თანახმად სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა წერილებზე პასუხის დროული გაცემა და გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მეორე ახსნა-განმარტების თანახმად, სამმართველოს უფროსმა რეაგირების გარეშე დატოვა განცხადება. 2012 წლის 6 დეკემბერს ჩაბარდა ამავე თარიღის ბრძანება, მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ მაშინ, როდესაც მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადა ჯერ კიდევ ამონურული არ იყო. აღნიშნული ბრძანება ეყრდნობა შიდა აუდიტის უფროსის ახსნა-განმარტებას, რაც თავის მხრივ დაფუძნებულია ლ. ს-ას მოდგილის ახსნა-გან-

მარტებაზე და მინისტრის თანაშემწების განმარტებით ბარა-თებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტი-ლება სააპელაციო წესით გაასაჩირა ლ. ს-აზ, რომელმაც გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვე-ტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილი-სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-გიის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ლ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილ-და, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტე-რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-ბისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესა-ხებ. აღდგენილ იქნა ლ. ს-ა საქართველოს ოკუპირებული ტერი-ტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლები-სა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დე-პარტამენტში სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმარ-თველოს უფროსის თანამდებობაზე, საქართველოს ოკუპირე-ბული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სასარ-გებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელი, არა უმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს მდებნობით.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია შემ-დეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახ-ლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 3 მაისის №115-კ ბრძანებით ლ. ს-ა დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტე-რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-ბისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დე-პარტამენტის სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 2012 წლის 7 ნოემბერს სამინისტროში ქ. თბი-ლისში, 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეებმა შეიტანეს №22914/01 განცხადება, რომელიც ეხებოდა მათი საკუთრები-დან დევნილთა იძულებითი წესით გამოსახლებისათვის რეაგი-რებას. განცხადება შესასრულებლად 2012 წლის 14 ნოემბერს

ლ. ს-ას გადაეცა, მან იმავე დღეს განსახილველად გადასცა სო-ციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფრო-სის მოადგილეს. კონსულტაციის გავლის შემდეგ, საკითხის შე-სასწავლად გატარდა რიგი ღონისძიებები 1. დევნილებთან შეხ-ვედრა ინფორმაციის სრულყოფილად მისაღებად. 2. ადგილზე გასვლა და დევნილთა პროფაილინგი (ანეტირება-აღწერა). 3. პროფაილინგის მონაცემების მონაცემთა ბაზასთან დადარება. მოადგილემ 2012 წლის 4 დეკემბერს შეადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლები-სა და ლტოლვილთა სამინისტროში შეტანილი იყო ქ. თბილისის 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეთა №2294/01 წერილი 2012 წლის 7 ნოემბერს და №24358/01 წერილი 2012 წლის 15 ნოემ-ბერს. აღნიშნულ წერილებში დასმული საკითხების გადასაწყვე-ტად საჭირო იყო რიგი ღონისძიებების გატარება, რაც საჭირო დროს მოითხოვდა, კერძოდ, საჭირო იყო უშუალოდ ადგილზე შესწავლა, შემოწმების დროს არსებული მდგომარეობით, რო-მელ კონკრეტულ ბინაში რომელი დევნილი ოჯახი ცხოვრობდა. ამის შემდეგ, გადასაწყვეტი იყო იმ დევნილი ოჯახების შემდგო-მი განსახლების საკითხი, რომლებიც სამინისტროს მიერ დარე-გისტრირებულები (დამისამართებულები) იყვნენ აღნიშნულ კორპუსებში და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდათ. ამას გარდა, ასევე გადასაწყვეტი იქნებოდა იმ დევნილების საკითხი, რომ-ლებიც რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობდნენ აღნიშნულ კორ-პუსებში და არ გააჩნდათ საცხოვრებელი ადგილი. ამასთან გა-სათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ კორპუსში მცხოვ-რები დევნილები კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ კორ-პუსის დატოვების და დევნილთა განსახლების თაობაზე თან-ხმობის მიცემის შემთხვევაში, აუცილებლად ექნებოდა ადგი-ლი დევნილთა მხრიდან წინააღმდეგობის განევას, რამდენადაც, ამ ეტაპზე, დევნილთა სამინისტროს არ გააჩნდა დევნილთათ-ვის თბილისში ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკ-მაყოფილების რესურსი. ყოველივე აღნიშნული გარემოების გა-მო, დროულად ვერ მოხერხდა წერილზე პასუხის გაცემა და თა-ვი შეიკავეს აღნიშნულ წერილზე – დევნილთა გამოსახლებაზე თანხმობის მიცემაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე ლ. ს-ას მოადგი-ლის მიერ 2012 წლის 5 დეკემბერს შედგენილ ახსნა-განმარტე-ბით ბარათზე, რომლითაც მან უარყო 2012 წლის 4 დეკემბერს შედგენილ ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტები და განმარტა, რომ 2012 წლის 7 ნოემბრის №2294/01 წერილი და 2012 წლის

15 ნოემბრის №24358/01 წერილი ლ. ს-ასაგან შემდგომი რეაგირებისათვის გადაეწერა 2012 წლის 16 ნოემბერს, ამასთან, გაიარა კონსულტაცია აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ: ამ წერილებზე რეაგირებისაგან თავის შეკავებაზე, რაზეც დაეთანხმა ლ. ს-ას და რეაგირება აღარ მოახდინა. შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მიერ 2012 წლის 5 დეკემბერს შედგენილი სამსახურებრივი ბარათის თანახმად, 2012 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში წარდგენილ იქნა ქ. თბილისის 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეთა №22914/01 განცხადება, რომელიც ეხებოდა მათი საკუთრებიდან დევნილთა იძულებითი წესით გამოსახლებისათვის რეაგირებას. განცხადება მოსარჩევეს გადაეცა რეზოლუციის გარეშე, რომელიც მოსარჩევემ განსახილველად გადასცა თავის მოადგილეს, რომელმაც ლ. ს-ასთან „კონსულტაციის“ შემდეგ რეაგირების გარეშე დატოვა წერილის მსვლელობა. მინისტრის თანაშემნის 2012 წლის 4 დეკემბრის ახსნა-განმარტების თანახმად, 2012 წლის 7 ნოემბერს შემოსული №22914/01 განცხადება მინისტრის ელექტრონული გვერდიდან გადაეწერა ადრესატს მინისტრთან შეთანხმებისა და მისი რეზოლუციის გარეშე; სავარაუდოდ, რის გამოც დოკუმენტს არ მიექცა სათანადო ყურადღება და დარჩა განუხილველად. მისივე განმარტებით, შეცდომა შესაძლოა ყოფილიყო როგორც მექანიკური, ასევე ტექნიკური ხასიათის. ამავე შინაარსისაა მინისტრის თანაშემნე-მდივნის 2012 წლის 4 დეკემბრის ახსნა-განმარტება. მ. ა-ას სამსახურებრივი ბარათის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 4 დეკემბერს სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ლ. ს-ამ მას გადასცა ..., მე-4 მიკრორაიონის 36-ე კორპუსში არსებულ შენობაში მაცხოვრებელ დევნილთა აღწერის მასალები, ელექტრონული ვერსიის სახით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანებით ლ. ს-ა გათავისუფლდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან 2012 წლის 6 დეკემბრიდან. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო გ. ლ-ის №07-12-2460-05/12/2012 მოხსენებითი ბარათი. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 აგვისტოს №1631 განკარგულე-

ბით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების შესახებ დასტურდება, რომ ლ. ს-ას ყოველთვიური სამსახურებრივი სარგო დაბეგვრის გარეშე 1600 ლარს შეადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, იმავე მუხლის მეორე ნაწილზე, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მეორე ნაწილზე. აღნიშვულ ნორმათა ანალიზის შედეგად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ნარდგენილ იქნა ქ. თბილისის 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეთა №22914/01 განცხადება, რომელზეც ადმინისტრაციული ნარმოება დაიწყო 2012 წლის 7 ნოემბერს მისი შესაბამისი ნესით რეგისტრაციის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილზე დაყრდნობით განმარტა, რომ სამინისტროში ნარდგენილ განცხადებაზე ადმინისტრაციული ნარმოებისათვის დადგენილი ვადა ინურებოდა 2012 წლის 7 დეკემბრისათვის, ხოლო ამ წარმოების არასწორად წარმართვისათვის ლ. ს-ა სამსახურიდან გათავისუფლდა 2012 წლის 6 დეკემბერს. სააპალაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულია ლ. ს-ასათვის განცხადების 7 კალენდარული დღის ვადით დაგვიანებით გადაცემა, მისი მხრიდან განცხადებაზე დაუყოვნებლივ რეაგირების მოხდენა (განცხადების მოადგილესათვის რეზოლუციით გადაცემა), ადმინისტრაციული წარმოებისათვის გათვალისწინებულ ვადაში გარკვეული სახის სამუშაოების წარმოება და იგივე ვადის ამონურვემდე ლ. ს-ასათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის ყველაზე მძიმე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის „სამსახურიდან გათავისუფლების“ შეფარდება, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ლ. ს-ასადმი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 06 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, ლ. ს-ა უნდა აღ-

დგენილიყო სამსახურში იმ თანამდებობაზე, რომელიც მას დაკავებული ჰქონდა სადაც აქტის გამოცემამდე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ სადაც აქტის ბათილად ცნობისა და ლ. ს-ას სამსახურში აღდგენის პირობებში, საფუძვლიანი იყო მოსარჩევის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინებით ლ. ს-ას განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ კანონმდებელი დასახელებული შემთხვევის გამოყენებას შესაბამისი პირობების არსებობისას უკავშირებს სასამართლოს უფლებამოსილებას და არ ზღუდავს იმპერატიულობით, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროცესო მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, დამაჯერებლად უნდა ასაბუთებდეს და ადასტურებდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცილებლობას, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგის მოცემულ ეტაპზე მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას. პალატამ მიიჩნია, რომ ასეთი აუცილებლობა წარმოდგენილი განცხადებით არ იყო საკმარისად მოტივირებული, რის გამოც პალატამ მიაჩნია, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინება ლ. ს-ამ გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და აღნიშნა, რომ ოჯახი შედგება სამი წევრისაგან. ამ ეტაპზე მას არ გააჩნია არანაირი შემოსავალი. ოჯახის შემოსავალს წარმოდგენს მხოლოდ მამის პენსია. შესაბამისად, მის დასაქმებას და შედეგად ანაზღაურების მიღებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მისთვის. თუმცა ნებისმიერი სრულწლოვანი პირისათვის დასაქმების მნიშვნელობა სასიცოცხლოა და დასაქმების გადაუდებელი ხასიათი არ შეიძლება შეფასდეს ოჯახის წევრთა მონაცემებით. კერძო საჩივრის ავტორი საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური უფლება, როგორიცაა შრომითი უფლების უზრუნველყოფა. კანონ

მდებლობით უზრუნველყოფილია ამ უფლების სასამართლო წესით დაცვა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება პქონდეს სამართლიანი სამუშაო. ყოველ მშრომელს უფლება აქვს მიიღოს სამართლიანი გასამრჯელო. ადამიანისათვის შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობების შექმნას აღიარებენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მონაწილე ქვეყნები, მათ შორის საქართველოც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ს-ას კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის შე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით. ამავე თარიღის განჩინებით დადგინდა კერძო საჩივრის განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ლ. ს-ას კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განსახილველ ნაწილთან მიმართებით მიუთითებს საქმეში ასახულ შემდეგ გარემოებებს: დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათოლად იქნას ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აღდგენილ იქნა ლ. ს-ა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დეპნილთა საკითხების დეპარტამენტში სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფროოსის თანამდებობაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. სადლეისოდ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიწნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინების შეცვლის ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ს-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ს-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება;

შრომით საკითხზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ნინაპირობები

განვითარება

№ბს-755-741(კ-კს-14)

16 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 20 მაისს ზ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №2/პ-073 ბრძნების არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად აღიარება, ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გემგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა, 3 თვის თანამდებობ-

რიცი სარგოს, ერთ თვის საშვებულებო თანხისა და მორალური ზიანის – 4000 ლარის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება მოთხოვა.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ხ-ის სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 პრილის №2/3-073 ბრძანება ცნობილი იქნა არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად; ზ. ხ-ი აღდგენილ იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება 3 (სამი) თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ხოლო მორალური ზიანისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩინორა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც სარჩელის დაქმაყოფილების ნაწილში ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

2014 წლის 14 აგვისტოს ზ. ხ-მა განცხადებით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „დ“ ქებულქტების საფუძველზე ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განცხინებით ზ. ხ-ის განცხადება დაქმაყოფილდა, ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის 3 (სამი) თვის თანამდებობრივი სარგოს დაკისრების თაობაზე მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა; გაუქმდა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; პათილად იქნა ცნობილი ცაგერის

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №23/-073 ბრძანება; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს – არაუმტეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება; ზ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 29 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინების გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ გაუქმდა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინება ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართ გამოტანილია განჩინება კანონიერ ძალაში შესვლამდე მისი დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს აპელანტის შუამდგომლობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დროებითი შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიების გაუქმების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასეთი განჩინების მიღება აუცილებელია, რადგან სააპელაციო საჩივარის შეტანა ავტომატურად ვერ შეაჩერებს დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების მოქმედებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც

უნდა მიქცეულიყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საფუძვლიანია მოთხოვნა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინების გაუქმების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასასჩივრა ზ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გასასჩივრა ზ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას სააპელაციო საჩივრით არ მოუთხოვია ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინების გაუქმება, აპელანტმა მხოლოდ შემდგომი განხილვის საგანი გახადა აღნიშნული საკითხი. შესაბამისად, დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014წლის 11 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ხ-ის კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014წლის 11 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ხ-ის საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, ზ. ხ-ის კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპელაციო სასამართლო კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინებით ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის 3(სამი) თვის თანამდებობრივი სარგოს დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზ. ხ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №2პ/-073 ბრძანება, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომით გასამრჯელოს – არაუმეტეს 3 (სამი) თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება, ზ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკამაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ნაწილობრივ გაუქმდა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინება ზ. ხ-ის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები მუშაკი-სათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ, ასევე გადაწყვეტილებები უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც არ დაკმაყოფილდა, მით უფრო, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უშვებს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას თანამდებობრივ სარგოს ანაზღაურებისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნებზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ აღსრულების ღონისძიებების გაუქმების საკითხი არ შეიძლებოდა დასმულიყო სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე იყო სასამართლო უფლებამოსილი ემსჯელა მითითებულ საკითხზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი აღნიშნულ სხდომაზე არ იქნა განხილული, იგი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

ამდენად, მითითებული ნორმით იმპერატიულად არ არის დადგენილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვა იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება და სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც მოაწესრიგოს აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივარი არ შეიცავს რაიმე ისეთ გარემოებაზე მითითებას, რომლის არსებობაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სააპელაციო სასამართლოს მიერ

მიღებული განჩინების გაუქმებას. ამდენად ზ. ხ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე და 420-ე მუხლებით და

დადგინდება:

1. ზ. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომით დავაზე გადაცყველითების დაუყოვნებლივ აღსრულება

განვითარება

№ბს-776-768(2კ-4კს-15) 17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ხ-მა, ნ. ქ-მ და გ. ბ-მ 2014 წლის 11 სექტემბერს სასარჩე-

ლო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მესამე პირის გ. ა-ის მიმართ, რომლითაც მოპასუხის „ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ 2014 წლის 22 აგვისტოს №274 ბრძანების, „ნ. ქ-ს გათავისუფლების შესახებ“ 2014 წლის 22 აგვისტოს №273 ბრძანებისა და „გ. ბ-ს გათავისუფლების შესახებ“ 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა, მოსარჩელეთა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე იძულებითი განაცდური ხელფასის სრული ანაზღაურება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ადსასრულებლად მიეცევა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის, ნ. ქ-სა და გ. ბ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №274 ბრძანება ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანება გ. ბ-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ლ. ხ-ის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ნ. ქ-ს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გ. ბ-ს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ლ. ხ-ისთვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ნ. ქ-სთვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გ. ბ-სთვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა; მოსარჩელებს გ. ბ-ს, ნ. ქ-სა და ლ. ხ-ს უარი ეთქვათ აგვისტოს თვის ხელფასის ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით განისაზღვრა, რომ გადაწყვეტილება ლ. ხ-ის, ნ. ქ-სა და გ. ბ-ს გათავისუფლე-

ბამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ აღ-
სრულდეს დაუყოვნებლივ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება სააპე-
ლაციო საჩივრით გასასჩივრეს ლ. ხ-მა, ნ. ქ-მ, გ. ბ-მ და ქ. თბი-
ლისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ქ.
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ლ. ხ-ის, ნ. ქ-სა და გ. ბ-ს სააპელა-
ციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015
წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღე-
ბულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ხ-ის, ნ. ქ-სა და გ. ბ-ს სარ-
ჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქა-
ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 22 აგვის-
ტოს №274 ბრძანება ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლე-
ბის შესახებ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა
ლ. ხ-ის აღდგენა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... სამ-
სახურის უფროსის მოადგილედ; ქ. თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიას დაევალა ლ. ხ-ისათვის იძულებითი განაცდურის
ანაზღაურება 3 თვის სახელფასო სარგოს ოდენობით; ბათილად
იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014
წლის 22 აგვისტოს №273 ბრძანება ნ. ქ-ს თანამდებობიდან გა-
თავისუფლების შესახებ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-
რიას დაევალა ნ. ქ-ს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...
სამსახურში მონიტორინგის და შეფასების განყოფილების მთა-
ვარი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენა; ქ. თბილისის მუ-
ნიციპალიტეტის მერიას დაევალა ნ. ქ-სათვის იძულებითი გა-
ნაცდურის ანაზღაურება 3 თვის სახელფასო სარგოს ოდენო-
ბით; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიის 2014 წლის 22 აგვისტოს №275 ბრძანება გ. ბ-ს თა-
ნამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ქ. თბილისის მუნი-
ციპალიტეტის მერიას დაევალა გ. ბ-სათვის შრომითი ხელშეკ-
რულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზ-
ღაურება მხარეთა შორის შეთანხმებული სახელფასო სარგოს
ოდენობით 2014 წლის 22 აგვისტოდან 2014 წლის 1 ოქტომბრამ-
დე. გ. ბ-ს მოთხოვნა თავდაპირველ თანამდებობაზე აღდგენის
ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოსარჩევების მოთხოვნა გათა-
ვისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამ-
დე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძუ-

ლებითი განაცდურის ანაზღაურებისა და აგვისტოს თვის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელეთა – ლ. ხ-ის, ნ. ქ-სა და გ. ბ-ს სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით, დანარჩენი ხარჯების ანაზღაურებაზე მოსარჩელებს ეთქვათ უარი; ქ. თბილის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე. განიმარტა, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში საბოლოოა და არ საჩივრდება. მოსარჩელეთა შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის გადაცემის ნაწილში გადაწყვეტილების შესაძლებლობა განემარტათ მხარეებს კერძო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის განჩინებით ლ. ხ-ის, ნ. ქ-სა და გ. ბ-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 მარტის განჩინება და ლ. ხ-ის, ნ. ქ-სა და გ. ბ-ს შუამდგომლობაზე შეწყდა საქმის წარმოება დავის საგნის არარსებობის მოტივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილი კერძო საჩივრით და ნაწილი საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ როდესაც არსებობს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა იგი არ უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რადგან შესაძლებელია უზენაესმა სასამართლომ გააუქმოს აღსრულებული გადაწყვეტილება, რამდენადაც სასამართლოს არ გამოუკვლევია მთელი რიგი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ ისე აღადგინა მოსარჩელეები თანამდებობებზე, რომ საგალდებულო მესამე პირებად საქმეში არ ჩართო ამ თანამდებობებზე მომუშავე პირები, არ გაარკვია არსებობს თუ არა ახალ შექმნილ სამსახურში ძველი თანამდე-

ბობების თანასწორი თანამდებობები და რამდენად არის შესაძლებელი ამ თანამდებობებზე მოსარჩელების აღდგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდგე გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: ალიმენტის მიკუთვნების შესახებ; დასახჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკედილით გამოწვეული ზიანის ასაწლაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ; მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ; უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ; თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები; ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

მითითებული ნორმა შეიცავს გადაწყვეტილებათა იმ კატეგორიის ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა დაუყოვნებლივ აღსრულდეს, თუმცა აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიეკცა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ს თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ზემოალნიშნული კანონის დანაწესისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე სავსებით მართებულად მიაქცია სადაცო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ ეტაპზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივრის დაკ-

მაყოფილების სამართლებრივი შესაძლებლობა აღარ არსებობს, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების კერძო საჩივრით გასაჩივრებული ნაწილის გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ადგინდეთ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის გადაწვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მცხოვრილი მოთხოვნის უფლება

გადაცემის საქართველოს სახელი

№ბს-400-395(2)-16)

4 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენეველი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათოლად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

ა. ს-ამ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ.

მოსარჩელემ მოითხოვა:

1. ა. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანების ბათოლად ცნობა;

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ს-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა;

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ს-ასათვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაუ-
რების გადახდა, გათავისუფლების დღიდან სასამართლო გადაწ-
ყვეტილების აღსრულების დღემდე;

4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ს-ას სასარგებლოდ მის მიერ 2009, 2010, 2011, 2013 და 2014 წლებში გამოიყენებელი შეგებულების სრულად ანაზღაურება;

5. დაეკისროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ს-ას მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება, კერძოდ, ადვო-
კატის დახმარებისთვის განეული ხარჯის – 2000 ლარისა და წარ-
მომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დო-
კუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის გაღებული 25 ლა-
რის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით ა. ს-
ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადაც საკითხის გა-

დაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანება ა. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; მოპასუხეს დაეფალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში; მოპასუხეს დაეკისრა ა. ს-ას მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება, კერძოდ, ადვოკატის დახმარებისთვის განეული ხარჯის – 600 ლარისა და სანოტარო აქტის შედგენისთვის გაღებული 12 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩინორა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაგმაყოფილდა; ა. ს-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაგმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი 2013 და 2014 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე და მოპასუხეს დაეკისრა ა. ს-ას სასარგებლოდ 2013 და 2014 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება; მოპასუხეს დაეკისრა ა. ს-ას სასარგებლოდ ადვოკატის დახმარებისთვის განეული ხარჯის – 1000 ლარის და სანოტარო აქტის შედგენის საფასურის – 25 ლარის ანაზღაურება; ხოლო დანარჩენ ნაწილში ა. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

6. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის პირველი ოქტომბრის №1781 განკარგულებით ა. ს-ა დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, კონკურსის შედეგად 2 თვის გამოსაცდელი ვადით;

7. 2014 წლის 3 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მოახსენა, რომ მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის

განყოფილების უფროსმა – ა. ს-ამ წარუდგინა შპს „...“ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული აქტით შპს „...“ უნდა გადარიცხულიყო 2480 ლარი განეული მომსახურებისთვის, თუმცა აღნიშნულ აქტთან დაკავშირებით წარმოეშვა სხვადასხვა სახის კითხვები, ეროვნული 1. ჰელინდა თუ არა როდესმე განხორციელებული ინსპექტირება და კონტროლი, რაზეც ა. ს-ამ სიტყვიერად განუმარტა, რომ არ ჰქონია; 2. რის საფუძველზე მოაწერა მან მიღება-ჩაბარების აქტს ხელი და რატომ არ აცნობა ამის თაობაზე სამსახურის უფროსს ან კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს; 3. რატომ მოაწერა მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მიუჟედავად იმისა, რომ იგი მომწოდებლის მიერ ხელმოუწერელი იყო; 4. რატომ დაარტყა მიღება-ჩაბარების აქტს სამსახურის ბეჭედი სამსახურის უფროსის ნებართვის გარეშე; 5. ხელშეკრულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილნი არიან ადმინისტრაციის ქალაქებაფორმების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურები, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მხოლოდ თვითონ – ა. ს-ა აწერდა.

8. წერილში აღნიშნულია, რომ სხენებულ შეკითხვებთან დაკავშირებით ა. ს-ას მოეთხოვა წარედგინა ახსნა-განმარტებითი ბარათი, რაც მან არ შეასრულა და ისე დატოვა სამსახური. სამსახურის უფროსმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი შემდგომი რეაგირებისა და დასკვნისათვის გადაგზავნოდა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს;

9. 2014 წლის 9 სექტემბერს ა. ს-ას მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებისთვის მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად: 1. ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ხელმძღვანელის ზეპირსიტყვიერი მითითების საფუძველზე, მის მოვალეობას წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება; 2. მიმწოდებლის მხრიდან აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე კონტროლის ღონისძიებას წარმოადგენდა შემსრულებლის მიერ მომსახურების ვალდებულების ხარისხიად შესრულება – დავალების შესაბამისად მითითებულ მისამართზე წარმოადგენილიყო შესაბამისი ოდენობის სატრანსპორტო საშუალება, შემოწმებულიყო მონაწილეების რაოდენობის შესაბამისობა წარმოადგენილ სატრანსპორტო საშუალებაში არსებულ ადგილებთან, ამ სატრანსპორტო საშუალებას დანიშნულების ადგილამდე აეყვანა ღონისძიების

ებების მონაბილეები; 3. მიღება-ჩაბარების გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა შპს „...“ დირექტორის – გ. ნ-ის მიერ ავტოტრანსპორტის მომსახურების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტი; 4. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით ელ. ფოსტის მეშვეობით შემსრულებელმა წარმოადგინა წერილობითი შეტყობინება შესრულებული სამუშაოების შესახებ, რომლის საფუძველზეც ა. ს-ას მიერ მომზადდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც დანართის სახით ახლავს შესრულება ტრანსპორტით მომსახურებაზე. ა. ს-ას მხრიდან მომზადდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც მოეწერა ხელი, როგორც წესი და დაერტყა სამსახურებრივი ბეჭედი ცალმხრივად, რაც წარედგინა სამსახურის უფროსს შესათანხმებლად; 5. ვალდებულება – მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე საქმის კურსში ჩაეყენებინა სამსახურის უფროსი ჰქონდა მანამდე, სანამ შემსრულებელი მოაწერდა ხელს და წაიღებდა თავის ეგზემპლარს. 6. უფროსის თანაშემწის ნებართვის გარეშე სამსახურებრივი ბეჭედი იყო მიუწვდომელი, შესაბამისად, ბეჭედს თვითნებურად ვერ გამოიყენდა. ბეჭედის დასმა და დოკუმენტის სამსახურის უფროსისთვის წარდგენა ერთდროულ/თანმიმდევრულ მოქმედებებს წარმოადგენდა;

10. 2014 წლის 15 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსს მოხსენებითი ბარათით მიმართეს ამავე სამსახურის მონიტორინგის განყოფილების მთავარმა სპეციალისტებმა და მიუთითეს, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს ქ. თბილისის მერიას და შპს „...“ შორის დაიდო №10.2/20/490 ხელშეკრულება ტრანსპორტით მომსახურებაზე. სახელშეკრულებო ღირებულებით – 114 340.00 ლარი მომსახურების განევის ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. საბიუჯეტო კოდით 8.8 შემდგომში 8.6.1 პროგრამის შესრულებაზე (სახელშეკრულებო თანხა 49900 ლარი) მიღება – ჩაბარების აქტებს აფორმებდა და ადასტურებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის სამსახურის განყოფილების უფროსი ა. ს-ა. „ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე შპს „...“ მიერ წარდგენილი და ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის ა. ს-ას მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, შპს „...“ ანაზღაურებული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობა 2046 კილომეტრით აღემატებოდა აუდი-

ტის სამსახურის მიერ მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერ-ნეტში) მოძიებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ შპს „...“ მიერ განეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობას. ამასთან, ა. ს-ამ აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებს ვერ წარუდგინა შპს „...“ მიერ წარდგენილი განეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) გადამოწმების მიზნით ჩატარებული ინსპექტირების ან კონტროლის რაიმე ღონისძიების შესახებ ინფორმაცია ან დოკუმენტი. ამ უკანსკნელს ჩამოერთავა რა ახსნა-განმარტება თავის საქმინობასთან დაკავშირებით, დადგინდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის სამსახურის ახალგაზრდული საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს-ა შპს „...“ მიერ განეული ტრანსპორტის მომსახურების ოდენობის (კილომეტრაჟის) დადასტურებას ახდენდა ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებების განხოციელების გარეშე, რაც მიუთითებს ა. ს-ას სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებაზე და წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის თანახმად დისციპლინურ გადაცდომას. მოხსენებით ბარათში ასევე მითითებულია სამსახურის უფროსის თანაშემწის, როგორც ბეჭედზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მითითების მიცემა, არ დაუშვას სამსახურებრივი ბეჭდის განთავსება მასთან შეუთანხმებლად სხვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას;:

11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსმა 2014 წლის 15 სექტემბერს №10-10/14246952 მოხსენებითი ბარათით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მოახსენა, რომ შესწავლილი მასალების მიხედვით, ა. ს-ა არაჯეროვანდ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობებს, რაც საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს, შესაბამისად, მის მიმართ შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „სამსახურიდან გათავისუფლება“;

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბერის №793 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სა-

ქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს-ა, სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;

13. სსიპ ლევან სამხარაულის სახელმძღვანელოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 24 ნოემბრის წერილის თანახმად, იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რამდენად უტყუარია მსოფლიო გლობალურ ქსელში (ინტერნეტი) „Google Maps“ მიერ მოცემული კილომეტრაჟის დამადასტურებელი მონაცემები, შეუძლებელია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში კვლევის ჩატარება და დასკვნის გაცემა;

14. საქმეში წარმოდგენილი 2013 წლის 24 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 192/20/420 ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო ქ. თბილისის მერიასა და შპს „...“ შორის ხელშეკრულების ობიექტია ტრანსპორტით მომსახურება. მომსახურების განვითარების გადად განისაზღვრა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე ჰერიოდი. დადგენილია, რომ ხელშეკრულების მე-5 პუნქტით განისაზღვრა პირობები ხელშეკრულების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების შესახებ), კერძოდ, 5.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი. 5.2 პუნქტით, მიმწოდებულის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორცილებენ ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები. 5.3 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირების მიზნით) გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი. ხელშეკრულების მე-6 პუნქტით განისაზღვრა ობიექტის მიღება-ჩაბარების ნესი. აღნიშნულ პუნქტში მითითებულია, რომ შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მათ გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები;

15. მხარეები როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში აცხადებენ, რომ ტრანსპორტით მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების ინსპექტირებისთვის დადგენილი წესის შესრულების კონკრეტული ფორმა და გამოსაყენებელი მეთოდი ქ.თბილისას მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განერილი არ არის რამე იურიდიული დოკუმენტით ან ცალკე სამართლებრივი აქტით;

16. საქმეში წარმოდგენილია ლ. ხ-ის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს-ას ყოფილი მოადგილის ახსნა-განმარტება, სადაც მას მითითებულია აქვს, რომ, თუ ა. ს-ა დოკუმენტს (მიღება-ჩაბარება) შემსრულებელი მხარის ხელმოწერამდე არ გააცნობდა სამსახურის უფროსს შესათანხმებლად, ის მაინც ვერ გაიგზავნებოდა უფროსის ხელმოწერის გარეშე. განყოფილება ამზადებდა დოკუმენტს, უფლებამოსილი პირი ანერდა ხელს, არტყაყამდა ბეჭედს, შემდეგ წარუდგენდა უფროსს შესათანხმებლად. სამსახურის უფროსი იძლეოდა თანხმობას დოკუმენტის ფორმასა და შინაარსზე;

17. საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციასა და შპს „...“ შორის ასევე ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციას და შპს „ვ...“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე საქმეში მოიპოვება 2011, 2012, 2013 წლებში შპს „ვ...“, შპს „თ...“ და შპს „...“ გაფორმებული ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, ანგარიშ-ფაქტურები;

18. საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 5 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს-ას 2014 წლის 1 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ქ.თბილისის მერიასა და შპს „...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ინსპექტირება სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ არ განხორციელებულა;

19. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 17 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს-ას 2014 წლის 8 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქ-

მეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „ვ...“ და შპს „თ...“ ინსპექტირება არ განხორციელებულა;

20. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 29 აგვისტოს მიღება – ჩაბარების აქტის № 10.2/20/490 (8.6.1)-11 თანახმად, ერთი მხრივ ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის ა. ს-ას სახით და მეორე მხრივ, შპს „...“ (შემდგომში-შემსრულებელი) მისი დირექტორის გ. ნ-ის სახით აღნიშნული აქტით ადასტურებენ, რომ შემსრულებელმა პროგრამის – სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების „ფარგლებში, 2013 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული № 10.2/20/490 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები – ტრანსპორტით მომსახურება დანართი 1-ის შესაბამისად. მომსახურების ლირებულებაა 2480 ლარი. აქტის სისწორეს ადასტურებს ხელმოწერით დამტკირავებელი – ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსი ა. ს-ა, ხელმოწერა დადასტურებულია სამსახურებრივი ბეჭდით, ხოლო შემსრულებელი საწარმოს უფლებამოსილი პირის შპს „...“ დირექტორის ხელმოსაწერი ადგილი ცარიელია. მიღება-ჩაბარების აქტში ამსახველი ინფორმაციის სისწორე დადასტურებულია ცალმხრივად. მიღება-ჩაბარების აქტს ერთვის ქალაქ-გარეთ ავტოტრანსპორტით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა. სადაც არაა, რომ ამ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე თანხების ბიუჯეტიდან ანაზღაურება არ მომხდარა.

21. საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 3 იანვრის № 1/9 ბრძანების თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის № 1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურში შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფები დანართი № 1 მიხედვით; 2.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად, ინსპექტიორების ჯგუფებმა: а) განახორციელონ მიმზიდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის გეგმა – გრაფიკის შედგენა. ბ)მოახდინონ მისაწოდებელი ა/და მიწოდებული საქონლის სამუშაოების მომსახურების მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება; გ) მოახდინონ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება; დ) მოახდინონ ხელშეკრულების შესრულების მიმღინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა; 3. ინსპექტიორების ჯგუფებმა ხელშეკრულების შემოწმების შესახებ ანგარიში და დასკვნები წარმოადგინონ მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთავე.

22. ქ. თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 3 იანვრის №1/9 ბრძანებაზე დართული ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ინსპექტიორების ჯგუფებში 8.8 გრაფაში მითითებულია ინსპექტორებად ა. ს-ა, რ. მ-ე, ს. თ-ა, ნ. ქ-ა, ზ. ჩ-ი, მ. მ-ი;

23. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს სადაცოდ არ გაუხდია, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობის პერიოდში ა. ს-ას დისციპლინური სახდელი დაკისრებული არ აქვს.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ა. ს-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის წორმები, რომელიც ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოს პირდაპირ ავალდებულებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დასაბუთებას, მათ საფუძვლად მითითებული პირობების სრულყოფილად და ყოველმხრივ დადასტურებას ფაქტობრივ გარემოებათა ზედმინევნით შესწავლით და შეფასებით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, სასამართლოს კომპეტენციას სცილდება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების

დროს, შეამონმოს საკითხის გადაჭრის ყველაზე მისაღები გზის არჩევის მიზანშეწონილობა, მაგრამ სასამართლო ზედამხედველობს ასეთი აქტების დასაბუთებულობის სათანადობას, რაც საკითხის გადაჭრის დროს კანონიერების, გამჭირვალობის, ობიექტურად შეფასების თანაბარზომიერების, ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად არის მიღებული. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ა. ს-ას განთავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების, სტაბილურობის უტყუარობა სათანადოდ არ არის დადასტურებული, არ არის დასაბუთებული, რომ ა. ს-ას განთავისუფლება არის უკიდურესი პრევენციული ღონისძიება, რომელიც მიღებულ იქნა კერძო და საჯარო ინტერესის როგორც ვინწრო, ასევე ფართო გაგებით, გააზრებულ იქნა საყოველთაოდ აღიარებული და განმტკიცებული ძირითადი უფლებები და ღირებულებები, არ იქნა შეფასებული და დაანგარიშებული ა. ს-ას შესაძლო არაჯეროვანი სამსახურებრივი შესრულებით ადმინისტრაციული ორგანოსადმი და საჯარო ინტერესებისადმი მიყენებული ზიანის ხასიათი თუ ოდენობა.

ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუფასებია ის საკითხი, რომ ა. ს-ას სპეციალური ფუნქციის შესრულება არ იყო ერთჯერადი. ამასთან, მხოლოდ მას არ ჰქონდა ასეთი ფუნქციის შესრულების ვალდებულება დაკისრებული, ამავე დროს საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 5 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს-ას 2014 წლის 1 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ქ. თბილისის მერიასა და შპს „...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ინსპექტირება სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ არ განხორციელებულა. ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 17 დეკემბრის წერილის თანახმად, ა. ს-ას 2014 წლის 8 დეკემბერს წარდგენილი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „ვ... და შპს „თ...“ ინსპექტირება არ განხორციელებულა. ადმინისტრაციული ორგანო თავისი სრულყოფილი დასაბუთებით პირდაპირ უნდა აქარნლებდეს შესაძლო ეჭვებს თანაბარ პირობებში თანაბარი წესების გამოუყენებლობის შემთხვევის შესახებ; ეჭვებს – გარკვეული ინტერებიდან გამომდინარე შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის

გამო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, აგებს პასუხს საკუთარი შეხედულებით მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურობის და მართებულობის უტყუარობაზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი ერთ-ერთი ბერკეტია ზემოთ მითითებული პასუხისმგებლობის კეთილსინდისიერად შესრულების ზედამხედველობისთვის, სადაც განერილია, რომ სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. სასამართლოს კომპეტენცია სადაც ადმინისტრაციული აქტების კანონიერების შემონმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების პროცესუალური საფუძვლების შერჩევისას შემოფარგლულია შესაბამისი კომპეტენციით. მართლმსაჯულების ორგანოს და მმართველობითი ორგანოების კომპეტენციები არ არის თანმხევდრი, შესაბამისად, სასამართლო ვერ დაუშვებს კომპეტენციათა კონფლიქტს, ვერ შეიქრება ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალურ საქმიანობებში გარკვეული საკითხების გადაჭრით, ამდენად, სასამართლომ მიზანშენილად მიიჩნია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება გამოუყენებელი შეებულების ანაზღაურების უსაფუძვლობაზე და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი მოხელის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შეებულებით არ არის დამოკიდებული სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების არსებობაზე, არც იმაზე გამართლდება თუ არა განთავისუფლებული პირის ინტერესები სამსახურში უკანონო განთავისუფლების გამო აღდგენაზე, ასეთი მოთხოვნის საფუძვლი-ანობას არ აპათილებს ის ფაქტი, წარადგინა თუ არა განაცხადი განთავისუფლებულმა პირმა კუთვნილი შვებულებით სარგებლობისათვის მუშაობის პერიოდში.

სასამართლოს მითითებით, ა. ს-ას 2013 და 2014 წლებში არ უსარგებლია კუთვნილი შვებულებით. დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შეებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა; მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის დარღვეული უფ-

ლება სახეზეა, ვინაიდან მან ორი წლის განმავლობაში ვერ ისარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე ამ უფლების პირდაპირი აღდგენა შეუძლებელია, მოსარჩელის უფლების აღდგენა უნდა მოხდეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ა. ს-ამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

კასატორი ა. ს-ა ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, აგრეთვე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინებით ა. ს-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ა. ს-ას სასარგებლოდ გამოყენებელი შვებულების ანაზღაურებისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ა. ს-ას სასარგებლოდ გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების დაკისრების კანონიერების საკითხი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლი ითვალისწინებს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლებას.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებ-

ლობის უფლება; ამდენად, დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა, ამასთან, აღნიშნული უფლების რეალიზებისათვის დასაქმებულს კანონმდებლობის საფუძველზე უნდა შეეძლოს შვებულების გამოყენების თაობაზე დამსაქმებლისათვის მიმართვა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შვებულებით სარგებლობის უფლება არ წარმოიშობა დასაქმების მომენტიდან. შვებულებით სარგებლობა გარკვეულ შემთხვევებში დაკავშირებულია შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობაზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

შრომის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოებობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოვეული იძულებითი მოცდენის დრო.

განსახილველ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის პირველი ოქტომბრის № 1781 განცარგულებით ა. ს-ა დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განცოდილების უფროსის თანამდებობაზე, კონკურსის შედეგად 2 თვის გამოსაცდელი ვადით. სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო მასთან ახალი შრომითი ურთიერთობა, ამდენად, ა. ს-ას შვებულებით სარგებლობის უფლება წარმოებოდა 11 თვის გასვლის შემდეგ. საქმეში წარმოდგენილი არ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მხარები შეთანხმებულები იყვნენ შვებულებით სარგებლობის უფლების ამ ვადაზე ადრე გამოყენების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ ა. ს-ას სამსახურიდან გათავისუფლებით არ შეზღუდულა 2013 წლის შვებულების გამოყენების უფლება, ვინაიდან 2013 წლისათვის ა. ს-ას შვებულებით სარგებლობის უფლება არ გააჩნდა.

რაც შეეხება ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეუღ ხარჯებს, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილებელი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილებას საკითხი შეიძლება დადგეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის ნარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). ასეთ დროს სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადაწყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეში ნარმოდგენილი არ არის ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის, ან სხვა საპროცესო ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ამ ხარჯის განევა არ დასტურდება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლს პირველი ნაწილის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ისეთ პირობებში, როდესაც არ დასტურდება კონკრეტული ხარჯის განევა, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-მართლომ არასწორად იხელმძღვავენლა სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ამავე კო-დექსის 393-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმე-ბის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, განსახილვედ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო უფლება-მოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასა-მართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც ა. ს-ას სასარჩელო მოთხოვნა გამოუყენებელი შვებულების ანაზ-ლაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილ-ში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიას უნ-და დაკისროს ა. ს-ას სასარგებლოდ 2014 წლის გამოუყენებე-ლი შვებულების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე უნდა გაუქ-მდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების 1000 ლარის, დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ა. ს-ას მოთხოვ-ნა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკ-მაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩი-ვარი (დაშვებულ ნაწილში) ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის გადაწ-ყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალი-ტეტის მერიას ა. ს-ას სასარგებლოდ დაკისრა 2013-2014 წლე-ბის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება და ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურება;

3. ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ა. ს-ას სასარჩელო მოთხოვნა გამოუყენებელი შვებულე-ბის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ს-ას სასარგებლოდ დაეკისროს 2014 წლის კუთვნილი შვებულების ანაზღაურება;

6. ა. ს-ას მოთხოვნა ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების მოასაუხისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომით დავაზე გადაცყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

განხილვა

№ბს-624-618(2კ-კს-16) 17 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

18.01.2016წ. ს. გ-ამ სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2015წ. №935 ბრძანება, რომლის თანახმად ს. გ-ას უარი ეთქვა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენაზე, დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას სამსახურში აღდგენის შესახებ, დაევალოს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას გასცეს მოსარჩელის – ს. გ-ას მიმართ იძულებითი განაცდეური (2015 წლის თებერვლის თვემდე ხელზე ასაღები თანხა 640 ლარი, ხოლო 2015 წლის თებერვლიდან 1040 ლარი) გათავისუფლების დღიდან (01.10.2014წ.) სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღემდე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 08.02.2015წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო ე. ც-ა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.03.2015წ. გადაწყვეტილებით ს. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2015წ. №939 ბრძანება ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა აგრეთვე ს. გ-ას აუნაზღაუროს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობის შრომითი გასამრჯელო (პრემია, ხელფასი, სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში 01.10.2014წ. გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ამ თანამდებობაზე მომატებული ხელფასისა და პრემიის გათვალისწინებით, ს. გ-ას მიერ მიღებული კომპენსაციის გამოკლებით). აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ.

05.04.2016წ. ს. გ-ამ განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 24.03.2016წ. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა სსკ-ის 268.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლის შესაბამისად.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 11.04.2016წ. განჩინებით ს. გ-ას განცხადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შემთხვევაში, შეუძლებელია იმ ზარალის განსაზღვრა, რაც მოწინააღმდეგე მხარეს მიადგება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების გამო, რის გამოც სსკ-ის 268.3 მუხლის საფუძველზე დაუშენებლად იქნა მიჩნეული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 11.04.2016წ. განჩინება კერ-

ძმ საჩივრით გაასაჩივრა ს. გ-აბ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2016წ. გადაწყვეტილებით ქ. ფოთის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.03.2016წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს. გ-ას დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2015წ. №935 ბრძანება ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, დაევალა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დასაქმების საკითხების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, დაევალა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას აუნაზღაუროს ს. გ-ას იძულებითი განაცდური (2015 წლის თებერვლის თვემდე ხელზე ასალები თანხა 640 ლარი, ხოლო 2015 წლის თებერვლიდან 1040 ლარი) გათავისუფლების დღიდან (01.10.2014წ.) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ს. გ-ას სარჩელი პრემიის სახით გაცემული თანხის ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 29.06.2016წ. განჩინებით ს. გ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 11.04.2016წ. განჩინება, ს. გ-ას განცხადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2016წ. გადაწყვეტილება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 07.12.2015წ. №935 ბრძანების ბათილად (ცნობის, ს. გ-ას სამსახურში აღდგენის დავალდებულებისა და ს. გ-ასთვის არაუმეტეს 03 (სამი) თვის ხელფასის მიკუთვნების ნაწილში.

სასამართლომ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ ფოთის საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი ს. გ-ას განცხადების დაკმაყოფილებაზე. ამასთან, განაცდური, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვდა მხარე, ფიქსირებული თანხაა და შესაძლებელია მისი გამოთვლა.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 268.1 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლის თანახმად, არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოში ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 27.04.2016წ. №7/22 განკარგულება „ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის (სამსახურის) რეორგანიზაციის შესახებ“ და ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 27.04.2016წ. №7/23 განკარგულება „ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც დასტურდება, რომ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების ნაცვლად შეიქმნა ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დასაქმების საკითხების განყოფილება, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2016 წ. გადაწყვეტილებით ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დასაქმების საკითხების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ს. გ-ას მოთხოვნა საფულვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად უნდა შეიქცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2016წ. გადაწყვეტილება ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 07.12.2015 წ. №935 ბრძანების ბათოლად ცნობის, უკანონოდ დათხოვნილი ს. გ-ას სამსახურში აღდგენის დავალდებულებისა და ს. გ-ასათვის არაუმეტეს 03 (სამი) ოვის ხელფასის მიკუთვნების ნაწილში.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა დაუშვებელია სსკ-ის 268.3 მუხლის შესაბამისად, რადგან გა-

დაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს. განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის კონკრეტული ფიქსირებული თანხა, შესაბამისად გადაწყვეტილების შებრუნების შემთხვევაში ზარალის გამოთვლა გართულდება. გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ ს. გ-ას კონმპენსაციის სახით ორი თვეის ხელფასის ოდენობის თანხა მიღებული აქვს, შესაბამისად, სათანადო საფუძვლების არსებობისას საპატარი პალატას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად უნდა მიეცია გადაწყვეტილება ერთი თვეის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში. ს. გ-ა თვითონ აღნიშნავს, რომ არის უმუშევარი, ამდენად, იგი ვერ უზრუნველყოფს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც შესაძლოა დადგეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევაში.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.04.2016ნ. №7/22 განკარგულებით განხორციელდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის (სამსახურის) რეორგანიზაცია, რის შედეგადაც აღარ არსებობს ის თანამდებობა, რომელსაც იყავებდა ს. გ-ა, შესაბამისად მისი პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენა შეუძლებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2016ნ. განჩინებით გასწორდა სააპელაციო სასამართლოს 29.06.2016ნ. გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დაევალოს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დასაქმების საკითხების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამ:

სსკ-ის 419.3 მუხლის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ საჩივრდება, თუმცა განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით გაუქმდა რა ფოთის საქალაქო სასამართლოს 11.04.2016წ. განჩინება, დაუყოხებლივ აღსასრულებლად მიექცა არა ფოთის საქალაქო სასამართლოს 24.03.2016წ. გადაწყვეტილება ს. გ-ას სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ, არამედ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2016წ. ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის სსკ-ის 419.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, სააპელაციო პალატის 29.06.2016წ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილით მხარეებს მართებულად განემარტათ წინამდებარე განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობა, შესაბამისად ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არსებითად უნდა იქნეს განხილული.

სსკ-ის 268-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ და უკანონოდ დათხოვილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ (1-ლი ნაწ.), გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაისვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მონინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას (მე-3 ნაწ.).

განსახილველ შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2016წ. გადაწყვეტილებით ქ. ფოთის მერიის უარი ს. გ-ას სამსახურში აღდგენაზე არამართლზომიერად იქნა მიჩნეული, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. გ-ას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ და აუნაზღაუროს ს. გ-ას იძულებითი განაცდეური (2015 წლის თებერვლის თვემდე ხელზე ასაღები თანხა 640 ლარი, ხოლო 2015 წლის თებერვლიდან 1040 ლარი) გათავისუფლების დღიდან (01.10.2014წ.) სასამართლო გადაწყვეტილება დაუყონებლივ აღსასრულებლად მიექცა სადავო აქტის ბათილად

ცნობის, სამსახურში აღდგენის და არაუმეტეს 3 თვის ხელფასის ანაზღაურების ნაწილში, როგორც ამას ითვალისწინებს სსკის 268.1 მუხლი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს გადაწყვეტილების შებრუნვებისას, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ს. გ-ას გასაჩივრებული განჩინების მიხედვით დაუყოვნებლივ უნდა აუნაზღაურდეს არაუმეტეს 3 თვის იძულებითი განაცდურის ოდენობა, რაც განსაზღვრებადი, ფიქსირებული თანხაა. ასევე კონკრეტულად განსაზღვრული ოდენობით ხელფასს მიიღებს ს.გ-ა სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენისას, შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც გადაწყვეტლების შებრუნვებისას შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს.

მართალია, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.04.2016წ. №7/22 განკარგულებით განხორციელდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია, თუმცა აღნიშნული ვერ გახდება ს. გ-ას სამსახურში აღდგენის დამაბრკოლებელი გარემოება, რადგან საქმეზე დადგენილია ს. გ-ას მიერ დაკავებული თანამდებობის ადეკვატური, ფუნქციურად და იერარქიულად იგივე სტატუსის მქონე თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ახლადშექმნილი განყოფილება აღიჭურვა რეორგანიზაციამდე არსებული განყოფილების არსობრივად იდენტური უფლებებით. კერძო საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული შედაცება, შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსკ-ის 407.2 მუხ.). მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ ს. გ-ა თანამდებობაზე ვერ აღდგება, არ ადასტურებს კერძო საჩივრის საფუძვლინობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2

ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 401-ე, 412-ე, 420-ე მუხლებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, მე-60 მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2016წ. განჩინება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაცევის განვითარების დაუყოვნებლივ აღსრულება

განვითარება

№ბს-647-640(2კ-კს-16) 24 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. უ-ს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 11 სექტემბერს მ. უ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სა-

მინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მ. უ-ს საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის კადრების განკარგულებაში გადაყვანის დღიდან მ. უ-ს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ... თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემის დავალება და მ. უ-ს სასარგებლოდ კადრების განკარგულებაში გადაყვანის დღიდან, 2015 წლის 18 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდზე ყოველთვიურად 3500 ლარის ოდენობით განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. უ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაცო საკითხის გადაუწყეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 7 15 00002735 ბრძანება მ. უ-ს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებს გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილ ვადაში გამოცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. უ-მ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით მ. უ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ

დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. უ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანება მ. უ-ს საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა შეერჩია და მ. უ-სთვის შეეთავაზებინა კონკრეტული თანამდებობა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; დანარჩენ ნაწილში მ. უ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის (საქმე №3ბ-167-17) გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. უ-მ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრისა და 28 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. უ-ს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. უ-ს საკასაციო საჩივრებს, შეამონმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მოცემულ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში, რის შემდეგაც მიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, ხოლო მ. უ-ს საკასაციო საჩივარი – დასაშვებად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ საფუძვლებს, როგორიცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მარამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამარ-

თლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. უ-ს საკასაციო საჩივარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მიჩნეულ უნდა იქნეს დასაშვებად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მ. უ-ს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი, ვინაიდნა აღნიშნულ ნაწილში საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. უ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებაზე, მ. უ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში განსახილველად უნდა იქნეს დაშვებული და განხილულ იქნეს მხარეთა დასწრების გარეშე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. მ. უ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21

მარტის გადაწყვეტილებაზე, მ. უ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და განხილულ იქნეს მხარეთა დასწრების გარეშე;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. კომპანიების დაცვა

ცელთა ნამსახურობის საფუძვლით დაცივული კომპანიების დაცვის სისტემა

განხილვა

№ბს-151-149(კ-15)

17 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: კომპენსაციის შეწყვეტა, საფუძვლის არას-
ნორი მითითება, კომპენსაციის გაანგარიშება.

აღწერილობითი ნაწილი:

05.05.14წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო
განცხადებით მიმართა შ. ბ-ემ, მოპასუხების საქართველოს
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ფოთის სოცი-
ალური მომსახურების ცენტრის მიმართ და მოითხოვა: სსიპ სო-
ციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის სოციალური მომ-
სახურების ცენტრის 29.04.2010წ. გადაწყვეტილების, სსიპ სო-
ციალური მომსახურების სააგენტოს 23.10.2013წ. გადაწყვეტი-
ლების და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 11.04.14წ.
გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ასევე მოპასუხისათვის
08.10.04წ. დანიშნული (539.20 ლარის ოდენობით) კომპენსაცი-
ის აღდგენა და მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურება, შეწ-
ყვეტის დღიდან, შესაბამისი გადაანგარიშების საფუძველზე სა-
ბანკო-საკრედიტო პროცენტის დარიცხვით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 09.12.2009წ. გა-
ნაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სა-
მართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-
ქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სასჯელის სახედ და
ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 07 (შვიდი) წლის
ვადით. 27.08.13წ. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდა და
მოეხსნა ნასამართლობა. 08.10.2004წ. დანიშნული პქონდა პენ-

სია 539 ლარის ოდენობით. სსიპ სოციალური მომსახურების სა-აგენტოს ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის 29.04.2010წ. გადაწყვეტილებით გარდაცვალების საფუძვლით შეუწყდა დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია 2010 წლის 01 მაისიდან. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი გახდა გაურკვეველი ყალბი წერილი. პენსიის შეწყვეტით გაუარესდა მისი სოციალური მდგომარეობა, გასაჩივრებული აქტები მიაჩნია დისკრიმინაციულად და ითხოვს მათ ბათილად (ცნობას, 2004 წლის 8 ოქტომბრიდან დანიშნული (539.20 ლარის ოდენობით) კომპენსაციის აღდგენას და მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურებას საბანკო-საკრედიტო 14%-იანი დარიცხვით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ პენსიის გადაანგარიშება და 360 ლარის დანიშვნა უკანონოა, სააგენტო ახალ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, ვინაიდან იგი აცდენილი იქნება დროში, ხოლო მოსარჩელეს სადღეისოდ ნასამართლობა მოხსნილი აქვს საქართველოს პრეზიდენტის 02.10.136. №02/10/01 განკარგულებით. გარდა ამისა, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიის გაცემის შეწყვეტა და-საშვებია, თუ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება მინიჭებული სამხედრო წოდების ჩამორთმევა, პენსიის შეწყვეტა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე უკანონოა. კონსტიტუციის 42.5 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 10.1 მუხლის თანახმად, თუ კანონი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, მას არ აქვს უკუძალა, რის გამო მოსარჩელე თვლის, რომ მის მიმართ 10.02.066. მინისტრის ბრძანებით პენსიის გადაანგარიშება და 360 ლარის დანიშვნა უკანონოა და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სააგენტომ სადავო აქტში მიუთითა, რომ პენსიის შეწყვეტა მოხდა სამოქალაქო რეესტრიდან მოწოდებული არასწორი ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა იგი ვერ შეცვლიდა პენსიის შეწყვეტაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან 09.12.096. გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტომ სადავო აქტში ფაქტობრივად აღიარა პენსიის შეწყვეტის უკანონობა (არასწორი ინფორმაციის საფუძველზე პენსიის შეწყვეტა), მოსარჩელე აღნიშნავს, რომ არ მოხდა ქვემდგომი ორგანოს უკანონო გადაწყვეტილების ბათილად (ცნობა, გაუგებარია სააგენტომ სზაგ-ის 201 მუხლით გათვალისწინებული რომელი გადაწყვეტილება მიიღო. მოსარჩელე თვლის, რომ

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიბენდიის შესახებ“ კანონის 36.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიის გადაანგარიშება არ უნდა მომხდარიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.07.2014 წ. გადაწყვეტილებით შ. ბ-ის სარჩელი და კომისაციის დათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 11.04.2014 წ., №04/30215 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელესთან მიმართებაში, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკომისაციილდა.

სასამართლომ აქტების ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლად მიუთითა „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06 წ. №46/6 ბრძანება, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე სასკ-ის 22, 32.4, სზაკ-ის 53.5, 60¹ მუხლები და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს განიხილოს შ. ბ-ის საჩივარი, გამოიკვლიოს რამდენად შესაძლებელი იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის 29.04.10 წ. მიეღო გადაწყვეტილება შ. ბ-ისათვის გარდაცვალების საფუძვლით სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შ. ბ-ე არ იყო გარდაცვლილი, რამდენად კანონიერია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილება, არსებობდა თუ არა შ. ბ-ისათვის კომპენსაციის შეწყვეტის კანონიერი საფუძველი და ასეთის არსებობის შემთხვევაში უნდა გაირკვეს ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილების შესაბამისობა კომპენსაციის დანიშვნის საფუძველთან. აღნიშნული საკითხების სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, შ. ბ-ის საჩივრის მოთხოვნებთან მიმართებაში სასამართლოს გადაწყვეტილების კა-

ნონიერ ძალაში შესვლიდან 01 (ერთი) თვის ვადაში.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ბ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.14ნ. განჩინებით შ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 10.07.2014ნ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 390.3 მუხლის შესაბამისად სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება კომპენსაციის არასწორი შეწყვეტის თაობაზე და ცალსახად დადგენილად მიიჩნია, რომ ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის 29.04.10ნ. გადაწყვეტილებაში კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი მითითებულია არასწორად. სზაკ-ის 53.5 მუხლზე, 96-ე მუხლზე მითითებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანო უნდა იღებდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯვრების საფუძველზე, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შ. ბ-ის საჩივრის განხილვა მოხდა ზემოაღნიშნული ნორმების დარღვევით, სააგენტოს საჩივრის განხილვისას არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ დაუდგენია კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი და ადმინისტრაციული საჩივრის უარყოფა მოახდინა შესაბამისი მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი მონაცემების გადამოწმების გარეშე, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით იძლევა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 11.04.14ნ. №04/30215 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის შ. ბ-ის საჩივრის ხელახალი განხილვის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაბრუნების საფუძველს.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. ბ-ემ, რომელიც ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.14ნ. განჩინების გაუქმების გზით ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

კასატორი აღნიშნავს, რომ მისი ერთ-ერთი მოთხოვნა ეხება

ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის 29.04.10 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. აღნიშნული გადაწყვეტილებით შენყდა სახელმწიფო კომპენსაცია გარდაცვალების გამო. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მიუთითეს, რომ შენყვეტის საფუძველი იყო უკანონო. სზაკ-ის 60¹ მუხლის თანახმად აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სახეზეა არსებითი დარღვევა, მოპასუხემ დაადგინა, რომ კომპენსაციის გაცემა უნდა შეწყვეტილიყო კომპენსაციის შეწყვეტის გამო. ყოველთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გარდაიცვალა თუ არა ადამიანი, ვინაიდან ეს საკითხი განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმომობს. ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონის არსებითი დარღვევის დადასტურების მიუხედავად, სადაც აქტი მაინც დარჩა ძალაში. სასამართლოს უნდა ეცნო ბათილად ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის სადაც გადაწყვეტილება, ვინაიდან მისი კანონიერების დასადგენად აშკარად არ იყო საჭირო დამატებითი გამოკვლევა ზემდგომი ორგანოს – სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააგენტომ უნდა გამოაკვითოს გარდაცვლილია თუ არა მოსაზრებელე, რაც ნონსენსია.

კომპენსაციის შეწყვეტის კანონიერებასთან ერთად სააგენტოს დაევალა აღნიშნული კომპენსაციის ოდენობის გარკვევა. ვინაიდან უცვლელად დარჩა კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით გამოცემული 23.10.13 წ. აქტი, გაუგებარია რა უნდა გამოარკვიოს სააგენტომ. შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში აღდგება პირვანდელი კომპენსაცია, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა 23.10.13 წ. აქტით განსაზღვრულ ოდენობასთან. კასატორი თვლის, რომ კომპენსაცია მას უკანონოდ შეუწყვიტეს, ხოლო შემდეგ უკანონოდ დაუნიშნეს უფრო დაბალი ოდენობის კომპენსაცია.

კასატორი ყურადღებას ამაზვილებს იმაზე, რომ არ არსებობს აქტი, რომლითაც განაჩენის გამოტანის გამო მას შეუწყვიტეს კომპენსაცია, შესაბამისად არ არსებობს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 31.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ხოლო ძველი საფუძვლით ახალი გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 02.10.13 წ. ბრძანებით ის გაათავისუფლეს სასჯელის მოხდისაგან.

კასატორი არ ეთანხმება მისთვის კომპენსაციის ოდენობის

განსაზღვრას ახალი კანონმდებლობის მიხედვით და თვლის, რომ გამოყენებული უნდა იქნეს პენსიაში გასვლის მომენტში მოქმედი კანონი „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“. ახალი კანონის, კერძოდ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მის მიმართ გავრცელების შემთხვევაში, 36.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კომპენსაციის ოდენობა არ ექვემდებარებოდა გადაანგარიშებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგებ მხარის ნარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შ. ბ-ეს 08.10.046. დაენიშნა პენსია 539.20 ლარის ოდენობით. სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის შემდეგ, შ. ბ-ეს დაენიშნა კომპენსაცია 360 ლარის ოდენობით. მსჯავრის დადებისა და პენსიის შეწყვეტის მომენტში მოქმედი „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 53-ე მუხლი პენსიის შეწყვეტის საფუძვლად ითვალისწინებდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე პენსიონერისათვის მინიჭებული სამხედრო (სპეციალური) წოდების ჩამორთმევას. ხსენებული კანონის 53-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გაუქმდა 23.12.055. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად. ვინაიდან მოსარჩევე თავის მოთხოვნას ამ ნორმაზე აყალიბებს, სასამართლოს უნდა ემსჯელა ხსენებული წორმის გამოყენების შესაძლებლობაზე სადაც სამართალურთიერთობის მიმართ, რომელიც წარმოიშვა ამ ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ. სააპელაციო პა-

ლატის შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის მოსაზრებები კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

შ. ბ-ე მოითხოვს „წელთა ნამსახურობის საფუძვლით დანიშნული კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ“ ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის 29.04.106. გადაწყვეტილების, აგრეთვე „წელთა ნამსახურობის საფუძვლით კომპენსაციის დანიშვნის შესახებ“ დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.10.136. გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლზე და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლზე მითითებით დაუშვებლად თვლის ახალი აქტის გამოცემას, რის გამოც მოითხოვს შეწყვეტის პერიოდის განმავლობაში კომპენსაციის გაცემას. აღნიშნული საჭიროს ხდის კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე მსჯელობას. საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, კანონს თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუქალა არ აქნა. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში გადასაწყვეტია არა პასუხისმგებლობის, არამედ განგრძობადი სოციალური უზრუნველყოფის საკითხი, დავის გადაჭრა საჭიროებს დავის გადაწყვეტისათვის გამოსაყენებელი კანონმდებლობის დადგენას. კანონის არაპირდაპირი უკუქცევითი ძალის დაშვების გადაწყვეტა საჭიროებს კომპენსაციის მოპოვების უფლების ბუნების, კომპენსაციის სოციალური ხასიათის (კომპენსაციის გაცემაზე სახსრების ფორმირება ხდება არა ხელფასიდან უშუალო შენატანების საფუძველზე, არამედ სახელმწიფოს საბიუჯეტო შესაძლებლობიდან გამომდინარე), აქამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის (სუს დიდი პალატის 21.06.076. №ბს-21-21 (კ-07) განჩინება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.06.126. გადაწყვეტილება „ა.ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ“) გათვალისწინებას.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლად გარდაცვალების მითითება არასწორია. დავის არ იწვევს აგრეთვე ის, რომ შ. ბ-ის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. ორივე ეს გარემოება დადგენილად არის მიჩნეული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ. აღნიშნულის მიუხედავად სასამართლომ საკითხის ხელახალი განხილვა დავალა სააგენტოს და არა იმ აქტის გამომცემ ორგანოს – ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრს, რომლის აქტშიც აღნიშნულია

კომპენსაციის შეწყვეტის მცდარი საფუძველი. სასამართლო არ უთითებს სხვა რაიმე დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც არ იქნა შესწავლილი სააგენტოს მიერ. სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით სასამართლო დავის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობს აქტს იმ შემთხვევში თუ აშკარაა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, ამასთანავე, ამ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გადაწყვეტილების მიღებისათვის. ხსენებული ნორმა არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი განხილვის დავალებას სამართლებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ შ. ბ-ის საჩივრის განხილვა მოხდა სზაკ-ის 53.5 და 96.1 მუხლების დარღვევით, საჩივრის განხილვისას არ გამოკვლეულა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივი გარემოებები დავას არ იწვევს, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის საქმის დაბრუნება საკითხის ხელახალი განხილვისათვის, გაურკვეველია თუ რა უნდა დაადგინოს სააგენტომ საკითხის ხელახალი განხილვისათვის. ის გარემოება, რომ ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის სადავო აქტში არასწორად იქნა მითითებული სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველი ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოს მიერ სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სადავო აქტით დადგენილად არის მიჩნეული, სააგენტოს სადავო 11.04.146. აქტში აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არის მითითებული, სააგენტოს მიერ შ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა არა შეწყვეტის საფუძვლის სისწორის, არამედ სხვა საფუძვლით კომპენსაციის შეწყვეტის არსებობის გამო. სზაკ-ის 201-ე მუხლის თანახმად ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას: საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სააგენტომ სადავო აქტში პენსიის შეწყვეტის საფუძვლის არასწორი მითითების დადასტურების მიუხედავად, არ ცნო ბათილად სადავო აქტი თუნდაც ნაწილობრივ, კერძოდ,

საფუძვლის (გარდაცვალება) ნაწილში, სააგენტოს არც შესწორება შეუტანია (სზაკ-ის 59-ე მუხ.) გასაჩივრებულ აქტში. სააგენტოს სადავო აქტით სააგენტომ ერთი მხრივ დაადასტურა შენყვეტის საფუძვლის არასწორი მითითება, ხოლო მეორე მხრივ უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, არსებობდა სააგენტოს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, თუმცა, გაურკვეველია ხელახალი განხილვისათვის სააგენტოსათვის საკითხის დაპრუნების, მოსაზრებები. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გაიზიარეს სააგენტოს მოსაზრება სხვა საფუძვლით სახელმწიფო კომპენსაციის შენყვეტის არსებობის შესახებ, უდავოა აგრეთვე სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის – ფოთის სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილებაში კომპენსაციის შენყვეტის მცდარი საფუძვლის მითითება, მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის სადავო აქტი უცვლელად დარჩა, ხოლო სააგენტოს საკითხის ხელახალი განხილვა დაევალა. სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად არ არის ცნობილი საკუთრივ ის აქტი, რომელშიც შეცდომით არის მითითებული კომპენსაციის შენყვეტის საფუძველი. უფრო მეტიც, ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის სადავო 29.04.10ნ. გადაწყვეტილება, რომელშიც კომპენსაციის შენყვეტის საფუძვლად შეცდომით მითითებულია გარდაცვალება, ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით ძალაში დარჩა, შ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრის 29.04.10ნ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მიხედვით არ დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა, აგრეთვე, კომპენსაციის ოდენობის განმსაზღვრელი სადავო აქტის 23.10.13ნ. ბათილად ცნობის მოთხოვნა. 23.10.13ნ. გადაწყვეტილებით დანიშნული კომპენსაციის ოდენობამ 360 ლარი შეადგინა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გარკვევას საჭიროებს გასაცემი კომპენსაციის თანხის ოდენობის საკითხი, თუმცა კომპენსაციის ოდენობის დამდგენი 23.10.13ნ. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, მოსარჩელის მოთხოვნის ეს ნაწილი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის განჩინებით. ასეთ პირობებში, აზრს კარგავს სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძვლებზე ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოსთვის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის საკითხის ხელახალი განხილ-

ვისათვის დაბრუნება, გაურკვეველია რა უნდა განიხილოს ად-
მინისტრაციული საჩივრის განმხილველმა ორგანომ უკეთუ სა-
სამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სასამართლოს გა-
დაწყვეტილებით უკვე უარი აქვს ნათქვაში ადმინისტრაციული
საჩივრით გასაჩივრებული აქტების (ფოთის სოციალური მომ-
სახურების 23.04.10ნ. გადაწყვეტილების, აგრეთვე დიდუბე-ჩუ-
ლურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.10.13ნ. გა-
დაწყვეტილების) ბათილად ცნობაზე და აღნიშნული აქტები სა-
სამართლოს მიერ უცვლელად იქნა დატოვებული. სზაკ-ის 182-
ე მუხლის „„ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორ-
განოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის
თქმის ერთ-ერთ პირობას ნარმოადგენს დავაზე სასამართლოს
გადაწყვეტილების არსებობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინა-
რე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის
გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინება
წინააღმდეგობრივია და არ ემყარება კანონმდებლობის მოთ-
ხოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ არცერთი ინსტანციის
სასამართლოს არ უმსჯელია საქმის სამართლებრივ ასპექტებ-
ზე, კერძოდ, იმაზე არსებობდა თუ არა მსჯავრის დადების გა-
მო პენსიის შეწყვეტის, აქტში ცვლილების შეტანის საფუძვე-
ლი, იყო თუ არა შესაძლებელი ახალი წესის თანახმად გადაან-
გარიშება და სხვ., საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძ-
ლებლობას შეამონმოს დავის სამართლებრივი ასპექტების გა-
დაწყვეტის კანონიერება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შ. ბ-ე სარჩელით მო-
ითხოვდა სააგენტოს აქტების ბათილად ცნობას, 08.10.04ნ. და-
ნიშნული კომპენსაციის შეწყვეტის დღიდან აღდგენას, გასუ-
ლი პერიოდის თანხაზე საბანკო-საკრედიტო პროცენტის (14%)
დარიცხვას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.05.14ნ. გან-
ჩინებით შ. ბ-ეს განესაზღვრა ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ,
მოპასუხე პირთა წრის დაზუსტება, 29.04.10ნ. სადავო აქტთან
დაკავშირებით სააგენტოს ფოთის სოციალური მომსახურების
ცენტრის დასახელება. ხარვეზის გამოსაწორებლად წარდგე-
ნილი განცხადებით შ. ბ-ემ მოპასუხედ სსიპ სოციალური მომ-
სახურების სააგენტოს გარდა დაასახელა აგრეთვე სააგენტოს
ფოთის სოციალური მომსახურების ცენტრი. ზემოაღნიშნულ-
თან ერთად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს
იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი
23.10.13ნ. გადაწყვეტილება კომპენსაციის (360ლ.) დანიშვნის
შესახებ მიღებულია არა სააგენტოს, არამედ სააგენტოს დიდუ-
ბე-ჩულურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ. საქ-

მის მასალებში არ მოიპოვება ამ თარიღით სააგენტოს მიერ გა-
მოცემული აქტი, საქმეში დაცულია სააგენტოს არა 23.10.136.
აქტი, არამედ სააგენტოს 22.10.136. №04/4614 წერილი დიდუ-
ბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის
მიმართ, რომელიც უშუალო სამართლებრივ შედეგს არ იწვევს.
ხელახალი განგარიშების მიხედვით კომპენსაცია (360 ლ.) დაი-
ნიშნა სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის ცენტრის 23.10.136. აქ-
ტით, აღნიშნულის მიუხედავად სააგენტოს და ფოთის რეგიო-
ნალურ ცენტრთან ერთად, საქმეში არც მოპასუხედ და არც მე-
სამე პირად (სასკ-ის 16.2 მუხ.) არ იქნა ჩაბმული დიდუბე-ჩუ-
ღურეთის ცენტრი, რომლის გადაწყვეტილებითაც განისაზღვრა
შეწყვეტის შემდეგ ახლად დანიშნული სახელმწიფო კომპენსა-
ციის ოდენობა. ცენტრი კონკრეტულ სამოქმედი ტერიტორია-
ზე ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოზე და-
კისრებულ უფლებამოსილებებს, კერძოდ სახელმწიფო გასა-
ცემლების ადმინისტრირებას, მათ შორის, დანიშვნას და შეწ-
ყვეტას, ახორციელებს წარმომადგენლობას სასამართლოში
(სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.12.096. №101/
474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სისპ სოციალური მომსახუ-
რების სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენ-
ტრის ტიპიური დებულების“ 2.2 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტი, 3.1
მუხლის „ე.ა“ ქვეპუნქტი, 2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). შესაბამი-
სად, სადაც აქტის – დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსა-
ხურების ცენტრის „ნელთა ნამსახურობის საფუძვლით კომპენ-
საციის დანიშვნის შესახებ“ 23.10.136. გადაწყვეტილების კანო-
ნიერების საკითხთან დაკავშირებით საქმეში უნდა ჩაებას დი-
დუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრი. სააპე-
ლაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა 23.10.136. გადაწყვე-
ტილებით განსაზღვრული კომპენსაციის თანხის ოდენობის
მართებულობაზე, კომპენსაციის გამოანგარიშებისათვის გამო-
საყენებელ კანონმდებლობაზე. სასამართლოს 27.05.146. გან-
ჩინებით გამოთხვილ იქნა სახელმწიფო კომპენსაციის გაცე-
მის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოცემული სადაც 29.04.106.
გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არსებული ად-
მინისტრაციული წარმოების მასალები ფოთის სოციალური მომ-
სახურების ცენტრიდან. ამასთანავე, მეორე სადაც აქტის –
23.10.136. დიდუბე-ჩუღურეთის ცენტრის გადაწყვეტილებას-
თან დაკავშირებით მასალები გამოთხვილი არ ყოფილა, სასა-
მართლოს არ უმსჯელია სახელმწიფო კომპენსაციის გამოანგა-
რიშებული თანხის ოდენობის სისწორეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

თვლის, რომ სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა შეაფასოს შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- შ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2014წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმიწოდებული მთლიანობისათვის,
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის
საპრეზიდო მოქმედების დროს დაღუაულთა ოჯახის
ნივთების სოციალური დაცვა**

განხილვა

№ბს-778-770(კ-15)

2 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალ-
დებულება, ზიანის ანაზღაურება.

აღნერილობითი ნაწილი:

ი. ჩ-ე-დ-მა 25.07.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს მოპასუხის სსიპ ვეტერანების საქმეთა სა-
ხელმწიფო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ
ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 14.04.2014წ.
№543/18-2 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის და 08.07.2014წ. №401/18 გადაწყვეტილების ბათილად
ცნობა, ვ. დ-ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის-
თვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ
პირად აღიარება, სსიპ ვეტერანების საქმეების სახელმწიფო
სამსახურისათვის ი. ჩ-ე-დ-ისთვის მიყენებული ზიანის ანაზ-
ღაურების დავალება. მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებდა შემ-
დეგ გარემოებებზე: ვ. დ-ი მსახურობდა თავდაცვის სამინის-
ტროს გორის №1 სასწავლო ცენტრის მეთაურის მოადგილედ
შეიარაღებისა და ტექნიკის დარგში. 20.10.1993წ. მივლინებუ-
ლი იქნა დასავლეთ საქართველოში საბრძოლო მოქმედებების
შესასრულებლად. დაიღუპა ქ. სენაკში 28.10.1993წ. საბრძოლო
მოქმედებების შესრულების დროს, რის გამოც ამოირიცხა შეი-
არალებული ძალების რიგებიდან საქართველოს თავდაცვის მი-
ნისტრის 29.09.2004წ. ბრძანების საფუძველზე. ვ. დ-ი გარდაც-
ვალების შემდგომ სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის

ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. საქმეში დაცულ 24.01.1995წ. №328854 გარდაცვალებას მონმობაში გარდაცვალების მიზეზად მითითებულია, რომ ვ. დ-ი გმირულად დაიღუპა საბრძოლო ოპერაციების შესრულებისას. გარდაცვლილი ვ. დ-ის მეუღლემ, ი. ჩ-ე-დ-მა განცხადებით მიმართა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ვ. დ-ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ პირად აღიარების შესახებ, კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების მიზნით, რაზეც გასაჩივრებული აქტებით უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ვ. დ-ი დაიღუპა ქ. სენაკში, სადაც არ მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ი. ჩ-ე-დ-ი თვლის, რომ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები, ვინაიდან მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები: 16.12.1993 წ. №1515 საბრძოლო მოევლევა, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულება, რომლითაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისთვის გარდაცვალებას შემდგომ ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა ვ. დ-ი, ასევე გარდაცვალების მონმობა ადასტურებს, რომ ვ. დ-ი ფაქტობრივად აღიარებულია საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პირად. სტატუსის მინიჭებაზე უარის გამო მიადგა ზიანი, როს შემდეგაც მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს მოპასუხე ორგანიზაციისგან 2014 წლის იანვრიდან ყოველთვიურად 500 ლარის ადგენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვ. დ-ი აღიარებული იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ პირად, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 14.04.2014წ. №543/18-2 აქტი და 08.07.2014 წ. №401/18 გადაწყვეტილება, მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ი. ჩ-ე-დ-ისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოხვენა არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-9 მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდ-

გენილი მტკიცებულებების შესაბამისად, ვ. დ-ი 20.10.1993 წ. მივლინებული იყო დასავლეთ საქართველოში საბრძოლო მოქმედებების შესასრულებლად, 20.10.1993წ. №1 სასწავლო ცენტრის უფროსის ბრძანების საფუძველზე, რაც დადასტურებულია 16.12.1993წ. №1515 საბრძოლო მოკვლევით, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №1 სასწავლო ცენტრის უფროსი. ვ. დ-ი დაიღუპა 28.10.1993 წ. ქ.სენაკში, სიკვდილი დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 29.09.2004წ. №1/778 ბრძანებით ვ. დ-ი ამირიცხული იქნა შეიარაღებული ძალებიდან 23.10.1993 წ. (დაღუპვის დღიდან). სასამართლომ მიიჩნია, რომ სიკვდილი დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და ყველა მითითებული დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მტკიცებულება, დღეისათვის ძალაშია და სადაცოდ არავის არ გაუხდია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. დ-ი ნამდვილად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა, სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა დასავლეთ საქართველოში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება, რაც მას დაევალა უფლებამოსილი პირის – საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №1 სასწავლო ცენტრის უფროსის №416 ბრძანების საფუძველზე.

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 24.12.1992წ. დადგენილება შემუშავდა საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებული პირადი წელილი მიუღვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, სწორედ ასეთი მოქალაქეებისათვის არის დაწესებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები და მედლები. I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალაში მყოფი დოკუმენტებით აღიარებულია, რომ ვ. დ-ი გმირულად დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, შესაბამისად აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილედ, ხოლო მისი ოჯახის წევრი, მეუღლე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარ-

ჩუნებისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად.

რაც შეეხება მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე არ არის სზაკ-ის 207-ე და 208.1 მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, რის გამოც მოთხოვნა ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა. ი. ჩ-ე-დ-მა წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივრარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015წ. გადაწყვეტილებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სააპელაციო საჩივრარი დაკმაყოფილდა, ი. ჩ-ე-დ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.10.2014წ. გადაწყვეტილების გაუქმებით და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. ჩ-ე-დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლად განიმარტოს ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობები წინააღმდეგობრივია, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ ერთმანეთთან გააიგივა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობასთან და აღნიშნულ დასკვნის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ქ. სენაკში, ბრძოლები მიმდინარეობდა არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, არამედ აფხაზ სეპარატისტებთან და ბრძოლა მიმდინარეობდა სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, რაც სააპელაციო სასამართლოს აზრით მცდარ დასკვნას წარმოადგენს. სასამართლომ აღნიშნა, რომ უახლოეს წარსულში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა აფხაზეთსა და შიდა ქართლში, შესაბამისად, დასავლეთ

საქართველოში, ქ. სენაკში, ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი ვერ შეფასდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლებში მონაწილეობად.

ის გარემოება, რომ ვ. დ-ი დაჯილდოვდა ვახტან გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით, არ გულისხმობს, რომ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (1994 წლის 1 სექტემბრის №288 ბრძანებულება) იგი უკვე აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად. ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიას ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის ანუ სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი, თავდადება და თავგანწირვა შეიძლება გამოიხატოს, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის შეტანილი წვლილით, ასევე პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი თავდადებით, იქნება ეს უშუალოდ სამხედრო სამსახური, თუ სხვა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საქმიანობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია აგრეთვე, რომ არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. ჩ-ე-დ-ის მიერ.

კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების გზით ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც დაკამაყოფილდება სარჩელი სრულად. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლოს დასკვნები იურიდიულად დაუსაბუთებელია, რადგან ისინი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებიდან არ გამომდინარეობს. კასატორი თვლის, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებებით ვ. დ-ი ფაქტობრივად აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირად. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, აფხაზეთისა და შიდა ქართლის გარდა, ადგილი არ ჰქონია, კასატორის აზრით არის დაუსაბუთებელი, აღნიშნული არ გამომდინარეობს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან, სასამართლო არ ასაბუთებს თავის დასკვნას, რომ შიდა დაპირისპირებას არ შეიძლება

ჰქონდეს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის სტატუსი. სასამართლოს მოსაზრება ორდენის მინიჭების საფუძველთან დაკავშირებით ბათილდება საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულებით. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა საკასაციო სასამართლოს 25.07.06წ. №ბას-83-80 (კ-06) გადაწყვეტილება. კასატორი ასევე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მოპასუხისგან 2014 წლის 01 იანვრიდან 500 ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლიდან – 1000 ლარის ოდენობით. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზიანთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სტატუსის მინიჭებაზე სამსახურის უარის გამო მოსარჩელემ ვერ ისარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა საკასაციო საჩივარზე წარდგენილ შესაგებელში აღნიშნა, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს თუ ვინ ითვლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანად. დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლად განიმარტოს ქვეყნის შიგნით არსებულ არაფორმალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა. ვ. დ-ის დაჯილდოვება ვახტანგ გორგასლის სახისების ორდენით არ არის საკმარისი ტერიტორიული მთლიანობის წარმოებულ ბრძოლებში დალუპულ პირად აღიარებისათვის, დაჯილდოვება მოიაზრებს არა მხოლოდ ტერიტორიული ერთიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობას, არამედ, აგრეთვე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოვლენილ მაღალ საბრძოლო მომზადებას, ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებას, შესაგებლის ავტორი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებებზე, რაც უკავშირდება დასახული ამოცანის ყოველგვარ პირობებში შესრულებას, მაშინაც კი თუ მოსამსახურის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი. ჩ-ე-დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებუ-

ლი უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადე-მიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ: საქართველოს ტე-რიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუ-კიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრი-ლობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. ამავე კა-ნონის 22¹ მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნ-ქტის „მ“ – „ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს კომპენ-საცია დაენიშნებათ ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვე-ვაში. ამდენად, ხსენებული ნორმის მიხედვით, კომპენსაციის/ სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა ოჯახის წევრები გარდაცვალ-ნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავი-სუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ან ამ ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად. დავის სა-განს წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობი-სათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუ-პულ პირად ვ.დ-ის ალიარება, სისპ ვეტერანების საქმეთა სა-ხელმწიფო სამსახურის 14.04.146. №543/18-2 წერილის და 08.04.146. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოსარჩევე ი. ჩ-ე-დ-ის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ზიანის ანაზღაურება. დავის გადაწყვეტა საჭიროებს მოსარჩევის ი. ჩ-ე-დ-ის საქარ-თველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუ-პული პირის ოჯახის წევრობის დადგენას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ჩ-ე – დ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის ადმი-ნისტრაციული ორგანოს მოსაზრება მასზედ, რომ ვ. დ-ი დაი-ღუპა ქ. სენაკში, სადაც არ მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერა-ციები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. გასა-ჩივრებულ აქტში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დამატებით საფუძვლად მითითებულია აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების თარიღი – 30.09.1993წ. საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული მსჯელობა არ ასაბუთებს სა-დაცო აქტებით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საბრძოლო მოკვლევის მასალების მიხედვით ვ. დ-ი დასავლეთ

საქართველოში იქნა მივლინებული 20.10.1993წ., საბრძოლო მოქმედებების შესასრულებლად. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენით ვ. დ-ი დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულებით. ამ პერიოდში მოქმედმა „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ 24.12.1992 წ. კანონით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულება“ ადგენდა, რომ ვახტანგ გორგასალის ორდენით ჯილდოვდებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყველ სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ნარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები (მე-3 მუხ.). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ღვაწლი, თავდადება და თავგანწირვა, რისთვისაც სიკვდილის შემდეგ ორდენით დაჯილდოვდა ვ. დ-ი, შეიძლება გამოიხატოს როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში შეტანილი წვლილით, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილ თავდადებაში, არ გამორიცხავს ი. ჩ-ე-დ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ I ხარისხის ორდენით დაჯილდოვება უპირობოდ არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის დალუპულ პირად აღიარებას. აღნიშნულს სააპელაციო პალატის აზრით არ ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ვ. დ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, საბრძოლო მოქმედების შედეგად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულების ტექსტის თანახმად ვ. დ-ი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენით „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის (სიკვდილის შემდეგ)“. ადმინისტრაციულმა ორგანომ დასაბუთების გარეშე, ფაქტობრივად, უგულებელყო სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულება, სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების მომწესრიგებელი კანონმდებლობა, მაშინ, როდესაც „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის 2.1 მუხლის თანახმად, „ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს ამ კანონს, სახელმწიფოს სხვა საკა-

ნომდებლო აქტებს, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ გარე აგრძელისაგან დაცვას. ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობისათვის საფრთხოების არსებობის დადგენა უკავშირდება დაპირისპირების მასშტაბის, საფრთხოების ხარისხის დისკრეციული შეფასების სფეროს, შესაბამისად, სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებაში აღნიშნული გარემოებების უარყოფა საჭიროებდა სათანადო დასაბუთებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 1993 წლის ოქტომბერში საქართველოში ადგილი ჰქონდა საბრძოლო მოქმედებებს, ქ. ქუთაისში გამოცხადებული იყო კომენდანტის საათი, შექმნილი იყო საგანგებო სიტუაციების დროებითი კომიტეტი, აძასთანავე, იმუშავდ შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ, შეიარაღებული ფორმირებების მიერ რიგი დასახელებული პუნქტების დაკავება,

სახელმწიფო მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარ-
სარდლის ბრძანებულებით დასავლეთ საქართველოს საგანგე-
ბო სიტუაციების რაიონის (ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, სე-
ნაკის, ჩხოროცხუს, მარტვილის, აბაშის, სამტრედიის, ვანის, ხო-
ბის, ლანჩხეთის, ოზურგეთის რაიონებში და ქ. ფოთში) დროე-
ბითი კომიტეტის შექმნა, თავმჯდომარედ სახელმწიფო მინის-
ტრის დაინიშვნა, შექმნილი ვითარების გამო გვარდიის სპეცრაზ-
მის დაარსება, ქ. ქუთაისში კომენდანტის საათის გამოცხადე-
ბა, საბრძოლო მოქმედებებში მძიმე ტექნიკის და არტილერიის
გამოყენება, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორია-
ზე საგანგებო ნესების გამოყენება, ადასტურებს ქვეყნის ტე-
რიტორიული მთლიანობისათვის საშიშროების არსებობას, შექ-
მნილი კონკრეტული ვითარება ქმნიდა საბრძოლო მოქმედებებ-
ში დაღუპული პირებისათვის, სახელმწიფო მეთაურის გადაწყვე-
ტილებით, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუ-
პულ პირად მიჩნევის პირობას.

მოპასუხის მითითება იმაზე, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ 17.10.1995წ. კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეცუთვნება მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების განსაზღვრა, არ ადასტურებს მოთხოვნის უსაფუძვლობას. სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულება გამოიცა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ 17.10.1995წ. კანონის მიღებამდე, სახელმწი

ფო მეთაურის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულების გამოცემის დღის მოქმედი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო მეთაური იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. სახელმწიფო მეთაურის განკარგულება არის აღმჭურველი აქტი, იგი ძალაშია, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მიღებით სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულება არ გაუქმებულა, ბრძანებულება მოქმედებს და ის სადაც ვოდა არავის გაუხდია. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის 17.17 მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვება შეადგენდა სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილების სფეროს. დაჯილდოვების დღის მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოვების დაწესების შესახებ“ კანონი ადგენდა სამშობლის ერთიანობისათვის ბრძოლაში თავგანწირვისათვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვებული პირის ტერიტორიული ერთიანობისათვის მებრძოლად მიჩნევის შესაძლებლობას, დაჯილდოვების სამართლებრივი საფუძველი იყო „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოვების დაწესების შესახებ“ კანონი, სახელმწიფო მეთაურის აქტით, ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, დაკონკრეტდა ჯილდოს მინიჭების გარემოება – „სამშობლის დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის“. ასეთ შეფასებას არ გამორიცხავს მოპასუხის მითითება სამხედრო მოსამსახურის ზოგად ვალდებულებებზე, კერძოდ, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 2.1, 22-ე მუხლებზე, რომელთა მიხედვით სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ნებისმიერ სიტუაციაში, მაშინაც კი როდესაც მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამხედრო მოსამსახურის ზოგადი ვალდებულება დაიცვას სამშობლოს სუვერენიტეტი და მთლიანობა საკუთარი სიცოცხლის ფასად არანაირად არ უარყოფს სახელმწიფოს შესაძლებლობას და ვალდებულებას მაღალი შეფასება მისცეს სამხედრო მოსამსახურის მიერ გამოჩენილ თავგანწირვას.

სახელმწიფო მეთაურის განკარგულების ტექსტი დაჯილდოვების მიზეზად ერთმიშვნელოვნად უთითებს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სიმამაცის გამოჩენას, სახელმწიფი

ფო მეთაურის ბრძანებულების ტექსტიდან გამომდინარე, არსებობს ვ. დ.-ის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დალუპულ პირად მიჩნევის საფუძველი. ძალაში მყოფი სახელმწიფოს მეთაურის 01.09.1994წ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გათვალისწინებით და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის (სუს 25.07.06წ. №83-80 (კ-06)) მიხედვით სახელმწიფოს მეთაურის აქტით უკვე აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დალუპული პირის ოჯახის წევრი ითვლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დალუპული პირის ოჯახის წევრად და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დალუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად.

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ვეტერანთა კატეგორიები, კერძოდ: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; სამხედრო ძალების ვეტერანები. ამავე კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, სხვებთან ერთად, მიეკუთხებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე, დაზეურვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11წ. №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონმობების გაცემის თაობაზე“ ინსტრუქცია საქართველოს ტე-

რიტორიული მთლიანობის საპრძოლო მოქმედების მონაწილეს-თან მიმართებით უთითებს არა კონკრეტულ რეგიონს, არამედ კონფლიქტურ ზონებს, სადაც მიმდინარეობდა საპრძოლო ოპერაციები. ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საპრძოლო მოქმედებების მონაწილის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებლისათვის ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტის და სხვა მტკიცებულების წარმოდგენას, რომლებიც ადასტურებენ კონფლიქტურ ზონაში საპრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და საპრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოვების ბრძანებები, სამხედრო ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11ნ. №871 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ვ.ა“ ქვეპუნქტი, აგრეთვე, ადგენს მაძიებლის ვალდებულებას წარმოადგინოს საპრძოლო მოკვლევა. ვ. დ-ის სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობას, ბრძოლაში გამოჩენილ თავდადებას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994ნ. №288 ბრძანებულება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №1 სასწავლო ცენტრის უფროსის პოლკოვნიკ გ. ი-ის საპრძოლო მოკვლევა, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დ. ს-ის 27.12.94ნ. წერილი. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 22.08.14ნ. №509 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერანის მოწმობის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის „პირველი დანართის 1.2 მუხლის შესაბამისად, ტერმინი „ომი“ გულისხმობს „ომი-სა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, ხსნებული დებულებები, სხვებთან ერთად, ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საპრძოლო მოქმედების ვეტერანებს („გ“ ქვეპუნქტი).

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში 27.12.13ნ. კანონით შეტანილი და 2014 წლის 1 იანვარს ამოქმედებული დამატების თანახმად კომპენსაციის მიმღებ პირთა შორის სხვებთან ერთად გათვალისწინებულია, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის

ბისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრები (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი, 22¹ მუხლი). ნოვაციები ითვალისწინებენ კომპენსაციის დანიშვნას არა მხოლოდ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის, არამედ, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრთათვის. ამასთანავე, მოსარჩელე არის „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ 27.12.1996წ. კანონის სუბიექტი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ №46/6 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ (№2 დანართი) 15.2 მუხლის „ა²“ ქვეპუნქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, აგრეთვე, 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის კომპენსაციის დანიშვნისათვის წარსადგენ დოკუმენტთა შორის ითხოვს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემულ ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს ან შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელ ცნობას. ი. ჩ-ე-დ-ს მინიჭებული აქვს მარჩენალდაკარგულის კატეგორია (ინსტრუქციის მე-3 მუხ. „ვ“ ქვეპუნქტი). იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11წ. №871 ბრძანებულებით დამტკიცებული ინსტრუქციით, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 22.08.14წ. №509 დადგენილებით დამტკიცებული წესით (1.1 მუხ.) გათვალისწინებულია ომში დაღუპულის ოჯახის წევრის კატეგორია, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა ი. ჩ-ე-დ-ის საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11წ. №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მოწმობების გაცემის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით და მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ომში დაღუპულის ოჯახის წევრის“ კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობაზე. ომში დაღუპული ოჯახის წევრის და მარჩენალდაკარგულის მოწმობის მაძიებლისათვის ინსტრუქციით განსაზღვრულია წარსადგენი დოკუმენტაციის ერთიანი პაკეტი (მე-6 მუხლის „თ“ ქვე-

პუნქტი), ამასთანავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ომში დაღუპულის ოჯახის წევრის მოწმობა გაიცემა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის და მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე. სადაცო აქტებში არ არის დასაბუთებული თუ რატომ არ პასუხობს ი. ჩ-ე-დ-ის მონაცემები აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს, მე-4 მუხლის მოთხოვნებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. ჩ-ე-დ-ის სახელზე გაცემული მარჩენალდაკარგულთა მოწმობა ინსტრუქციის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად გაიცემა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე. აღნიშნული პუნქტი, სხვებთან ერთად, ითვალისწინებს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დალუპულთა ოჯახის წევრთა სოციალურ დაცვას. ადმინისტრაციულ ორგანოს სადაცო აქტი და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს ი. ჩ-ე-დ-ისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით და 22¹ მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღებისათვის საჭირო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის დასაბუთებას.

სადაცო აქტების პათილად ცნობაზე სტატუსის მინიჭებაზე აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნაზე უარის თქმის გამო სააპელაციო პალატამ არ იქნია მსჯელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (2014 წლის 1 იანვარის თვიდან 500 ლარის, ხოლო 2015 წლიდან 1000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული მოთხოვნა საჭიროებს მოსარჩელისათვის სტატუსიდან გამომდინარე კომპენსაციის მიღების საკითხების გარკვევას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭება არ გულისხმობს კომპენსაციის დანიშვნას დაუყოვნებლივ და უპირობოდ, რადგან კომპენსაციის მინიჭება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006 წ. №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესით“ გათვალისწინებული პროცედურის

გავლას ითვალისწინებს. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, რომ მოსარჩეულებს მინიჭებული აქვს მარჩენალდაკარგულის და არა ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსი, სტატუსის დაზუსტების, მისი შეცვლის საკითხი მას მანამდე არ მოუთხოვია, სტატუსის შეცვლის საკითხი მოსარჩელებ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ დასვა. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დადგენილია სკ-ის 992-ე მუხლით. მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობად მითითებული მუხლი ითვალისწინებს ზიანის მიყენების ფაქტის არსებობას, მიყენებულ ზიანსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის, ქმედების მართლწინააღმდეგობის და ბრალის კუმულატიურად არსებობას. სააპელაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა მოცემულ შემთხვევებში მითითებული კუმულატიური პირობების არსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სათანადო სამართლებლივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აპსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახლი განხილვისათვის იმავე სასამართლოს-თვის დაბრუნების პირობაა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ჩ-ე-დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწი-

ლობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.10.2014წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება

მიუღებელი შემთხვევის თანხის დაკისრებისას დავილის სტატუსის მინიჭების კანონიერების საკითხი

განხილვა

№პს-151-149(კ-17)

19 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ.ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომსესენებელი),
მ.ვაჩაძე
ვ.როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 15 ივნისს მ. ჩ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მიმართ.

მოსარჩელემ საბოლოოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის №1015 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალდებულება და მიუღებელი შემწობის თანხის – 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 1 მარტამდე ყოველთვიურად 28 ლარის, ხოლო 2014 წლიდან 1 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 45 ლარის ოდენობით ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა, განსახლებასა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის №1015 ბრძანება; მ. ჩ-ეს აღუდგა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი; მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 1 მარტამდე ყოველთვიურად – 28 ლარის, ხოლო 2014 წლიდან 1 მარტიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიურად – 45 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინის-

ტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შოთხოვა.

კასატორის განმარტებით, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარდა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება. სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მხედველობაში იქნა მიღებული როგორც მოსარჩელის ახსნა-განმარტებები, ასევე, საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებაც.

კასატორის მიაჩინა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარის ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ყოველდღიური ყოფით დაკავშირებული არ ყოფილა ახალგორთან და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა მის მუდმივად მაცხოვრებელ პირს. ამასთან, ის გარემოება რომ მოსარჩელე დედის მოსავლელად იყო წასული ახალგორში, ვერ ადასტურებდა მის ამ ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების ფაქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივარის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას

შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის და-საშვებობის ამომნურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მი-ერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პროცესუალს, რომლის გა-დაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერ-თგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქარ-თველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებ-რივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო სა-ჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებუ-ლი გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკით-ხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებუ-ლი პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განი-ხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქ-მედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ სა-კითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-მართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სა-კასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძ-ვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასა-მართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდ-რებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შე-დეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან გან-სხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდე-გება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-ვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვი-

სა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარნყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტორივ გარემოებებს და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ პირს დევნილის სტატუსი ჩამოერთმევა, თუ მან ეს სტატუსი ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიიღო. ამასთან, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად (მემდგომ – დევნილი) ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქების არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წერის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხოქვეყნის მიერ ტერიტორიის იუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას და ამ ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ საქმეზე №ბს-1849(კ-10) და №ბს-1227-1213(კ-11) გაკეთებულ განმარტებებზე და აღნიშნავს, პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ

ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მტკიცებულებებით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ჩ-ის საქმეზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით ვერ იქნა გაბათილებული და ვერ გამოირიცხა ახალგორის ტერიტორიული ორგანოს 2014 წლის 5 ნოემბრის №217 ცნობით, ახალგორის მუნიციპალიტეტში 20 08 წლის აგვისტოს ომამდე პირის მუდმივად ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის 2014 წლის 28 ოქტომბრის №766 დასკვნით და მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებული გარემოება მ. ჩ-ის აგვისტოს ომამდე დაბა ახალგორში მუდმივად ცხოვრების თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 სექტემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპირელი

1. სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი	
დისკურსის ფაქტის დადგენა	
მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას	3
რეორგანიზაციის დროს კონკრეტული	
სტრუქტურული ერთეულის გაუქმების გამო მოხელის	
სამსახურიდან განთავისუფლების კანონიერება	20
გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების	
გამო სამსახურიდან განთავისუფლების კანონიერება	25; 34
გამოსაცდელი ვადის გასვლის ან არადამაკმაყოფილებელი	
შედეგების გამო სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი	39; 46
2. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	
სახელფასო დავალინების და იძულებითი	
განაცდურის ანაზღაურება	55
იძულებითი განაცდურის სახით პრემის	
ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის კანონიერება	73
იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი	78
მიუღებელი ხელფასის და ზიანის სახით იძულებითი	
განაცდურის ანაზღაურება	94
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	
დეკრეტული შვებულების ამონურვის მომენტიდან	126
3. შვებულება; შრომით დავაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება	
შრომით დავაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი	
აღსრულების გაუქმების საფუძველი	137
შრომით საკითხზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ	
აღსრულების წინაპირობები	148; 157
შრომით დავაზე გადაწყვეტილების	
დაუყოვნებლივ აღსრულება	163; 184
შვებულების მოთხოვნის უფლება	169
სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების	
დაუყოვნებლივ აღსრულება	191
4. კომპენსაციები	
წელთ ნამსახურობის საფუძვლით დანიშნული	
კომპენსაციის სისწორე	197
სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის,	
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის	
საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა	
ოჯახის წევრების სოციალური დაცვა	209
მიუღებელი შემწების თანხის დაკისრებისას	
დევნილის სტატუსის მინიჭების კანონიერების საკითხი	224